ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

„ახალი თაობა“
+„მარკესი“
8 ლარი
15 ივნისიდან




ოთხშაბათი, 20 ივნისი, 2011 | №144 (5525) | ფასი: 30 თეთრი

# პოლიციელის ოჯახის შეგინებისთვის პატიმრობა გელით!

გვ.6



გვ.10

## პრეზიდენტი უფლებამოსილებას 10 თვით იხანგრძლივებს

ხალხს რევოლუციის აღარ სჯერა



## მემარჯვენეები ქუჩის აქციებში მონაწილეობას არ მივიღებთ!

გვ.3



## ტირანის წინააღმდეგ ბრძოლას მაინც ვაგრძელებ!

გვ.4



## ჟურნალისტებს აღარ სცემენ

გვ.8



## ნაციონალები მინისტრებს არ შეეხებიან

გვ.9



გვ.5

## ხელისუფლებას თავისას არ გავატანინებთ!

ჩვენ გარეშე სააკაშვილს არჩევნებს დემოკრატიულად არ ჩაუთვლიან



## ხელისუფლებასაც და ოპოზიციასაც წერტილი დაესვა

გვ.2

## დავამტკიცებ, რომ ბალაფში მოკლეს!

რუსეთმა აფხაზ უხუცესებში აგენტები შეაგზავნა

გვ.11



3090

sms განცხადებები „ახალ თაობაში“

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე **3090** მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის“ უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი.

ISSN 1987-9385

**9** აფხაზურ ეკლესიაში არეულობა გრძელდება

**4** უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ვიზიტი ქუთაისში

**7** ქუჩაში აქციებს ვეღარ ჩავატარებთ

**6** მართლმსაჯულების მიმართ მოქალაქეების ნდობის მაჩვენებელი

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# ხელისუფლებასაც და ოპოზიციასაც წერტილი დაესვა

ნონა ცაბა ე

**ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი გოგა ხაინდრავა ახლახან დაბრუნდა ევროპიდან საქართველოში და ის „ახალ თაობასთან" 26 მაისს განვითარებულ პროცესებს აფასებს.**

***— ბატონო გოგა, 26 მაისის მოვლენების დროს თქვენ საქართველოში არ ბრძანდებოდით. ხელისუფლებამ ეს ყველაფერი შეაფასა, როგორც სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა. როგორი იქნება თქვენი პოზიცია და შეფასებები მომხდართან დაკავშირებით?***

— მას მერე, რაც ეს ხელისუფლება გამეფდა ამ ქვეყანაში, გამუდმებით სახელმწიფო გადატრიალების მცდელობებზე საუბრობს. საზოგადოების ნებისმიერ პროტესტს და აქტიურობას სახელმწიფო გადატრიალებად აფასებს. მათი შეფასება, ჩემი აზრით, აღარავისთვის საინტერესო აღარ არის და არ უნდა იყოს, ყოველ შემთხვევაში. მე ახლახან დავბრუნდი ევროპიდან და სიმართლე გითხრათ, ისეთი ელემენტი მსოფლიო პოლიტიკაში, როგორც საქართველოს ხელისუფლებაა, სერიოზულად აღარავის მხრიდან აღარ აღიქმება, ყველას ესმის, რომ კრიმინალური დაჯგუფება, რომელიც რუსული ტანკების მხარდაჭერით და ამერიკული ფულის მხარდაჭერით ინარჩუნებს უზურპირებულ ხელისუფლებას საქართველოში. იმიტომ, რომ ერთ ქვეყანასაც და მეორე ქვეყანასაც სჭირდება ზუსტად ასეთი ტიპის ძალაუფლება იმ ტერიტორიაზე.

***— საზოგადოების დიდ ნაწილში გაკვირვება გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ დასავლეთის მხრიდან 26 მაისის მოვლენებს არ მოჰყვა ადეკვატური შეფასება... თქვენი აზრით, რა იყო ამის მიზეზი, არ გავიდა ინფორმაცია საკმარისად?***

— მე ვფიქრობ, რომ საკმარისად იყო გაშუქებული და შეფასებული. აქ ყველაფერს აქვს საზღვარი, რა შეფასებებიც არ უნდა იყოს მსოფლიოში, არანაირი რეაგირება ამ ბარბაროსების მხრიდან არ არის. ყველა შეეგუა, თუ რა რეჟიმია საქართველოში. ამერიკის და რუსეთის ავტორიტეტი საკმაოდ დიდია მსოფლიოში და რეალურად ეს ორი იმპერიული მონსტრი თავის გავლენას იმდენად სერიოზულად ახორციელებს მთელს დანარჩენ მსოფლიოზე, რომ ინარჩუნებს ამ რეჟიმს. ახლა რომ გითხრათ დანარჩენ მსოფლიოში და განსაკუთრებით ევროპაში მხოლოდ საქართველოზე სტკივა თავი, ეგრე არ არის. ერთხელ მოუწოდეს, მეორედ, მესამედ, ყველა შეხვედრაზე ეუბნებიან და საქართველოს გარდა კიდევ 200 ქვეყანაა გაეროში რეგისტრირებული, ყველას თავის პრობლემები აქვს ყველას თავისი საწუხარი აქვს და საქართველოს არავინ არ გადაჰყვება. უნდა ამ ხალხს ცივილიზებულ საზოგადოებაში ცხოვრება? იცხოვრებენ, უნდათ ფაშისტური რეჟიმის შექმნა, შეიქმნება ფაშისტური რეჟიმი. დღეს არსებობს კორეის რეჟიმი, კადაფის რეჟიმია კიდევ და უამრავი უმსგავსო, უსინდისო, უთავმოყვარო და ნამუსგარეცხილი მთავრობა არის მსოფლიოში და რა ქნას ცივილიზებულმა საზოგადოებამ?! ეს ხალხმა უნდა გადაწყვიტოს, იმ ხალხმა, ვინც იმ ქვეყანაში ცხოვრობს. შენი გულისთვის საქართველოში დესანტს არ ჩამოსვამს ევროპის არც ერთი ქვეყანა და ხელისუფლებას არ შეცვლის. გინდათ, შეცვალეთ, არ გინდათ, იცხოვრეთ იქ, სადაც ცხოვრობთ.

***— ბატონო გოგა, თქვენ საქართველოში ჩამოსვლამდე საკმაოდ მწვავე განცხადება გააკეთეთ ამერიკის ელჩის, ჯონ ბასის მისამართით და მას საქართველოს დატოვებისკენ მოუწოდეთ...***

— მე გავაკეთე სამართლიანი განცხადება, მე დავეთანხმე და გავიმეორე ის, რაც ბრძანა საქართველოს ისეთმა ამაგდარმა, ისეთმა დამსახურებულმა პიროვნებამ, დარბაისელმა და დიდმა ხელოვანმა, როგორიც მერაბ ბერძენიშვილია, ასევე ჭაბუა ამირეჯიბი და კიდევ რამდენიმე ფიგურა ქართულ დღევანდელობაში მიუთითებს კარებზე სტუმარს, მე ვფიქრობ, რომ თავმოყვარე ადამიანმა, ღირსების მატარებელმა ადამიანმა ეს უნდა გააკეთოს. მე აბსოლუტურად ვეთანხმები, რომ 26 მაისის შემდეგ, ამერიკის შეერთებული შტატების ელჩს არანაირი მორალური უფლება არა აქვს საქართველოში ყოფნის, იმიტომ, რომ ის სასაკლაო, რომელიც იმ ღამით მოეწყო, ის არის ამ სასაკლაოს თანამონაწილე.

***— ეთანხმებით თქვენც იმ მოსაზრებას, რომ სანქცია აქციის დარბევის მან მისცა სააკაშვილს და მწვანე შუქი მან აუნთო?***

— ყოველ შემთხვევაში, მისი განცხადება და მისი პოზიცია, ზუსტად ისე იყო აღქმული სააკაშვილის მხრიდან. ჩემმა განცხადებამ გარკვეული გაუგებრობა გამოიწვია და არ იყო იმ ფორმით გამოქვეყნებული, რა ფორმითაც მე ეს გავაკეთე. მე მინდა თქვენი გაზეთის საშუალებით გავიმეორო ჩემი განცხადება, რომლითაც ჯონ ბასს მივმართავ: „ბევრ წესჩვეულებაზე აიცრუა გული თანამედროვე ქართველმა კაცმა. დიდად ვერც ზნეობით დავიკვეხნით დღეს, მაგრამ მამა-პაპის დატოვებული სტუმარ-მასპინძლობის ტრადიციისთვის არ გვიღალატია, დღემდე მოვიტანეთ, როგორც შეგვეძლო. სტუმარი ღვთისაა, ასე გადმოგვცა წინაპარმა და ჩვენც ასე გვჯერა. რა უნდა მოიმოქმედოს საქართველოში სტუმრად ჩამოსულმა კაცმა ისეთი, რომ მასპინძელმა კარებისკენ მიუთითოს. ჩემი რწმენით ძნელად თუ მოიძებნება დღეს ამ განსაცდელჩავარდნილ ქვეყანაში ისეთი ღირსეული დარბაისელი და ღვაწლმოსილი მასპინძელი, როგორიც ბატონი მერაბ ბერძენიშვილია, ამ ძირძველი ქართული წესის მცოდნე. ბატონო ბაას, მინდა იცოდეთ, რომ მერაბ ბერძენიშვილმა დადუმებული, სწორედ თქვენი უსაქციელობით შეძრული ქართველების სათქმელი გითხრათ. დიახ, თქვენ უნდა დატოვოთ ეს ქვეყანა. უნდა დატოვოთ ეს ქვეყანა თუნდაც იმიტომ, რომ თქვენი მხარდაჭერით გაგულისებულმა ავაზაკების კრებულმა საკუთარ სისხლში ჩაახშო პატიოსანი ქალების და კაცების წადილი, იცხოვრონ სამართლიან სახელმწიფოში. თუნდაც გაჭირვებულ, ოღონდ ღირსეულ ქვეყანაში. ჩვენ ბევრი რამის პატიება შეგვიძლია სტუმრისთვის, არა მისი, არამედ საკუთარი წესის პატივისცემით, თუ მან ღირსება დაკარგა, მაგრამ ყველაფერს საზღვარი აქვს. ჩვენთვის, ქართული საზოგადოების იმ ნაწილისთვის, რომელიც არ შეეგუება ამ აღვირახსნილ ძალადობას, უსამართლობას, უკანონობას, რასაც განასახიერებს საქართველოში თქვენი ფავორიტი სააკაშვილი. პირადად თქვენ უკვე დაკარგეთ ღირსება და ნუღარ დაუკარგავთ ღირსებას თქვენს ქვეყანას, რომლის ელჩიც ბრძანდებით აქ. თქვენ და თქვენი მეკავშირეების გადატვირთვის პოლიტიკაში, რუსეთის ხელისუფლების ერთიანი ძალისხმევით, საქართველოში ძალაუფლება უზურპირებული აქვს დანაშაულებრივ ორგანიზაციას, ნაციონალურ მოძრაობას და მის ბელადს მიხეილ სააკაშვილს. რუსეთი ამას თავისთვის დამახასიათებელი ფორმით ანხორციელებს — ჩექმა და ტანკი, თქვენ კი ცხვრის ტყავში გამოწყობილი მგლის. ცხვრებივით მიერეკებით ათასობით გაჭირვებაში მყოფ ქართველს სასაკლაოზე, რომელსაც დემოკრატიისთვის ბრძოლის ასპარეზად ასაღებთ, უფრო სწორად, ცდილობთ, რომ გაასაღოთ. მოწამენი ვართ თქვენებური დემოკრატიის და მისი ნაყოფის საქართველოში. ორივე ქვეყნის ხელისუფლალთ გაწყობთ ამ ტერიტორიაზე უპრინციპო, უმორალო, გარყვნილი, ვნებებსა და კეთილდღეობას დახარბებული გუნდის ძალაუფლებაში ყოფნა. იმიტომაც იცავთ ასე გულმოდგინედ, ისინი ხომ თქვენს ნებისმიერ სურვილს აღასრულებენ. სულ რომ ავღანეთში ან ერაყში გავხდეთ გასაგზავნები ქალიან-კაციანად, ან სხვაგან, სადაც თქვენნაირი ელჩები დემოკრატიის დამყარებას გადაწყვეტენ, ამერიკულად ანდა რუსულად. 26 მაისის შემდეგ თქვენ არა გაქვთ უფლება ამ ქვეყანაში ყოფნის, ამას ჩვენ გეუბნებით, მასპინძლები. კეთილი ინებეთ, მოიქეცით ისე, როგორც ეს სტუმარს შეჰფერის".



**პოლიტიკური ველიდან ჯოჯოები უნდა გავრეკოთ!**

***— როგორ ფიქრობთ, რით იყო განპირობებული ასეთი სისასტიკე?***

— ეს იყო არაადამიანების მიერ ჩადენილი ქმედება. სხვათა შორის, მე 9 აპრილის მონაწილე ვარ და ერთადერთი კაცი ვარ, ვინც მოახერხა ამ ყველაფრის გადაღება და მერე მთელს მსოფლიოში გავრცელება. რომ არა ჩემ მიერ გადაღებული კადრები, მსოფლიო ვერ გაიგებდა სიმართლეს იმის შესახებ, თუ რა მოხდა 1989 წლის 9 აპრილს საქართველოში. მაშინ საბჭოთა ფულით და საბჭოთა იდეოლოგიით გაზრდილი მანქურთები და არაადამიანები გაუსწორდნენ სასტიკად ქართველ საზოგადოებას, მაგრამ მინდა გითხრათ, რომ მაშინაც კი გენერალმა როდიონოვმა ქართველ ხალხს გასასვლელი გზა დაუტოვა. ამერიკული ფულით და ამერიკელი ინსტრუქტორების მიერ გაზრდილი რურუა-სააკაშვილი-ბოკერია-მერაბიშვილის მიერ გაზრდილმა მანქურთებმა და არა ადამიანებმა, ქართველ ხალხს და ქართველ საზოგადოებას ადგილი არ დაუტოვეს. სასაკლაო მოუწყვეს და ამის მოწმენი ვართ არა მარტო ჩვენ, არამედ მთელი მსოფლიო.

***— ბატონო გოგა, ამ პროცესების შემდეგ ბევრმა თითი ნინო ბურჯანაძის და სახალხო კრების ლიდერებისკენ გაიშვირა, რომ მათ მიზანმიმართულად დაარბევინეს აქციაო... ამასთან დაკავშირებით როგორია თქვენი პოზიცია?***

— ნონა გაფრინდაშვილისნაირი ღირსეული ადამიანი საქართველოში ძალიან ცოტაა, როგორც რეზო ესაძის და დანარჩენი ადამიანების. ასე რომ, ეს არის ლაჩარი ადამიანების ანგარიშგასწორება გაბედულ ადამიანებთან. რაც შეეხება პოლიტიკოსებს, ნინო ბურჯანაძის ჩათვლით, მე ვფიქრობ, რომ მათი პოლიტიკური მოღვაწეობა საქართველოში დამთავრდა. რაც შეეხება ამ ხელისუფლებას, სააკაშვილის მეთაურობით, ისინი არიან ყაჩაღები, მძარცველები, მარადიორები და ამიტომ მათი კარიერა უკვე დიდი ხანია დასრულდა. რაც შეეხება პოლიტიკურ ოპოზიციას საქართველოში, ამასაც წერტილი დაესვა. ამისკენ მიდიოდა ყველაფერი, კარგად ჩანდა, რომ არც ერთს იმის უნარი არ გააჩნდა, რომ საქართველოს ინტერესებისთვის ებრძოლა. როგორც წესი, საკუთარი ინტერესებისთვის, საკუთარი ამბიციებით გაჯერებულები, ყველა ეძებდა საქართველოში თავის ადგილს. როდესაც ვიწროპარტიული თუ ვიწროპირადული ინტერესები უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდა მათთვის, ვიდრე ქვეყნის მომავალი. ზღვარგადასულმა პატივმოყვარეობამ მიგვიყვანა იქამდე, რომ რეალურად საქართველოდან პოლიტიკური ველი გაქრა. ჩემი აზრით, საქართველოში პოლიტიკა ჯერ კიდევ 2008 წლის 5 იანვარს მორჩა და ეს არაერთხელ მაქვს გაცხადებული, რომ საქართველოში პოლიტიკა არ არსებობს. გარკვეული ჯგუფები, რომლებიც თავინთ თავს პოლიტიკურ პარტიებს და პოლიტიკურ გაერთიანებებს უწოდებდნენ, ცდილობდნენ, ისე წარმოეჩინათ, რომ ვითომ საქართველოში პოლიტიკა არსებობს. პოლიტიკა არის კონკრეტული ქმედება, ძალიან კონკრეტული, რომელსაც კონკრეტული შედეგები მოაქვს. თუ რომელიმე დამისახელებს, რა კონკრეტულ ქმედებას ჰქონდა ადგილი იმ ადამიანებისგან, რომლებიც თავიანთ თავს პოლიტიკოსებს და პარტიებს ეძახიან, ლაი-ლაის გარდა არაფერი სათქმელი მათ არა აქვთ, არ ჰქონიათ და არც ექნებათ მომავალში, იმიტომ, რომ მე ვფიქრობ, ქართველმა საზოგადოებამ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, მოიცილოს ეს ჯოჯოები თავიდან და დიდი ნაწილი, ვისაც პრეტენზია ჰქონდა პოლიტიკოსობაზე, თან გაყვებიან. რა თქმა უნდა, ამ საზოგადოებაში არის უამრავი პატიოსანი და წესიერი ადამიანი, პიროვნულად, ვინც დარჩება საქართველოში იმ ადამიანების და მებრძოლების რიგში, ვინც გააგრძელებენ ბრძოლას ამ სიმახინჯის წინააღმდეგ, რასაც სააკაშვილი ჰქვია. თუმცა ამას პოლიტიკური ხასიათი, ჩემი აზრით დიდი ხნის განმავლობაში არ ექნება, მანამ, სანამ სააკაშვილი არ მოსცილდება. მერე იმედია პოლიტიკური ველი საქართველოში გაიშლება, გამოჩნდებიან ახალი სახეები, ის ადამიანები, ვინც შეინარჩუნა ღირსება და ქვეყანასაც შეუნარჩუნა ღირსება თავისი მოქმედებით. ბუნებრივია, იმათაც ექნებათ თავიანთი სიტყვა სათქმელი, მაგრამ ეს იქნება აბსოლუტურად განახლებული პოლიტიკური ველი და იმედია, ეს პროცესი ძალიან მალე დასრულდება.

***— როგორ ფიქრობთ, ეს ყველაფერი დროში ხომ არ გაიჭიმება თუ ახლო მომავლის პერსპექტივაა?***

— არა მგონია, დიდი დრო დასჭირდეს. 26 მაისს სააკაშვილმა წერტილი დაუსვა თავის მითს ერთხელ და საბოლოოდ. ეს მითი აღარც საქართველოში არსებობს, აღარც ევროპაში და აღარც არსად. მე ვფიქრობ, რომ ჩვენ გავანგრიეთ ამერიკული ლობირების კედელი, რომელიც იცავდა სააკაშვილის რეჟიმს და ცდილობდა, რომ მთელს მსოფლიოში წარმოედგინა, როგორც დემოკრატიული და პროდასავლური. მე ვთვლი, რომ ამის ერთ-ერთი მაგალითია ის, რომ ჩემი განცხადების მერე, რომელიც გაკეთდა 16 ივნისს, მეორე დღეს 17 ივნისს, ამერიკის ვაშინგტონ ტაიმსში იყო პირდაპირ ციტირება. ამის შესახებ იყო საკმაოდ სერიოზული წერილი და იქ პირდაპირ იყო ნათქვამი, რომ ქართული ოპოზიცია ადანაშაულებს სააკაშვილს უკანონობაში, ძალადობაში, კორუფციაში, საკუთარი ხალხის მიმართ სისასტიკეში და ბატონ ბასს, ამერიკის ელჩს საქართველოში სააკაშვილის მხარდაჭერაში და ითხოვს მის საქართველოდან წასვლას. ასე რომ, ეს არ არის სახუმარო. არასოდეს აქამდე ადგილი არ ჰქონია. იმედი მაქვს, რომ ყინული დაიძრა და დაიძრა სერიოზულად, იმიტომ, რომ თუ ობამას ადმინისტრაციას უნდა შეინარჩუნოს სახე დემოკრატიული მოძრაობის ლიდერის მსოფლიოში, მან ერთხელ და სამუდამოდ უნდა გაწყვიტოს კავშირი ამ ავაზაკებთან, რომლებიც საქართველოში არიან მოკალათებულნი ძალაუფლებაში, იმიტომ, რომ ხელისუფლება მათთვის არავის არ მიუცია.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 84-92-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი, №89/24,
თბილქალაქპროექტის მაღლივი კორპუსი, მე-11 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 95-25-89
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.
რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია.
სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია.

# მადლობა ყოველთვის უნდა გვახსოვდეს



სრულიად საქართველოს-კათოლიკოს პატრიარქმა უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ გუშინ წმინდა სამების საპატრიარქო ტაძარში საკვირაო საღვთო ლიტურგია აღავლინა.

ქადაგებისას პატრიარქმა სილამაზის მნიშვნელობასა და უფლისადმი მადლიერების აუცილებლობაზე ისაუბრა და ბრძანა, რომ ჩვენი ლოცვა შედგება თხოვნისგან, მადლობა კი გვავიწყდება.

— ვიღებთ უფლისგან იმას, რასაც ვითხოვთ, მაგრამ მადლობა გვავიწყდება. მადლობა ყოველთვის უნდა გვახსოვდეს. ჩვენ დღეს ვმადლობთ უფალს მისი დიდი წყალობისა და ლოცვა-კურთხევისთვის. არის ერთი დიდი ცნება, რომელზეც ყველაზე ნაკლებად ვფიქრობთ, ეს სილამაზეა. ყველაზე დიდი სილამაზე უფალია. უმაღლესი და უზენაესი სილამაზე ღმერთია", — ბრძანა უწმინდესმა და დასძინა, რომ ადამიანმა ყოველთვის უნდა მიაქციოს ყურადღება ამ ცნებას.

პატრიარქმა მრევლს მოუწოდა, ტაძარში ყოველთვის ლამაზად ჩაცმულები მივიდნენ.

— ახალგაზრდები, თუნდაც თეატრში, განსაკუთრებით ლამაზად ჩაცმულები მიდიან, მაგრამ როდესაც ტაძარში მიდიან, სახლის ჩასაცმელი აცვიათ. ეს არ არის სწორი, რადგან უფალთან მიდიხარ, ამიტომ ყველაზე უკეთესი რაც გაქვს, ის უნდა გეცვას. ჩვენ ყველამ ყურადღება უნდა მივაქციოთ სილამაზეს, — დასძინა ილია მეორემ.

**მედიანიუსი**

# დღეს პეტრეპავლობის მარხვა იწყება

დღეს პეტრეპავლობის მარხვა იწყება, რომელიც 12 ივლისს, პეტრე-პავლობის დღესასწაულზე დასრულდება.

პეტრეპავლობის მარხვა ცვალებადი ხანგრძლივობისაა. ის სულთმოფენობიდან 1 კვირის შემდეგ, ორშაბათს იწყება და პეტრე-პავლობის დღესასწაულამდე გრძელდება.

სულთმოფენობის დღესასწაული, თავის მხრივ, ბრწყინვალე აღდგომის მოძრავი თარიღის მიხედვით გამოითვლება. ასე რომ, პეტრე-პავლობის მარხვის ხანგრძლივობა აღდგომის თარიღზეა დამოკიდებული. მარხვისას ოთხშაბათისა და პარასკევის გარდა, ხსნილია თევზით.

წმიდა მოციქულები პეტრე და პავლე თავიანთი მოციქულებრივი და მოწამეობრივი ღვაწლით გამორჩეულნი არიან სხვა მოციქულთა შორის, რის გამოც ეკლესია მათ იხსენიებს, როგორც თავთა მოციქულთა„. ისინი ერთდროულად აღესრულნენ იმპერატორ ნერონის დროს, 67 წელს, როდესაც პეტრე თავდაყირა გააკრეს ჯვარზე, ხოლო პავლეს თავი მოჰკვეთეს.

**მედიანიუსი**

# ძლიერმა წვიმამ რიკოთის უღელტეხილის საავტომობილო გზა მნიშვნელოვნად დააზიანა

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის რამაზ ნიკოლაიშვილის განცხადებით, ძლიერი წვიმის გამო მოვარდნილმა მდინარეებმა რიკოთის უღელტეხილის საავტომობილო გზა მნიშვნელოვნად დააზიანა.

მისი თქმით, სტიქიამ გვირაბის ორივე მხრიდან მისასვლელი გზა დააზიანა, მოვარდნილმა წყალმა ცენტრალური გზის მნიშვნელოვანი ნაწილიც ჩარეცხა.

ნიკოლაიშვილის განცხადებით, უკვე დაწყებულია გვირაბის ორივე მხრიდან გზის გაწმენდითი სამუშაოები.

მისი თქმით, მთიდან წამოსულმა მდინარეებმა რიკოთის უღელტეხილზე მდებარე კვების ობიექტებიც დააზიანა.

ამ დროისათვის რიკოთის უღელტეხილზე საავტომობილო მოძრაობა ნაწილობრივ ჩაკეტილია. დაზიანებულია გვირაბთან დამაკავშირებელი გზაც. ადგილზე მობილიზებულია სამაშველო სამსახური და საგზაო ტექნიკა.

შეგახსენებთ, რომ რიკოთის უღელტეხილზე ჩამოწოლილ მეწყერს ოთხი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა, ორი ადამიანი კი ამ დრომდე დაკარგულად ითვლება.

**მედიანიუსი**

# წყალწითელაში 13 წლის გოგონა დაიხრჩო

მდინარე წყალწითელაში 13 წლის გვანცა მორბედაძე დაიხრჩო.

უბედური შემთხვევა მაშინ მოხდა, როდესაც თბილისის ერთ-ერთი სკოლის მოსწავლეები გელათში ექსკურსიაზე იმყოფებოდნენ.

მოზარდები მდინარეში საბანაოდ ჩავიდნენ. გვანცა მორბედაძე მდინარეში ჩასვლიდან მალევე გაუჩინარდა.

შემთხვევის ადგილზე მალევე მივიდნენ სამაშველო ბრიგადები, თუმცა, გოგონას გადარჩენა ვერ მოხერხდა.

**ინტერპრესნიუსი**

# „მემარჯვენეები" ქუჩის აქციებში მონაწილეობას არ მივიღებთ!

ნათია ხურცილავა

## ინტერვიუ „ახალი მემარჯვენეების" წევრ მანანა ნაჭყებიასთან



*— ქალბატონო მანანა, ქვეყანაში პროცესები პოლარიზებულია, 26 მაისი ერთგვარი წყალგამყოფი აღმოჩნდა. როგორ შეიძლება პოლიტიკური პროცესები განვითარდეს?*

— 26 მაისმა მართლაც განსაკუთრებული პოლიტიკური ვითარება შექმნა ქვეყანაში. საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც დაუყოვნებლივ ითხოვდა ხელისუფლების შეცვლას და ჰქონდა იმის ილუზია, რომ ვიღაცა შეიძლება გამოსულიყო ქუჩაში, თუნდაც 20-30 ათასი ადამიანი და ამის გამო ხელისუფლება წასულიყო, ვფიქრობ, დარწმუნდა იმაში, რომ ასეთმა ხედვამ, მოვლენების განვითარების ასეთმა სავარაუდო სცენარმა აქტუალობა დაკარგა. საბოლოოდ უნდა მივიდეთ იმ დასკვნამდე, რომ ჯობია ეტაპობრივად და ნაბიჯ-ნაბიჯ ვიზრუნოთ ხელისუფლების შეცვლაზე, ვიდრე საზოგადოებას დავპირდეთ, რომ ერთ დღეში, ერთ კვირაში ხელისუფლებას შევცვლით. სამწუხაროდ, ქვეყანაში იყო სტერეოტიპი დამკვიდრებული, ვინც უფრო ხმამაღლა საუბრობდა, რომ ამ ხელისუფლებას შეცვლის, ვინც უფრო მეტს საუბრობდა, რომ აღარც ერთი დღის მოთმენა არ შეიძლება, აღიქმებოდა ისე, რომ ვინც ამას საუბრობდა, სწორედ ის პოლიტიკური ძალაა, რომელმაც შეიძლება მართლაც შეცვალოს ხელისუფლება. შემდეგ აღმოჩნდა, რომ ეს ყველაფერი საპნის ბუშტივით გაქრა. ამიტომ ვამბობ, ვფიქრობ, დღეს საზოგადოება დარწმუნდა, რომ დაუყოვნებლივ გინდა ხელისუფლების შეცვლა, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ამით საბოლოოდ ეფექტს მიიღებ და ისე დასრულდება, როგორც გინდა. ამიტომ წინა პლანზე უნდა წამოიწიოს პოლიტიკურმა პარტიებმა, მათმა ხედვამ, რომლებმაც გააანალიზეს განვლილი შეცდომები, დაინახეს, რა იყო არასწორი.

*— რა იყო არასწორი?*

— არაერთი აქცია ჩატარდა, არაერთი ღონისძიება იქნა გამოყენებული იმისთვის, რომ ეს ხელისუფლება წასულიყო. ამ შეცდომების ანალიზის საფუძველზე დაინახეს გზა, კონკრეტული მიმართულება, რომლითაც მართლაც არის შანსი, რომ ხელისუფლება შეიცვალოს.

*— რა გზა არის ეს?*

— არჩევნების გზა. პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ დღეს ერთადერთი გზა, რომელიც შეცვლის ამ ხელისუფლებას, არის არჩევნები. სამწუხაროდ, ჩვენი საზოგადოების მენტალიტეტში ძალიან სერიოზული ცვლილებები არ მომხდარა განვლილი 20 წლის განმავლობაში. სამწუხაროდ, საზოგადოების დიდი ნაწილი დავრჩით (ჩემს თავზეც ვიტყვი და სხვაზეც) იმ წარმოდგენებში, რომ ხელისუფლება ძალიან დიდ ხანს იქნება, რომ არ აპირებს წასვლას. რაღაცნაირად შევეგუეთ და აღმოვჩნდით იმ სტერეოტიპის ტყვეობაში, რომ ხელისუფლების შეცვლა შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ პარტიების გაერთიანებით თუ ქუჩაში გამოვლენ და ხალხს გამოიყვანენ და შემდეგ ხელისუფლება წავა. ეს აღარ განმეორდება. უნდა დავივიწყოთ, რასაც ჰქვია ქუჩაში გამოსვლით ხელისუფლების შეცვლა, ასევე უნდა დავივიწყოთ ის სტერეოტიპი, რომ საზოგადოებას არჩევნების გზით არ შეუძლია ხელისუფლების შეცვლა. წარმოვიდგინოთ თითოეული მოქალაქე, რომელსაც ხმის უფლება აქვს, მოდის საარჩევნო ყუთთან, სრულიად დარწმუნებული იმაში, რომ მისი ხმა იქნება ასახული საბოლოო შედეგზე და აკეთებს იმ არჩევანს, რომელიც მას უნდა, ამ ქვეყანაში არის სხვადასხვა პოლიტიკური გემოვნების ძალები, არიან პოლიტიკური ძალები, რომლებიც მემარჯვენე, მემარცხენე ორიენტაციის არიან, ასვეე არიან პოლიტიკური ძალები, რომლებიც უფრო კონსერვატიულ მიდგომებს უწევენ პროპაგანდას, ასევე ნეოლიბერტალიანელები. საზოგადოებას შეუძლია თავისთვის მისაღები პოლიტიკური ძალა გამოავლინოს და ერთხელ მაინც ჩვენი ქვეყნის ისტორიაში მივიღოთ პარლამენტი, სადაც ერთი პოლიტიკური ძალა არ არის წარმოდგენილი საკონსტიტუციო უმრავლესობით, არამედ წარმოდგენილია რამდენიმე მსხვილი პოლიტიკური ძალა, რომელიც სხვადასხვა იდეოლოგიას ეფუძნება. დამერწმუნეთ, ეს ბევრად უფრო მარტივი გმირობაა და ბევრად უფრო ადვილად შესასრულებელი გმირობა, ვიდრე ქუჩაში გამოსვლა, რომელიც უკვე სასიკვდილო ხიფათის შემცველია.

*— ის, რაზეც საუბრობთ, რომ პარლამენტი არ იყოს ერთპარტიული და მრავალი პარტია იყოს წარმოდგენილი, მოხდეს სისტემური ცვლილებები შესაძლებელია ამ საარჩევნო სისტემით?*

— ამ სისტემით და ამ ვითარებაში, რომ შეუძლებელია ამის გაკეთება, სწორედ აქედან გამომდინარე შეიქმნა ეს ფორმატი, რომლის ერთ-ერთი ინიციატორებიც „ახალი მემარჯვენეები" ვიყავით და ძალიან აქტიურად ვსაქმიანობთ ამ ფორმატში. ვფიქრობთ, ხელისუფლება გარკვეულწილად იმით, რომ არ წამოვა არანაირ დათმობებზე, დაამტკიცებს, რომ სწორედ ეს საარჩევნო სისტემა, მედია გარემო და ეს საარჩევნო სიები, არის ის ბერკეტი, რომლითაც მას ყოველთვის შეუძლია არჩევნების მოგება. ჩვენ სწორედ იმიტომ გამოვყავით რამდენიმე პუნქტი განსაკუთრებულად, რომ სწორედ ეს არის ის, რაც ხელისუფლებას აძლევს საშუალებას, მუდმივად მოიგოს არჩევნები. ოპოზიციურმა „რვიანმა" განაცხადა, რომ ამოსავალი არის ეს ორი. ეს რომ არ გამხდარიყო საჯილდაო ქვა, სხვადასხვა ვარიაციები შევთავაზეთ ხელისუფლებას. ვუთხარით: ერთი ხმა, რომ ერთი ამომრჩეველი უნდა იყოს ამაზე ხომ ვთანხმდებით, რატომაც უნდა შეიცვალოს საარჩევნო სიები. მეორე, ამ საარჩევნო სისტემით პირდაპირ ჯიბეში უდევს 75 მაჟორიტარული მანდატი ხელისუფლებას, რაც უნდა შევცვალოთ ისე, რომ საბოლოო ჯამში ხელმისაწვდომი იყოს დანარჩენი პოლიტიკური პარტიებისთვისაც. დღეს, ამ საარჩევნო სისტემის პირობებში არანაირი შანსი არ აქვთ ოპოზიციურ პოლიტიკურ პარტიებს. სწორედ ამ მიმართულებით ხდება ზეწოლა.

*— თუმცა, ხელისუფლება დათმობაზე რომ არ მიდის?*

— არ მოდის და სწორედ ამიტომ არის, რომ „რვიანი" ეძებს სხვადასხვა გზებს და საშუალებებს, რომ საბოლოო შედეგი დადგეს. მთელი აჟიოტაჟია ატეხილი, რომ თითქოს „რვიანი" იშლება, რომ ვიღაც რაღაცების წინააღმდეგია. მინდა განვმარტო, რომ „რვიანი" საზოგადოებას არ ატყუებდა არც მაშინ, როდესაც შეიქმნა და არ ატყუებს დღესაც. მაშინაც ვაცხადებდით, რომ „რვიანი" შეიქმნა საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებისთვის და დღესაც ვაცხადებთ, რომ მხოლოდ ამ მიზნისთვის არის შექმნილი. რაც შეეხება პოლიტიკური პარტიების თავისუფლებას თავიდანვე იყო განსაზღვრული, რომ ყველას ექნება თავისუფლება ყველა მიმართულებით. გემოვნების თუ სტრატეგიული გეგმის მიხედვით. ჩვენ ნამდვილად ვაპირებთ ჩვენი სტრატეგიული გეგმის შესაბამისად ავირჩიოთ ის თემები, რომლებიც ყველაზე აქტუალურია ჩვენი აზრით საზოგადოებისთვის. ამ მიზნით ჩვენ სტრატეგიული გეგმაც შემუშავებული გვაქვს და ყველანაირად ვცდილობთ, რომ ერთხელ მაინც ამ ქვეყნის არჩევნების ისტორიაში მოგვეცეს საშუალება, რომ აჟიოტაჟის, სტრესული სიტუაციის პირობებში კი არა, მშვიდ, წყნარ პოლიტიკურ გარემოში ჩვენი სათქმელი მივიტანოთ ჩვენს ამომრჩევლამდე. დღეს, „ახალი მემარჯვენეების" ერთადერთი მიზანი სწორედ ეს არის, ვითანამშრომლოთ საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებაზე, „რვიანის" ფორმატში თუ ინდივიდუალურადაც და შევქმნათ პირობები, რომ მოგვეცეს ამომრჩევლამდე ჩვენი სათქმელის მიტანის საშუალება.

*— თუ ჩიხური სიტუაცია გაგრძელდა, არაფერი არ შეიცვალა და ამ სისტემით ჩატარდა 2012 წლის საპარლამენტო არჩევნები, მიიღებთ მონაწილეობას?*

— განცდა მაქვს, როდესაც ჟურნალისტები ამ კითხვას სვამენ, ამ პასუხს ელიან: მაშინ ქუჩაში გავალთ და ვაიძულებთ. არა, რა თქმა უნდა, არა.

*— მაინც მიიღებთ მონაწილეობას?*

— რა თქმა უნდა. იმიტომ, რომ ჩვენ არაერთი გზა ვცადეთ. „ახალ მემარჯვენეებს" გვაქვს გამოცდილება ხელისუფლებასთან მწვავე დაპირისპირების, ჩვენ ვამბობდით, რომ რევოლუცია ქვეყანას ცუდი გზით წაიყვანდა. ასევე ჩვენ ამ ხელისუფლებას ვუპირისპირდებოდით პარლამენტში, მაშინ კონსტრუქციულ ოპოზიციას გვეძახდნენ, მაგრამ ჩვენ მწვავედ ვუპირისპირდებოდით. იმ დროს, როდესაც საჭირო იყო, ვიყავით კონსტრუქციულებიც. ჩვენ ყოველთვის გვქონდა ჩვენს არსენალში პოლიტიკური ბრძოლის ყველანაირი მეთოდი, მათ შორის აქციებიც. არასდროს უკან არ დაგვიხევია. მიუხედავად იმისა, რომ 2009 წლის აქციების მიმართ ცოტა სკეპტიკურად ვიყავით განწყობილი, მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ ჩვენი განზე დგომით ხელი არ შეგვეშალა და პირიქით, მივიღეთ გადაწყვეტილება, რაც შეიძლება მეტი წვლილი შეგვეტანა საზოგადოების დაკვეთის შესრულებაში. ამდენად, ვერავინ ვერ დაგვწამებს, რომ აქციებს გავურბივართ, რომ გვეშინია ან თეთრი ხელთათმანებით ვაპირებთ ბრძოლას, არა, მაგრამ სწორედ ამ გამოცდილებამ დაგვარწმუნა, რომ ამ გზამ ჩაიარა. ყოველ შემთხვევაში, ამ ეტაპზე ეს გზა შედეგს არ მოგვიტანს და ერთადერთი გზა არის არჩევნები. თუ ხელისუფლება არ დაიხევს უკან და ბოლომდე დარჩება იმ აზრზე, რომ ეს საარჩევნო სისტემა არის მისთვის საკონსტიტუციო უმრავლესობის გარანტი, ჩვენ ვთვლით, რომ მაინც უნდა ვიბრძოლოთ ბოლომდე. ეს უნდა გაითავისოს საზოგადოებამაც, რადგან ამ ხელისუფლების შეცვლის ბერკეტი არის ამომრჩეველში, რომელმაც უნდა ირწმუნოს საკუთარი თავის. სამწუხაროდ, ადამიანები თავიანი ოჯახის, ვიწრო, მოკლევადიანი პრესპექტივიდან ამოდიან, რომ ვიღაცას შემწეობას გაუუქმებენ.

*— ეს რეალობაა...*

— ვიღაცისთვის მწარე გამოცდილება, სწორედ იმ ადამიანებისთვის, რომლებმაც სხვადასხვა მიზეზით ხმა არ მისცეს ოპოზიციას და ხელისუფლებას დაუჭირეს მხარი, იგივე პრობლემის წინაშე დადგნენ.

*— ქალბატონო მანანა, „ახალმა მემარჯვენეებმა" წინასაარჩევნო კამპანია დაიწყო?*

— როგორც გინდათ ჩათვალეთ. ყველა ნორმალურ სახელმწიფოში ერთი, წლინახევრით ადრე იწყება წინასაარჩევნო კამპანია. ვაპირებთ, დავადგეთ იმ გზას, რომელიც სწორი გვგონია. ჩვენ შევასრულეთ საზოგადოების დაკვეთა, რომ ყველა ერთად უნდა ვიდგეთ, რამაც არ მოიტანა სერიოზული შედეგი. ამიტომ აღარ ვაპირებთ სხვის დაძახილზე სიარულს. ჩვენ, ჩვენი ხედვა გადავამოწმეთ ჩვენს მხარდამჭერებთან და სრული თანხმობა მივიღეთ.

# ადიდებულმა მდინარეებმა დუშეთის რაიონის სოფლები დატბორა

სტიქია უტევს დუშეთსაც. ძლიერმა წვიმამ მაღაროსკარის თემის სოფლები დატბორა. წყალმა წაიღო რაიონულ ცენტრთან დამაკავშირებელი გზები. განადგურებუია სახნავ-სათესი მიწები, დახოცილია შინაური ცხოველი და ფრინველი.

დაზიანებულია მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზები. დუშეთის რაიონის ათამდე სოფელს ელექტროენერგია არ მიეწოდება.

დუშეთის რაიონის გამგებლის, ლაშა ჯანაშვილის განცხადებით, მაღაროსკარში ადიდებულმა მდინარემ მთლიანად დაანგრია ერთი მცხოვრების სახლი. დატბორილია ათობით საცხოვრებელი ფართი. გამგებლის ინფორმაციით, მძიმე მდგომარეობაა ფასანაურის თემშიც. დანგრეულია ხიდები და დაზიანებულია საავტომობილო გზები.

როგორც ლაშა ჯანაშვილი აცხადებს, ანანურთან ცენტრალურ საავტომობილო გზაზე მეწყერია ჩამოწოლილი, რის გამოც გზის ამ მონაკვეთზე საავტომობილო მოძრაობა შეზღუდულია.

**ინტერპრესნიუსი**

# დასავლეთ საქართველოში უახლოეს დღეებში წვიმა შენარჩუნდება

20, 21 და 22 ივნისს დასავლეთ საქართველოში ნალექი შენარჩუნდება.

როგორც „ინტერპრესნიუსს" გარემოს დაცვის სამინისტროს პროგნოზირების ცენტრიდან აცნობეს, დასავლეთ საქართველოში ძლიერ წვიმას ძლიერი ქარიც დაერთვება. ტემპერატურა დღისით დაახლოებით 22-27, ხოლო ღამით 15-20 გრადუსი იქნება.

აღმოსავლეთ საქართველოში სინოპტიკოსები მნიშვნელოვან ნალექს არ ვარაუდობენ. ხანმოკლე წვიმაა ნავარაუდევი თბილისშიც. 22 ივნისს ღამისა და საღამოს საათებში მოსალოდნელია წვიმა. ტემპერატურა დღისით, დაახლოებით, 23-28, ღამით 15-20 გრადუსია მოსალოდნელი.

**ინტერპრესნიუსი**

# ტირანიის წინააღმდეგ ბრძოლას მაინც ვაგრძელებ!

თეა მარხვაი ე

**წინა კვირას კონსტრუქციული ოპოზიციის მხარდამჭერი საზოგადოება ძალიან შეშფოთდა. ქალაქში ხმა გავარდა, ოპოზიციური რვიანი იშლებაო. არა, ხმა კი არ გავარდა, ეს შემაშფოთებელი განცხადება ქრისტიან-დემოკრატების ერთ-ერთმა ლიდერმა გააკეთა, ოპოზიციური რვიანის დამშლელის როლში კი ალეკო შალამბერიძე მოგვევლინა.**

მას შემდეგ, რაც ოპოზიციური რვიანი არსებობს, შალამბერიძე სულ მის ქებაში იყო. ამაყობდა, რომ რვიანში შემავალი პარტიები ერთმანეთთან საერთო ენის გამონახვას ახერხებდნენ. შალამბერიძე სულ იმას ამბობდა, ოპოზიციამ ერთმანეთი არ უნდა ვლანძღოთო. ამბობდა, მაგრამ რად გინდა. ერთი კვირის წინ ისეთი ინტერვიუ მისცა, კინაღამ ქრისტიან-დემოკრატები წავიდნენ რვიანიდან.

იმ ინტერვიუდან ისე გამოჩნდა, რომ შალამბერიძემ ქდმ გია უჩავას რანგში გაიყვანა. ეს ძალიან იუკადრისა ქდმ-მ. ლევან ვეფხვაძემ თქვა, ჩვენ თუ ვინმეს შეგზავნილები ვგონივართ, რვიანს დავტოვებთო. ერის ნაწილი შეწუხდა, ჭმუნვამ შეიპყრო შალამბერიძემ. იმის მიუხედავად, რომ ამტკიცებს ქდმ უჩავასთვის არ შემიდარებიაო.

ოპოზიციური რვიანის გადასარჩენად მან მსხვერპლის გაღება გადაწყვიტა. მან ხალხის პარტია დატოვა. ეს პარტია თავის მხრივ რვიანის ფორმატში მონაწილეობს. საინტერესოა, რომ არავის უთქვამს შალამბერიძისთვის, არ გინდა წასვლა და ისევ ისე გავაგრძელოთ მუშაობა, როგორც აქამდე იყოო.

მაგრამ არა, უდანაშაულო დამნაშავე ხალხის პარტიიდან და რვიანიდან წავიდა. ამ მხრივ მან ჩვენი შს მინისტრის ბედი გაიზიარა. ათი წლის წინ ასეთ შავ დღეში ჩავარდა ვანო მერაბიშვილი. მაშინ ის მოქკავშირში იყო.

მოქკავშირელმა მერაბიშვილმა ამერიკელი ჟურნალისტი რესტორანში დაპატიჟა, სადაც ქვეყანაში არსებულ ვითარებაზე ესაუბრა. ჩვენმა მინისტრმა, რომელიც მაშინ უბრალო დეპუტატი იყო, ჟურნალისტს შინაურულად უთხრა რასაც ფიქრობდა ედუარდ შევარდნაძეზე. ის ამერიკელი ადგა და ყველაფერი დაწერა. ამის გამო მაშინ ამბები ატყდა. მოქკავშირმა მომავალი შს მინისტრი მოიკვეთა. ახლა მერაბიშვილი დიდი კაცია. ვის გამოც მოკვეთეს, ის კრწანისის რეზიდენციაში ზის.

მერაბიშვილი იქით იყოს და მოდით, ისევ შალამბერიძეს მივხედოთ. ის თავს დამნაშავედ არ მიიჩნევს, იმავე დროს ამტკიცებს, რომ ხალხის პარტიიდან წასვლა სწორი ნაბიჯი იყო. რატომ მიაჩნია ეს სწორ ნაბიჯად ამის შესახებ უპარტიო შალამბერიძე „ახალ თაობას" ესაუბრება.

***— ოფიციალური ვერსიით თქვენ ხალხის პარტია ოპოზიციური რვიანის გადასარჩენად დატოვეთ. ეს მართლა ასეა თუ იყო კიდევ სხვა რაიმე მიზეზი?***

— დღეს ქვეყანაში ძალიან სერიოზული პროცესები მიდის, რომელთა შორისაც ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებაა. ამ მიმართულებით მუშაობა უნდა გაგრძელდეს, რადგანაც ჩვენ მარტო სააკაშვილი კი არა, ტირანია უნდა დავამარცხოთ. აღარ უნდა დავუშვათ, რომ მთელი ძალაუფლება ერთი კაცის ხელში აღმოჩნდეს. ეს ძალიან საშიშია. ოპოზიციური რვიანი ამ მიმართულებით სწორ გზას ადგას, ამიტომაც ჰყავს მას ბევრი მტერი. მტერში ხელისუფლებას ვგულისხმობ, რომელსაც არ აწყობს საარჩევნო



## რატომ დატოვა შალამბერი ემ ხალხის პარტია

გარემოს გაუმჯობესება.

***— ამბობთ, ხელისუფლებაშია მტერიო და წინა კვირაში თქვენ გამოგაცხადეს რვიანის მთავარ მტრად. ასევე არ გვიპასუხეთ, ზუსტად რა მიზეზით დატოვეთ ხალხის პარტია.***

— მე კიდევ გავიმეორებ, რომ საქმე, რომელსაც რვიანი აკეთებს, ძალიან მნიშვნელოვანია. აქ ნებისმიერი განხეთქილება დაუშვებელია. აქ არაფრით არ შეიძლება ბზარის გაჩენა. ჩავთვალე, რომ მე შეიძლება გავმხდარიყავი ამ ბზარის მიზეზი. ამიტომაც დავტოვე ხალხის პარტია.

***— იქ თქვენ რა პოსტი გეკავათ?***

— პოლიტიკური მდივანი გახლდით.

***— არ გაგიჭირდათ პარტიის დატოვება?***

— ეს ძალიან ძნელად მისაღები გადაწყვეტილება იყო, მაგრამ გადავწყვიტე, რადგანაც არ მინდოდა ვინმესთვის უხერხულობა შემექმნა.

***— თქვენ ეს გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღეთ, რაც ქრისტიან-დემოკრატები აღშფოთდნენ. ისინი რვიანის დატოვებითაც კი დაიმუქრნენ. რამ გაამწარა ასე ძალიან ქდმ?***

— ჩემს ინტერვიუში გაიპარა უზუსტობა. და გამოვიდა, რომ მე ისინი შევადარე გია უჩავას, რომელიც როგორც ამბობენ, ხელისუფლების შეგზავნილი იყო სახალხო კრებაში. მე მესმის ქრისტიან-დემოკრატების.

***— რას ნიშნავს გესმით?***

— მიმაჩნია, რომ სწორად აღშფოთდნენ. სხვა პარტიაც ასე მოიქცეოდა მათ ადგილზე.

***— ინტერვიუ, რომელმაც ასეთი ამბები გამოიწვია, გამოქვეყნდა ორშაბათს. ქდმ-მ კი ორი დღის შემდეგ გაინერვიულა თავი. თქვენი აზრით, მაშინვე რატომ არ აღშფოთდნენ?***

— ამის შესახებ ქრისტიან-დემოკრატები უფრო დეტალურ ინფორმაციას მოგაწვდიან. აღშფოთებით მაშინვე აღშფოთდებოდნენ, უბრალოდ, საჯაროდ დააფიქსირეს გვიან თავიანთი აღშფოთება.

***— მართლა ძნელია, როცა ხელისუფლების მიერ შეგზავნილს გიწოდებენ. ამ მხრივ გასაგებია ქდმ-ს აღშფოთება. გასაგებია, რომ მათ მართლაც გაუჭირდებოდათ თქვენთან თანამშრომლობა, ამ ლოგიკით არც ხელისუფლებასთან უნდა თანამშრომლობდნენ. ყველას გვახსოვს, რა ბრალდებებს უყენებდა ქდმ-ს ლიდერებს 2007 წლის ნოემბერში ხელისუფლება.***

— ეს ჩემი საქმე არ არის. მე ვიცი, რომ რვიანის საქმიანობას მივესალმები, ხოლო ქდმ-ს პატივს ვცემ. ამიტომაც დავტოვე ხალხის პარტია და მასთან ერთად ოპოზიციური რვიანიც. მიმაჩნია, რომ ჩემი გადაწყვეტილება სწორი იყო.

***— სანამ დატოვებდით ხალხის პარტიას, ესაუბრეთ რვიანის ფორმატში მონაწილე პარტიებს. თუ აუხსენით, რომ რაღაცა უზუსტობა გაიპარა. გაზეთი „ვერსია" ამბობს, რომ თქვენი პრეტენზიები მათთვის მიუღებელია.***

— მე გაზეთთან დაკავშირებით არაფერს არ ვიტყვი. რვიანში შემავალ პარტიებს რაც შეეხება, მათთან მქონდა საუბარი. მათ ყველაფერი ავუხსენი.

***— როგორ რეჟიმში წარიმართა ეს საუბარი?***

— ძალიან ნორმალურად. მათ ყველაფერი გაიგეს.

***— ასეთ შემთხვევაში რას მოდიოდით პარტიიდან?***

— მე გითხარით, რომ რვიანის წამოწყებულ პროცესს ბევრი მტერი ჰყავს. მომავალში არ არის გამორიცხული, რაღაცა გაუგებრობები მოხდეს. რაღაცა შეიძლება მე დამბრალდეს. მე ამ პროცესს ყოველთვის ვუჭერდი მხარს და არ მინდოდა, რომ ეს პროცესი რამის გულისთვის შეჩერებულიყო. მე არავისზე არ მიყვარს გადაბრალება. მერე რა, რომ მართალი ვარ. მოხდა გაუგებრობა, რომელიც ჩემს სახელს უკავშირდება. და გადავწყვიტე წასვლა.

***— თქვენი წასვლის შემდეგ რვიანის წარმომადგენლებმა გვამცნეს, პრობლემა ამოწურულია და ბრძოლას ვაგრძელებთო. საინტერესოა, როგორც აგრძელებენ ბრძოლას, როცა შიგნით ძალიან სერიოზული დაპირისპირებაა.***

— მე ვერ დაგეთანხმებით, რომ რვიანის შიგნით სერიოზული დაპირისპირებაა. იქ არის განსხვავებული მოსაზრებები. რაც პრობლემა არ უნდა იყოს.

***— მერე ეს განსხვავებული მოსაზრებები დაპირისპირებას არ იწვევს?***

— არანაირად. იქ მიმდინარეობს ჯანსაღი პროცესი. გადაწყვეტილებების მიღება ერთპიროვნულად არ ხდება. მიდის სჯა-ბაასი. თითოეული გადაწყვეტილება სერიოზული კომპრომისებით მიიღწევა. ეს არის რთული გზა, რომელიც რთულად მიდის. ამის მიუხედავად ის ბევრად მყარად მიმაჩნია, ვიდრე რაღაც პოპულისტური ნაბიჯების გადადგმა.

***— ამბობენ, რომ სწორედ რვიანი დგამს პოპულისტურ ნაბიჯებს, გვიმტკიცებენ, რომ ისინი არიან ხარისხიანი ოპოზიცია.***

— არ ვიცი, არ ვიცი. არა მგონია, რომ ასე იყოს. ადამიანები თანასწორნი ვართ. ამდენად, არავინ არ იტყვის, რომ ის არის ხარისხიანი. ეს ფრაზა არასწორად იქნა აღქმული.

***— ხალხის პარტიის ლიდერმა კობა დავითაშვილმა წასვლის გამო მადლობა გადაგიხადათ, მაგას არ სჯობდა ეთქვა, რომ პარტიაში დარჩენილიყავით.***

— ნამდვილად არ სჯობდა. ჩემს წასვლაზე კობასთან ძალიან სერიოზული საუბარი მქონდა. მისთვის იოლი არ ყოფილა ჩემი გაშვება. მე პოლიტიკური მდივანი ვიყავი პარტიაში და მთელი რიგი საკითხების გადაწყვეტა მევალებოდა.

***— ახლა რას აპირებთ, დარჩებით პოლიტიკაში თუ ცოტას დაისვენებთ?***

— რა დროს დასვენებაა. მე პოლიტიკიდან წასვლას არ ვაპირებ. ჩემთვის მთავარი იყო გადარჩენილიყო ის პროცესი, რომელსაც საარჩევნო გარემოს გაუმჯობესება ჰქვია. ამ პროცესის დაწყებაში მეც სერიოზული წვლილი მიმიძღვის.

***— ისე, რომც ჩაშლილიყო, ქვეყნისთვის დიდი ტრაგედია არ იქნებოდა. ხელისუფლება არანაირ დათმობაზე არ მოდის.***

— წამოვა. ასეთი პროცესები ასე მარტივად არ სრულდება. შედეგის მიღწევას დრო და დიდი ძალისხმევა სჭირდება. თან გაითვალისწინეთ, რომ ჩვენ ტირანიასთან გვაქვს საქმე. ტირანიას კი დათმობაზე წასვლა უჭირს. მას დათმობა მოუწევს. საარჩევნო გარემოს გაუმჯობესება ნიშნავს, რომ ტირანიას არჩევნებით დავარმაცხებთ. მესმის ჩვენი ხალხის, რომ ტირანის მოშორება მალე უნდათ. მათ გასაგონად ვამბობ, რომ ტირანის რევოლუციური გზით შეცვლა ახალ ტირანიას მოიტანს. პრობლემა სააკაშვილი არაა, პრობლემა ტირანიაა. ამ პროცესს მომავალშიც დავუჭერ მხარს. თუკი რამე გამოცდილება მაქვს, ყველაფერს გამოვიყენებ. მინდა, რომ საარჩევნო გარემოს გაუმჯობესება საერთო სახალხო პროცესი გახდეს. ასე უფრო იოლად მოხდება სააკაშვილის დამარცხება.

***— ამ პროცესს ამბობთ, რომ მხარს დაუჭერთ. იმ აქციებს თუ გააგრძელებთ, რომელსაც ლაშა ჩხარტიშვილთან ერთად აწყობდით?***

— რა თქმა უნდა, გავაგრძელებთ. დევნილების, მოვაჭრეების, ვეტერანების უფლებები ირღვევა. მათ დახმარება სჭირდებათ. ასევე ძალიან მწვავედ დგას 26 მაისის საკითხი. მწვავედ დგას პატიმრების საკითხი. ამ ვითარებაში აქციები აუცილებელია.

***— ლაშა როგორ ფორმაშია? ის სულ რამდენიმე დღის წინ გაათავისუფლეს პატიმრობიდან.***

— ლაშა საბრძოლო ფორმაშია. ეს ის ადამიანია, რომელიც უსამართლობას არავითარ შემთხვევაში არ შეეგუება. ჩხარტიშვილი ბრძოლას აგრძელებს. ჩვენ მალე გვიხილავთ აქციებზე.

***— ისე ჯერ მოღონიერდეს, სხვა თუ არაფერი, 10 დღე შიმშილობდა.***

— უკვე კაი ჯანზეა ლაშა. ის სიმართლისთვის იბრძვის. მას ეს ხელისუფლება ათდღიანი პატიმრობით ვერ შეაშინებს.

***— თქვენ დარჩით პარტიის გარეშე. ასეთივე დღეში არიან ლევან გაჩეჩილაძე, კოკა გუნცაძე, გოგა ხაინდრავა. უპარტიოთა პარტიას ხომ არ შექმნიდით?***

— ეს გამორიცხულია. მიმაჩნია, რომ უპარტიოთა პარტია არის ბლეფი. პოლიტიკაში თუ ხარ, მაშინ პარტიაშიც უნდა იყო. პარტიაში თუ არ იქნები, აცაბაცა ივლი. პოლიტიკური საკითხების მოგვარებაში უპარტიობა სერიოზულად ხელს შემიშლის. ამ ეტაპისთვის ადამიანის უფლებების დასაცავად ვიბრძოლებ. ასევე ვიბრძოლებ, რომ ადამიანებს არჩევნების თავისუფლება ჰქონდეთ.

***— წინა კვირაში პარლამენტმა გვაუწყა, რომ აქციების ჩატარებასთან დაკავშირებით ახალი ცვლილებები შედის. კანონში იგივე ცვლილება შეაქვთ, რაც თავის დროზე საკონსტიტუციომ გააუქმა. ეს რას ნიშნავს?***

— იმას ნიშნავს, რომ ქვეყანაში ტირანიაა. იმასაც კი ვერ იტანენ, რომ ადამიანებმა პროტესტი გამოხატონ. ყველანაირად ზღუდავენ ადამიანებს. კანონი, რომელსაც ახლა ამზადებენ, ძალიან მზაკვრულია. ესეც გასაპროტესტებელია. პოლიციის პოლიტიზებაც გასაპროტესტებელია. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ დემოკრატიის დროშა მაღლა ავწიოთ.

# უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ვიზიტი ქუთაისში

**2011 წლის 17 ივნისს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კონსტანტინე კუბლაშვილი ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეებს, თანამშრომლებსა და მედიის წარმომადგენლებს შეხვდა.**

იმერეთის რეგიონში უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის შეხვედრები 2006 წლიდან პერიოდულად იმართება. ამჯერად სასამართლოს თანამშრომლებთან და ჟურნალისტებთან შეხვედრის მიზანი, ბოლო ერთი წლის მანძილზე სასამართლოს მომხმარებელთა გამოკითხვის შედეგების და სასამართლოში მიმდინარე სიახლეების გაცნობა გახლდათ.

ბოლო კვლევების მიხედვით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მიმართ მოქალაქეების ნდობა გაზრდილია. 2011 წ. 2-დან 18 მაისამდე ჩატარდა სასამართლოს მომხმარებელთა გამოკითხვა საქართველოს 5 რაიონულ და 3 საქალაქო სასამართლოში. სულ გამოიკითხა 3787 რესპოდენტი, მათ

კვლევის მიმდინარეობას საერთაშორისო ორგანიზაციების შორის 636 რესპოდენტი გამოიკითხა ქუთაისის საქალაქო



სასამართლოში. კითხვები ძირითადად, სასამართლოში არსებულ გარემოს, თანამშრომელთა დამოკიდებულებას მოქალაქეებისადმი, საქმის განხილვის ვადებს და სასამართლოს მიმართ ნდობას შეეხებოდა. NORLG, ABA, UNDP-ის წარმომადგენლები აკვირდებოდნენ.

კითხვაზე, რამდენ ხანს მოგიწიათ ლოდინი ვიდრე ყურადღებას მოგაქცევდნენ, ქუთაისში გამოკითხული რესპოდენტების 93,7 პროცენტი აცხადებს, რომ მომსახურება გაუწიეს დროულად ან მაქსიმუმ 10 წუთში, ხოლო 92,7 პროცენტი მიიჩნევს, რომ სასამართლოდან სრულად მიიღო მისთვის საჭირო ინფორმაცია. სასამართლოს მოხელეთა თავაზიანობას, როგორც ძალიან კარგი, აფასებს 55,1 პროცენტი, კარგი – 39,2 პროცენტი.

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ქუთაისში გამოკითხული რესპოდენტების 82,3 პროცენტი მიიჩნევს, რომ სასამართლომ მათი საქმე დროულად გადაწყვიტა.

კვლევის ბოლო შეკითხვა სასამართლოს მიმართ ნდობის საკითხს შეეხებოდა. ქუთაისის სასამართლოში მისული მოქალაქეების 71,4 პროცენტი აცხადებს, რომ ენდობა სასამართლოს, ხოლო 21,8 პროცენტი ამბობს, რომ ნაწილობრივ ენდობა.

ზუსტად ერთი წლის წინ, 2010 წლის წლის მაისში, ანალოგიური ტიპის გამოკითხვა USAID-ისა და უზენაესი სასამართლოს მიერ ჩატარდა. 2010 წლის მაისში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში გამოკითხული რესპოდენტების 62,4 პროცენტი აცხადებდა, რომ ენდობოდნენ სასამართლოს, ხოლო 2011 წლის იმავე პერიოდისთვის, ნდობის მაჩვენებელი უკვე 71,4-მდეა გაზრდილი.

# ხელისუფლებას თავისას არ გავატანინებთ!

## ჩვენ გარეშე სააკაშვილს არჩევნებს დემოკრატიულად არ ჩაუთვლიან

ქეთი ხომერიკი



**— ხელისუფლება მუშაობს იმაზე, რომ რვიანი დაიშალოს. ჩვენი მიზანი კი არის ის, რომ რვიანი არ დაიშალოს. აქედან გამომდინარე, მიდის ბრძოლა. ჯერჯერობით, ხელისუფლებას ეს არ გამოსდის და ყველა ასეთი ინციდენტი განეიტრალებულია, — აცხადებს დავითაშვილი. საინტერესოა, ხელისუფლებასა და რვიანს შორის მიმდინარე ხელჩართულ ბრძოლაში ვინ გაიმარჯვებს, ისე, სამწუხაროდ, დღემდე ყველაფერში მხოლოდ მმართველი გუნდი იმარჯვებდა, ვნახოთ, რა იქნება ახლა. „ახალი თაობა“ ეროვნული საბჭოს ერთ-ერთ ლიდერს კობა დავითაშვილს ესაუბრა.**

*— ბატონო კობა, ბოლო პერიოდია არ წყდება საუბრები რვიანში არსებულ უთანხმოება-განხეთქილებაზე, ჯერ იყო და „ახლებმა“ აქციები კატეგორიულად გამორიცხეს და ხელისუფლებასთან ინდივიდუალური მოლაპარაკებების გზა აირჩიეს, შემდეგ, ამას „ქდმ“-ს მისამართით გაკეთებული შალამბერიძის ცნობილი განცხადება მოჰყვა, რა ხდება, რვიანი იშლება?*

— ხელისუფლების დიდი სურვილია და მუშაობს კიდეც იმაზე, რომ რვიანი დაიშალოს. ჩვენი სურვილი და მიზანი კი არის ის, რომ რვიანი არ დაიშალოს და აქედან გამომდინარე, მიდის ბრძოლა. ჯერჯერობით, ხელისუფლებას ეს არ გამოსდის და ასე ვთქვათ, ყველა ასეთი ინციდენტი განეიტრალებულია.

*— ითქვა ისიც, რომ „რვიანში“ შემავალი პარტიის ლიდერები ერთმანეთს აღარ ენდობით, ეს ასეა, ბატონო კობა?*

— რას ნიშნავს, ერთმანეთს აღარ ვენდობით, უკაცრავად, და ვინ თქვა ეს?

*— კულუარებში მსგავსი საუბრები არ წყდება...*

— ჰოდა, კულუარებს ჰკითხეთ, მაშინ რას გულისხმობენ ამაში. მე ასეთი ტიპის განცხადებები ყოველთვის უცნაურად მეჩვენება.

*— 16 ივნისს გაცხადდა, რომ ინდივიდუალურ მოლაპარაკებებზე გადავდივართ, რაც იმას ნიშნავს, რომ „რვიანის“ ფორმატზე უარს ვამბობთ, ეს ვეფხვაძის განცხადებაა, ამაზე რაღას იტყვით, ეს რაზე მიუთითებს, შემთხვევით რვიანის დაშლაზე ხომ არა?*

— არა, ეს ინფორმაციის არქონაზე მიუთითებს. ბატონი ვეფხვაძე, სამწუხაროდ, არ ესწრება ხოლმე რვიანის შეკრებებს ამ ბოლო დროს და როგორც ჩანს, მას ინფორმაცია არ აქვს იმის შესახებ, თუ რა გადაწყვეტილებებს იღებს რვიანი, რაც სამწუხაროა, მაგრამ ტრაგიკული არ არის. ის მიიღებს ამ ინფორმაციას და გადახედავს თავის მოსაზრებებს.

*— გასაგებია, რომ ხელისუფლება ცდილობს რვიანის დაშლას, ეს ბუნებრივიც იყო, ისე ხელისუფლებამ როგორ უნდა დაშალოს რვიანი და საერთოდაც, რაზე არის დამოკიდებული რვიანის დაშლა-არდაშლა?*

— რვიანი შეიქმნა ერთადერთი მიზნით და ეს მიზანია, მოლაპარაკებებზე ერთი მხარის დაჭერა ხელისუფლებასთან, ანუ რვიანმა ხელისუფლებას არ უნდა მისცეს იმის საშუალება, რომ რაიმე სახის სეპარატისტული მოლაპარაკებები აწარმოოს, ასე ვთქვათ, ცალკეულ ოპოზიციურ პარტიებთან და რვიანი ამას ახერხებს კიდეც. ხელისუფლება კი ამაზე ღიზიანდება, ნერვიულობს და ცდილობს ეს ასე არ იყოს, მაგრამ არ გამოსდის. მთავარი მიზანი რვიანისა მიღწეულია, რადგან აშშ სახელმწიფო დეპარტამენტმა განაცხადა, რომ ვერ ჩაითვლება დემოკრატიულად ისეთი არჩევნები, რომელიც არ შედგება იმ კანონის საფუძველზე, რომელიც წარმოადგენს ხელისუფლებისა და ოპოზიციის შეთანხმების, ასე ვთქვათ, პროდუქტს. ხოლო ტერმინი ოპოზიცია საქართველოში ძალიან კონკრეტულია და მოიცავს 17 კვალიფიციურ პოლიტიკურ სუბიექტს, აქედან 9-ის ხმა კი რვიანს აქვს.

*— ეგ კი, მაგრამ ბზარგაჩენილ რვიანს მაინც რისი იმედი აქვს?*

— კი, მაგრამ კი არა, ეგ არის მთავარი. დანარჩენი ყველაფერი, ამასთან შედარებით მეორე და მეათეხარისხოვანია. რაც შეხება ბზარს, ვიმეორებ, რვიანში ბზარი არ გაჩენილა და იმას, რომ ბზარი არ გაჩენილიყო, სხვათა შორის, ალეკო შალამბერიძემ თავისი პოლიტიკური კარიერა შესწირა.

*— და ამის მიუხედავად ვეფხვაძე მაინც რვიანის დაშლაზე საუბრობს, ისე, რა აუცილებელობას წარმოადგენდა შალამბერიძის მხრიდან პარტიის დატოვება, ამას თავს ვერანაირად აარიდებით, პრინციპული საკითხი იყო? და გული არ დაგწყდათ?*

— „ქდმ“ დაშლის შესახებ აღარ აკეთებს განცხადებებს მას შემდეგ, რაც ბატონმა ალეკომ მიიღო ეს გადაწყვეტილება. რა თქმა უნდა, დამწყდა გული, ალეკო შალამბერიძე განსაკუთრებული მდგომარეობის ადამიანი იყო ხალხის პარტიაში, მაგრამ მისი წასვლა აუცილებელი იყო, როგორც ჩანს.

*— ჩვენ მას შემდეგაც მოვისმინეთ ვეფხვაძისგან განცხადებები რვიანის შესაძლო დაშლის შესახებ და მაინც, იქნებ გვითხრათ, აქციების გარდა კიდევ რაზე ვერ თანხმდებით?*

— და ვთანხმდებით-მეთქი, უკაცრავად, მაგრამ თქვენ დამირეკეთ ერთი წინასწარი განწყობით, რომ რვიანი რაღაცაზე ვერ თანხმდება და იშლება, მე კიდევ გეუბნებით, რომ ეს ასე არ არის.

*— ანუ სრული იდილია გაქვთ და ყველაფერზე თანხმდებით?*

— სრული იდილია არ გვაქვს, ყველა პარტიას თავისი პოზიცია აქვს. ჯერ ერთი, დავიწყოთ იქიდან, რომ რვიანი არ არის ბლოკი და ჩვენ არ ვართ ვალდებული ერთი პოზიცია გვქონდეს, აქციებზე, სოციალურ საკითხებზე და ა.შ.

*— რვიანი თემატური ერთობაა მხოლოდ არჩევნების გარშემო და ერთიანები არ ხართ, ანუ ერთნი, აქციების მომხრე არ ხართ, მეორენი, აქტიურ მოქმედებებზე გადასვლას არ ჩქარობთ, მესამენი, ჯერ არ ვიცით... ალბათ, მალე გამოჩნდება...*

— არა, რვიანი თემატურ ერთობაზე უფრო მაღლა დგას. რვიანი საერთაშორისო სამართლებრივი დატვირთვის მქონე სუბიექტია. კიდევ ერთხელ გიხსნით, რვიანი თავის თავში ტერმინ ოპოზიციის საკონტროლო პაკეტს მოიცავს, ანუ თუ არ შედგა რვიანთან შეთანხმება შემდეგი საპარლამენტო არჩევნების ლეგიტიმურობა სერიოზული კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება, ანუ იმ არჩევნების შედეგებს საერთაშორისო საზოგადოება არ ცნობს და ამის შესახებ ვარაუდები კი არ არის, არამედ წინასწარი განცხადებებია. ვიმეორებ, აშშ სახელმწიფო დეპარტამენტმა განაცხადა, რომ თუ არ შედგება ოპოზიციასთან შეთანხმება, ასეთი გარემოს პირობებში ჩატარებული არჩევნები დემოკრატიულად ვერ ჩაითვლება. ტერმინი ოპოზიცია მოიცავს 17 სუბიექტს, აქედან 9 არის რვიანში და ქდმ ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ქდმ 2 სუბიექტს წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, რვიანის მთავარი ამოცანაა, რომ არ მოხდეს სეპარატული შეთანხმება ხელისუფლებისა ცალკეულ პარტიებთან და რვიანის გარეშე ვერავისთან ეს შეთანხმება ვერ გაფორმდება, რადგან იქით მხარეს დარჩენილ პარტიებშიც ისე არ არის, რომ ვისაც უნდა ხელისუფლება დაუძახებს, ხომ, მაგალითად, იგივე ლეიბორისტები, შეიძლება ერთმანეთში ბევრი ვიკამათოთ, მაგრამ ხელს არ მოუწერენ ხელისუფლებას ასეთი ტიპის შეთანხმებაზე. დარწმუნებული ვარ, იგივე სამართლიანი საქართველოც ასე მოიქცევა.

*— ეს ის სამართლიანი საქართველოა რესპუბლიკელების წინააღმდეგ, ასე ვთქვათ, რომ გაილაშქრა, არა?*

— დიახ, რაც სამწუხარო ამბავია, მაგრამ მიუხედავად ამისა, დარწმუნებული ვარ, რომ ხელისუფლებას ისინიც არ მოუწერენ ხელს. არც ჯონდი ბაღათურია მოუწერს არჩევნების წინ ისეთ რამეს ხელს, რომელიც მიუღებელი იქნება საზოგადოებისთვის. და თუ ხელისუფლებამ მაინც დაშალა რვიანი, შემდეგ, ბუნებრივია, ახალი რვიანის ფორმირების მეტი შანსი აქვს და შეიძლება ბევრმა გადასინჯოს კიდეც თავისი პოზიციები. ამიტომ ჩვენი თვითმიზანი, პრაქტიკულად რვიანის შენარჩუნებაა. სანამ რვიანი არსებობს, ხელისუფლება ვერ იპრავებს არალეგიტიმურ არჩევნებს.

*— და რას ნიშნავს, თუ ხელისუფლებამ დაშალა რვიანი, რვიანის არსებობა-არარსებობა ძირითადად ხელისუფლებაზეა დამოკიდებული და საერთოდაც, რატომ დადგა რვიანის დაშლა-არდაშლის საკითხი, თქვენ ხომ ერთ მუშტად შეკრული იყავით და საკითხი ასე არ იდგა...*

— ჩვენ, ასე ერთ მუშტად შეკრული და ერთიანები,რომ ვართ, ეს გარკვეულ ფასად გვიჯდება ხომ და მინდა გითხრათ, რომ ეს ფასი ძალიან სერიოზულია. ხალხის პარტიას ეს ალეკო შალამბერიძის ფასად დაუჯდა, მინდა გითხრათ, რომ ქდმ-ც ძალიან დიდ ზეწოლას უძლებს, ისევე როგორ, ყველა ჩვენი კოლეგა და აქედან გამომდინარე, ჩვენ ვაფასებთ ერთმანეთის ღვაწლს და ვუფრთხილდებით ერთმანეთს.

*— გასაგებია და თუ არანაირ დათმობაზე არ წამოვიდა ხელისუფლება, ამ შემთხვევაში რა ხდება?*

— თუ ხელისუფლება არანაირ დათმობაზე არ წამოვიდა, ამ შემთხვევაში ის არჩევნები ლეგიტიმურად ვერ ჩაითვლება, ამიტომ თუ დათმობაზე არ წამოვიდა, წაგებული რჩება არა რვიანი, არამედ ხელისუფლება. და როდესაც ჩვენი რადიკალი კოლეგები, არ ვიცი, გულწრფელად, თუ, არ ვიცი, ხელისუფლებას რადიკალებშიც ჰყავს თავისი ხალხი და ამიტომ კითხულობენ, როდის დასრულდება რვიანის პროცესი, მიკვირს ხოლმე. ეს არ უნდა დასრულდეს არჩევნების დღემდე და თუ რვიანი არ დასრულდა არჩევნების დღემდე და რვიანთან არ შედგა შეთანხმება, ასეთი არჩევნების ლეგიტიმურობა კითხვის ნიშნის ქვეშ დგას და დადგება კიდეც. ისე, რატომ უნდა დასრულდეს რვიანი და მაინტერესებს ვის აწყობს რვიანის დასრულება?

*— ალბათ, მხოლოდ ხელისუფლებას... და თუ არ შეიცვალა საარჩევნო გარემო არჩევნებში მონაწილეობას მიიღებთ, ბატონო კობა?*

— ამას ყველა პარტია თავად გადაწყვეტს და ჯერ ამაზე ლაპარაკი, ძალიან ნაადრევია, რადგან ჩვენ შუა მოლაპარაკების პროცესში ვართ და ამაზე რაიმე ტიპის განცხადებები მოლაპარაკების პროცესზე დადებითი, ან უარყოფითი თვალსაზრისით აისახება, ამიტომ ეს შეკითხვა უადგილოა დღეს.

*— გამყრელიძემ განაცხადა, რომ არჩევნებში მონაწილეობას ყველა შემთხვევაში მიიღებს და დამაინტერესა, როგორია ეროვნული საბჭოს პოზიცია ამ საკითხზე, აი, ამიტომაც გკითხეთ...*

— ბატონმა დავითმა ამ ტიპის განცხადება რომ გააკეთა, ძალიან იჩქარა. როდესაც შუა მოლაპარაკების პროცესში ვართ, მიდის ხელისუფლების მხრიდან ჩვენი დაშლის მცდელობა, ვართ კონცენტრირებული იმაზე, რომ არ დავიშალოთ, მივაღწიოთ მოლაპარაკებებში წარმატებას და ამ მოლაპარაკებებში რაც შეიძლება უკეთეს ვარიანტს მივაღწიოთ, ასეთი განცხადებები უბრალოდ, ნაჩქარევი მგონია. მე ასე ვთვლი, თუმცა ეს, აბსოლუტურად, ლეგიტიმურია და მას აქვს ამის უფლება. და მე არ ამაქვს უფლება, ეს განცხადება დადებითად, ან უარყოფითად შევაფასო, ეს იმ პარტიის კომპეტენციაა, რომელმაც ეს განცხადება გააკეთა.

*— კეთილი, რაც შეეხება მოლაპარაკებებს, კუბლაშვილის განცხადებით, ინდივიდუალური შეხვედრები „რვიანის“ წევრებთან საარჩევნო კონსულტაციებზე კვლავ გაგრძელდება, კონკრეტულად თქვენ რას აპირებთ, ხელისუფლებასთან ინდივიდუალურ რეჟიმში მოლაპარაკებებს გამართავთ?*

— მინდა განვმარტო, ინდივიდუალურ რეჟიმში მოლაპარაკება რას ნიშნავს და ჩვენ როგორ გვესმის. ინდივიდი ამ მოლაპარაკებებში არის რვიანი. კაციტაძე რომ შეხვდა კუბლაშვილს, ის არა ახალ მემარჯვენეებს, არამედ რვიანს წარმოადგენდა. კაციტაძე მოვიდა, მიიღო მანდატი და რწმუნება და აქედან გამომდინარე, წარმოადგენდა რვიანს. ისეთი ტიპის მოლაპარაკება, რომელიც გულისხმობს შეთანხმების მიღწევას ცალკე, არ წარიმართება, ანუ რვიანის ცალკეული წარმომადგენლები რვიანის დავალებით და მანდატით შეხვდებიან ხელისუფლების წარმომადგენლებს.

*— თუმცა, ქდმ-ს ერთ-ერთ წარმომადგენელს, ვეფხვაძეს ვგულისხმობ, სხვანაირად ესმის ინდივიდუალურ რეჟიმში მოლაპარაკება...*

— დიახ, მთლიანად ქდმ-ს არა, მხოლოდ ვეფხვაძეს, რომელიც არ ესწრებოდა იმ სხდომას, სადაც ქდმ-ს სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა, გოჩა ჯოჯუამ ასეთივე მანდატით აღჭურვა მამუკა კაციტაძე.

*— ხელისუფლებას სურს მოლაპარაკებები „რვიანთან“ სწორედ კონკრეტული შედეგის მისაღწევად, რისთვისაც მან ერთი კვირის ვადა ითხოვა“, — აღნიშნა კაციტაძემ, გჯერათ, რომ ხელისუფლება გულწრფელია, რას ელით, ბატონო კობა?*

— იცით, ხელისუფლებამ ერთი კვირა იმიტომ აიღო, იმედოვნებს, რომ ამ ერთ კვირაში ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ რვიანი დაშალოს. ჩვენ კი დარწმუნებული ვართ, რომ ამას ვერ მოახერხებს და აქედან გამომდინარე, მოუწევს რაღაცის თქმა. ეს რაღაცა რამდენად არსებითი იქნება, თუ კოსმეტიკური და ასე ვთქვათ, მხოლოდ არა რეალური განცხადებებით შემოიფარგლება, ამას დრო გვაჩვენებს. ამის პროგნოზირება მიჭირს, უბრალოდ, მინდა ვუთხრა ხელისუფლებას, რაც მალე და რაც უფრო რეალური შეთანხმების პროექტს დადებს მაგიდაზე, ბევრად უკეთესი იქნება მისთვის, რადგან კიდევ ერთხელ ვამბობ, რვიანის გარეშე არჩევნების ლეგიტიმურობა დადგება კითხვის ნიშნის ქვეშ. და ეს კობა დავითაშვილის კი არა, არამედ აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის მოსაზრებაა.

*— და იქნებ მითხრათ, ახლა, რაზეა რვიანი შეთანხმებული და კონკრეტულ მოქმედებებზე როდის გადადიხართ?*

— რვიანი შეთანხმებულია მთავარ საკითხზე ხელისუფლებასთან სეპარატული შეთანხმება არ შედგება. ჩვენ, კონკრეტულ მოქმედებებზე გადავედით უკვე, ვაგრძელებთ საზოგადოებასთან შეხვედრებს და მუშაობა საზოგადოების ინფორმირების და მხარდაჭერის მოპოვების მიზნით გაგრძელდება. ჩვენ, ასევე შეთანხმებული ვართ გამოკითხვის იდეაზე, ანუ ხალხში უნდა ჩავატაროთ ინფორმირების და გამოკითხვის კამპანია.

*— და რაც შეეხება ფინანსებს?*

— თანხები რაც გვაქვს, რისი შესალებლობაც გვაქვს, ანუ შემოწირულობას რასაც მივიღებთ, პარტიები იმას შევკრებთ და ასე გავაკეთებთ ყველაფერს. რამხელაზეც გაგვწვდება ფეხი, საბანს ისე დავიხურებთ.

*— ისე, თქვენი ყოფილი თანამებრძოლის, კუკავას სიტყვები ხომ არ ახდება, დავახურებთ კუბოს თავსახურს, ბატონო კობა?*

— რა ვიცი, ფრანკენშტეინებივით ვარ, ასეთია ცხოვრება.

### ბათუმიდან ბაქოს მიმართულებით პირდაპირი ავიამიმოსვლა დაიწყო

ბათუმიდან ბაქოს მიმართულებით პირდაპირი ავია მიმოსვლა დაიწყო.

როგორც „მედიანიუსს“ კომპანია „აირზენაში“ განუცხადეს, ავიარეისები ბათუმი-ბაქო-ბათუმი ტურისტულ სეზონთან დაკავშირებით დაინიშნა და სექტემბრის ბოლომდე გაგრძელდება. ჩარტერული რეისი კვირაში ორჯერ შესრულდება.

„სეარჯის“ ტიპის თვითმფრინავი 50 მგზავრზეა გათვლილი. პირველ რეისს ბათუმში 48 მგზავრი ჩამოჰყვა. ტურისტებთან ერთად იყვნენ აზერბაიჯანული ტურისტული კომპანიების წარმომადგენლებიც, რომლებიც ადგილობრივ ტურისტულ ინფრასტრუქტურას შეისწავლიან.

შეგახსენებთ, რომ 21 ივნისიდან ბათუმიდან პირადაპირი ავიამიმოსვლა მოსკოვის მიმართულებითაც დაიწყება. **მედიანიუსი**

### საქართველოს პოლონეთის სეიმის თავმჯდომარე ეწვევა

20 ივნისს საქართველოს ოფიციალური ვიზიტით პოლონეთის რესპუბლიკის სეიმის თავმჯდომარე გჟეგოჟ სხეტინა ეწვევა. დაგეგმილია მისი შეხვედრა პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან, პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძესა და ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის წარმოამდგენლებთან.

ვიზიტის ფარგლებში პოლონეთის სეიმის წევრები: იან ოლდაკოვსკი და მიხალ იაროსი ღირსების ორდენით დაჯილდოვდებიან. პოლონეთის ოფიციალური დელეგაცია მცხეთაშიც გაემგზავრება, სადაც ღირსშესანიშნაობებს დაათვალიერებს. პოლონელი სტუმრები ასევე ეწვევიან დავით სარაჯიშვილის სახელობის კონიაკის ქარხანას და ადგილობრივ პროდუქციას დააგემოვნებენ.

გჟეგოჟ სხეტინა საქართველოს 21 ივნისს საღამოს დატოვებს. **მედიანიუსი**

თქვენი ზარით შეეწიეთ
ბებნისის დედათა მონასტრის
მშენებლობას
მაგთის, ჯეოსელის, ბილაინის აბონენტებმა დარეკეთ ნომერზე 700 605
ღმერთმა შეგეწიოთ!
ზარის ღირებულება 1 ლარი

ქეთი ხომერიკი

# პოლიციელის ოჯახის შეგინებისთვის პატიმრობა გელით!

**„შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ კანონში, ისევე, როგორც „სისხლის სამართლის კოდექსში“, მალე ცვლილებები შევა. მანიფესტაციების ჩატარების წესთან დაკავშირებით საპარლამენტო უმრავლესობა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმებას გეგმავს. კანონპროექტის თანახმად, მანიფესტაციების ჩატარება, ფაქტობრივად, შეუძლებელი ხდება. ოპოზიციური ძალებისთვის კანონში მსგავსი ცვლილებების შეტანა მიუღებელია და ისინი ამის გაპროტესტებას აპირებენ.**

— შეუძლებელია, სახელმწიფოს ადამიანის სიცოცხლე უფრო ნაკლები გიღირდეს, ვიდრე პოლიციელის ოჯახის წევრის შეურაცხყოფა. ეს არის სამარცხვინო და კიდევ ერთი დადასტურება იმისა, რომ სააკაშვილი აშენებს არა ადამიანების თავისუფლებაზე ორიენტირებულ სახელმწიფოს, არამედ პოლიციურს, — აცხადებს ხიდაშელი. „ახალი თაობა“ გთავაზობთ მასთან ინტერვიუს.

***— თქვენი აზრით, რისთვის სჭირდება მმართველ გუნდს „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ კანონში მსგავსი ტიპის ცვლილებების შეტანა და, საერთოდაც, მაინცდამაინც 21 მაისის აქციების შემდეგ რატომ გახდა აუცილებელი კანონში ამ ცვლილებების შეტანა?***

— ჩემი აზრით, მთავარი მიზეზი ის არის, რომ ხელისუფლება 2012 წლის არჩევნებისთვის ემზადება ყველა ფორმით, მათ შორის, „პრევენციულ“ ღონისძიებასაც მიმართავს მისთვის რაიმე სერიოზული გართულებების, მისი აზრით, თავიდან ასაცილებლად. ყველა აქციის შემდეგ ჩვენ ერთი და იგივე ტენდენცია ვნახეთ, ანუ



საქართველოს პარლამენტი ყველა აქციის შემდეგ იღებს ცვლილებებს ამ კანონში მის დასამძიმებლად, რაც სრულიად ალოგიკურია, რადგან, 2 ნოემბერი თუ გამეორდა საქართველოში, ვერანაირი კანონის ცვლილება ამას ველარ უშველის და ხალხის იმ რაოდენობას, რაც თბილისის ქუჩებში გამოვიდა 2007 წელს, ვერანაირი რეპრესიული მანქანა ველარ გააჩერებს. ხელისუფლებას ვურჩევდი, ამ კანონში შეზღუდვების დაწესების ნაცვლად იმ გასაჭირს მოუსმინოს, რომელიც ხალხს აქვს და, თუ ხალხს პრობლემების მოგვარების იმედი გაუჩნდება, მმართველ გუნდს არანაირი კანონის შეზღუდვა აღარ დასჭირდება.

***— ხელისუფლება გამუდმებით იმეორებს, რომ მარგინალური ჯგუფების მიერ გამართულ აქციებს სერიოზულად ვერ აღიქვამს, რადგან მათ ხალხი მხარს არ უჭერს და პირიქით ხომ არ არის, მეტიც, ხელისუფლებას აქციები ხომ არ აშინებს და ეს ცვლილებებიც ამაზე მიუთითებს?***

— ხელისუფლებას აქციების რომ არ ეშინოდეს, ამ სისულელეებს არ ჩაიდენდა, ვგულისხმობ იმას, რასაც ახლა აკეთებენ ამ კანონში ცვლილებების შეტანით, რადგან ამ ცვლილებებში იმდენი სასაცილო რამ წერია, რომ ამას მხოლოდ იმ ტიპის ხელისუფლება გააკეთებდა, როგორიც ჩვენ გვყავს ქვეყანაში. აქ ის არ არის საქმე, რომ გული უსკდებათ და გარდაუვლად ელოდებიან, თითქოს აქციებით რაიმე ისეთი მოხდება, რაც მათ პოლიტიკურ ცხოვრებას დაასრულებს, არა, უბრალოდ, ეს არის თავის დაზღვევა, რადგან ხელისუფლებამ კარგად იცის საკუთარი ხასიათი. დიახ, სააკაშვილმა მშვენივრად იცის, რომ ნებისმიერი აქცის დაშლის ბრძანების გაცემის ნაცვლად დარბევის ბრძანებას გასცემს ხოლმე. ამიტომ, როგორც ჩანს, საკუთარი ძალადობის უფრო მეტად ეშინია, ვიდრე იმისი, რომ საზოგადოება რაღაც საოცრებას ჩაიდენს აქციებზე.

***— ამ ცვლილებების თანახმად, აქციის დასაშლელად უამრავი მიზეზი ეძლევა ხელისუფლებას. გამოდის, რომ ეს ცვლილებები საჭიროა იმისთვის, რომ მშვიდობიანი აქციის დაშლა, ასე ვთქვათ, ლეგიტიმური გახდეს ხელისუფლებისთვის?***

— სწორედ საკუთარი ძალადობის ლეგიტიმაციას ცდილობს სააკაშვილი ამ ცვლილებებით, მაგრამ ეს შეუძლებელია, არ გამოუვა, რადგან იმას, რასაც აკეთებენ აქციის დარბევის დროს, ბუნებრივია, კანონში ვერ ჩაწერენ. თუ კანონში ჩაწერენ, რომ მიწაზე დაწოლილი, ხელებშეკრული, უკვე დაკავებული ადამიანი შეიძლება ცემო, ეს უკვე დიქტატურის შესახებ კანონია.

***— როგორი იქნება საერთაშორისო საზოგადოების რეაქცია ამ ყველაფერზე? მინაშვილის განცხადებით, კანონში შესატანი ცვლილებები ვენეციის კომისიასთან იყო შეთანხმებული...***

— ჩვენ რეაქცია უკვე გვაქვს ვენეციის კომისის დასკვნის სახით, რომელზეც ხელისუფლების წარმომადგენლები გვეუბნებიან, მოიწონაო, თუმცა, სინამდვილეში, იქ სრულიად სხვა რამე წერია. ეს არის საჯარო, ღია დოკუმენტი, რომელიც ვენეციის კომისიის ვებგვერდზე დევს, ნებისმიერ ადამიანს შეუძლია წაიკითხოს და ნახავს, რომ საკმაოდ მკაცრი შეფასება აქვს მიცემული კომისიას ამ ცვლილებებისთვის. ყველა ადამიანი, რომელიც ფლობს ინგლისურ ენას და ამბობს, მოგვიწონა ვენეციის კომისიამო, მაგალითად, მინაშვილი ცალსახად და შეგნებულად იტყუება, ხოლო ის ხალხი, რომელიც ისე კარგად არ ფლობს ენას, შეიძლება, უბრალოდ, არასწორად კითხულობს და ჰგონია, რომ მოუწონეს. ეს პავლე კუბლაშვილზე შემიძლია გითხრათ. შესაძლებელია, ვიღაცა შეგნებულად გვატყუებდეს, ვიღაცა კი კითხულობდეს იმას, რისი წაკითხვაც უნდა. არ დაგვავიწყდეს, ეს ის ხელისუფლებაა, რომელმაც ჰააგის სასამართლო გადაწყვეტილებაზე გვითხრა, მოვიგეთო, ამიტომ აქ რაღაცა დიდი განმარტებები არ გვჭირდება იმის დასამტკიცებლად, რომ ეს ხელისუფლების მორიგი ტყუილია და, სამწუხაროდ, ბოლო ნამდვილად არ არის.

***— ხელისუფლებას წინ ვერავინ და ვერაფერი აღუდგება და კანონში ამ ცვლილებებს, ალბათ, უდავოდ შეიტანს, არა, ქალბატონო თინა?***

— დიახ, მიიღებენ, თუმცა, შეიძლება, პატარა ცვლილებები შეიტანონ, რადგან გადადეს პროცესი, თუმცა, აქ მეორე ვარიანტიც არსებობს — შეიძლება, გადადეს იმიტომ, რომ შემდეგ ბრძანონ, წარმომადგენლობითი იყო განხილვაო, მაგრამ ისევ იგივე მიიღონ, ანუ ვერ დაარწმუნეს ოპონენტებმა საკუთარი აზრების ჭეშმარიტებაში, გვეტყვის შემდეგ კუბლაშვილი.

***— თქვენ თუ აპირებთ გააპროტესტოთ და საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართოთ?***

— ამ ფორმით თუ მიიღეს, რა თქმა უნდა, მე ვაპირებ, რომ საკონსტიტუციო სასამართლოში წავიღო, რადგან ეს კანონი ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ეს ჩემი ცხოვრებაა. ეს არ არის უბრალოდ პოლიტიკა, რადგან მე მთელი ჩემი ცხოვრება მაინც ადამიანის უფლებების დამცველად დავრჩები, პოლიტიკაშიც რომ ვიყო, მაინც.

***— მოკლედ, აქციები წარსულში დარჩება. კანონში ამ ცვლილებების შესვლის შემდეგ, ფაქტობრივად, აქციას ველარ ჩაატარებ და ადამიანი თავისი გასაჭირის გაპროტესტება-დაფიქსირების და არა ხელისუფლების დამხობის მიზნით ქუჩაში ველარ გამოვა, ხომ?***

— დიახ, ამ ცვლილებების შემდეგ აქციის ჩატარებას თუ მაინც მოახერხებთ, თავისთავად დაიშლებით. აი, მაგალითად, ხორცის მოვაჭრეები რომ გამოვიდნენ და თბილისის მერიის წინ ჩაატარონ აქცია, უბრალოდ, სოფლის მეურნეობის სამინისტრო სად არის, არ ვიცი და იმ სამინისტროზე ვერ ვლაპარაკობ, გარწმუნებთ, ვერ ჩაატარებენ, რადგან კანონს ვერ დაიცავენ, იმიტომ რომ იქ

გაგრძელება მე-7 გვერდზე

# მართლმსაჯულების მიმართ მოქალაქეების ნდობის მაჩვენებელი

***სასამართლოში მისული მოქალაქეების 75 პროცენტი აცხადებს, რომ ენდობა სასამართლოს - ასეთი გახლავთ, 2011 წლის მაისის თვეში ჩატარებული გამოკითხვის შედეგები.***

***აღსანიშნავია, რომ ბოლო პერიოდში სასამართლოები მომხმარებელთა გამოკითხვას საკუთარი რესურსებით ატარებენ, რადგანაც, როგორც სასამართლოებში აცხადებენ, კვლევას აქვს ერთი უმთავრესი დანიშნულება - სასამართლოებში არსებული პრობლემების დანახვა, მათი ანალიზი და სიტუაციის გამოსწორებაზე მუდმივი ზრუნვა.***

ბოლო წლების მანძილზე საერთაშორისო ორგანიზაციების თუ საკუთარი რესურსებით ჩატარებულმა გამოკითხვებმა, რომელთაც სისტემატური ხასიათი ჰქონდა, ერთი ძალზე მნიშვნელოვანი საკითხი გამოკვეთა – ქართული მართლმსაჯულების მიმართ მოქალაქეთა ნდობის დინამიკა ბოლო ხუთი წლის მანძილზე საგრძნობლად გაზრდილია - ნდობის მაჩვენებელი ყოველწლიურად მატულობს.

საქმის გადაწყვეტის ვადები, სასამართლოს თანამშრომელთა მხრიდან დამოკიდებულის შეფასება, სასამართლოს მხრიდან ინფორმაციის გაცემის პროცედურების სიმარტივე, სასამართლოში მისაღები ადგილების კომფორტულობის შეფასება, ნდობის მაჩვენებელი – ასეთი გახლავთ იმ შეკითხვების ძირითადი ჩამონათვალი, რომელსაც სასამართლოში მისულ მოქალაქეებს უსვამდნენ. აღსანიშნავია რომ ყველა პარამეტრის მიხედვით, მდგომარეობა სასამართლოებში დადებითად ფასდება, რაც, საბოლოო ჯამში, სასამართლოსადმი ნდობის გაზრდაში გამოიხატება.

როგორი იზრდებოდა სასამართლოს მიმართ მოქალაქეების ნდობის დინამიკა ბოლო ხუთი წლის მანძილზე ამის დასტურად ჩატარებული კვლევების შედეგებს შემოგთავაზებთ.



**2010 წლის მაისი.** სასამართლოს მომხმარებელთა კვლევა განხორციელდა სასამართლოს ადმინისტრირებისა და მენეჯმენტის რეფორმის პროექტის (DFK) და უზენაესი სასამართლოს ერთობლივი მონაწილეობით. სულ გამოიკითხა 3900 სასამართლოს მომხმარებელი. კვლევა ჩატარდა 7 სასამართლოში.

გამოკითხული რესპოდენტების 53 პროცენტი სრულად ენდობა სასამართლოს, ხოლო 24 პროცენტი ნაწილობრივ ენდობა სასამართლოს. ერთიანობაში 77 პროცენტი ენდობა სასამართლოს.

**2010 წლის აგვისტო.** სასამართლოს მომხმარებელთა კვლევა განახორციელა სოციალურმა კვლევითმა კომპანია IPM, დამკვეთი USAID. კვლევა ჩატარდა საქართველოს 6 დიდ სასამართლოში. სულ გამოიკითხა 2000 სასამართლოს მომხმარებელი. გამოკითხულთა 63 პროცენტმა სასამართლო მიიჩნია სანდოდ.

61 პროცენტმა მიუკერძოებლად. 71 პროცენტი კმაყოფილია სასამართლოს მომსახურებით.

**2010 წლის დეკემბერი - 2011 წლის იანვარი.** სამმა სასამართლომ (ხელვაჩაურის და ოზურგეთის რაიონული სასამართლოები, ბათუმის საქალაქო სასამართლო) ჩაატარა სასამართლოს მომხმარებლების გამოკითხვა. ყველა პარამეტრის მიხედვით, აღნიშნულ სასამართლოებში მდგომარეობა დადებითად შეფასდა, რაც საბოლოო ჯამში, სასამართლოსადმი ნდობის გაზრდაში გამოიხატა. ოზურგეთის და ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში გამოკითხულთა 66 პროცენტი ენდობა სასამართლოს, ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიმართ ნდობა 67-მა პროცენტმა დააფიქსირა.

**2011 წლის თებერვალი.** სასამართლოს მომხმარებელთა გამოკითხვა სასამართლოს სტაჟიორების დახმარებით ჩატარდა თბილისის, ქუთაისის და რუსთავის საქალაქო სასამართლოებში. სულ გამოიკითხა 1900 სასამართლოს მომხმარებელი. სასამართლოს გადაწყვეტილებას სამართლიანად აფასებს გამოკითხულთა 68 პროცენტი.

**2011 წლის მაისი.** 2 მაისიდან 18 მაისის ჩათვლით საქართველოს 5 რაიონულ და 3 საქალაქო სასამართლოში მომხმარებელთა კვლევა ჩატარდა. კვლევის შედეგების მიხედვით, სასამართლოში მისული მოქალაქეების დიდი ნაწილი სასამართლოს მიმართ მაღალ ნდობას გამოხატავს.

სულ გამოიკითხა 3787 რესპოდენტი. კითხვები ძირითადად, სასამართლოში არსებულ გარემოს, თანამშრომელთა დამოკიდებულებას მოქალაქეებისადმი, საქმის განხილვის ვადებს და სასამართლოს მიმართ ნდობას შეეხებოდა.

კვლევის მიმდინარეობას საერთაშორისო ორგანიზაციების NORLG, ABA, UNDP-ის წარმომადგენლები აკვირდებოდნენ.

გამოკითხული მოქალაქეების 86 პროცენტი მიიჩნევს, რომ სასამართლოში მას დროულად გაუწიეს მომსახურება. 90,7 პროცენტი აცხადებს, რომ სასამართლოდან მას დროულად მიაწოდეს ის ინფორმაცია, რომელსაც ითხოვდა. სასამართლოს მოხელეთა თავაზიანობას, როგორც ძალიან კარგს – აფასებს გამოკითხულთა 60,2 პროცენტი, კარგად – 33,7 პროცენტი. გამოკითხულთა ძალიან მცირე ნაწილი სასამართლოს მოხელეთა თავაზიანობას აფასებს, როგორც საშუალოს – 5,3 პროცენტი, ცუდი – 0,5 და ძალიან ცუდი – 0,2 პროცენტი.

გამოკითხული მოქალაქეების 82,5 პროცენტი მიიჩნევს, რომ მისი საქმე სასამართლოში დროულად გადაწყდა.

რაც შეეხება სასამართლოს მიმართ ნდობას, გამოკითხული სასამართლო მომხმარებლების 75 პროცენტი აცხადებს, რომ ენდობა სასამართლოს, ხოლო ნაწილობრივ ნდობას სასამართლოს მიმართ 16 პროცენტი აფიქსირებს. შესაბამისად, შემცირებულია იმ ადამიანთა რიცხვი, რომლებიც არ ენდობიან სასამართლოს. გამოკითხული 3787 რესპოდენტიდან მხოლოდ 15,6 პროცენტი ამბობს, რომ არ ენდობა სასამართლოს, 1,7 პროცენტი- უფრო არ ენდობა, ხოლო ამ კითხვაზე პასუხისგან თავი შეიკავა გამოკითხულთა 1,6 პროცენტმა.

# პოლიციელის ოჯახის შეგინებისთვის პატიმრობა გელით!

დასაწყისი მე-6 გვერდზე

ტროტუარი 20 მეტრზე უფრო მცირეა და, შესაბამისად, ტროტუარზე ვერ დადგებიან, როგორც კი გზის სავალ ნაწილზე გადმოვლენ, თვითონ არ იქნებიან იმდენნი, რომ გზის სავალი ნაწილის ნაწილობრივ გადაკეტვის უფლება მიეცეთ, ანუ ვერ ატარებენ აქციას. ასევე ვერ ჩაატარებენ უზენაესი სასამართლოს წინ, საკრებულოს წინაც კი ვერ ჩაატარებენ, მაგრამ, თუ მაინც მოახერხეთ და ჩაატარეთ აქცია, მისი დარბევა ძალიან გამარტივებულია. მაგალითად, ორმა ადამიანმა კვერცხი რომ ესროლოს საკრებულოს შენობას, რომელიც ისტორიული ნაგებობაა ან საქართველოს პარლამენტის შენობას და ეს გაგრძელდეს 15 წუთის განმავლობაში, მორჩა, შეუძლიათ, დაარბიონ აქცია. და კიდევ ერთი ცვლილება, რომელიც ასევე ძალიან მნიშვნელოვანია — მაგალითად, ჩვენ ვატარებთ აქციას და რაღაცები ხდება ამ აქციაზე. ვიღაც მიკროფონში ლაპარაკობს და ვიღაცა რაღაცას აკეთებს, რაც ბუნებრივია. აი, აქამდე იგივე ორგანო, რომელიც შეტყობინებას იღებდა, იყო პასუხისმგებელი მეორე შეტყობინებაზე თქვენთვის უკვე, რომ აქციამ მიიღო კანონსაწინააღმდეგო ხასიათი და დაიშალეთ, ამის მაგალითი ვნახეთ 26 მაისს, როდესაც მერიის წარმომადგენელი მოვიდა აქციაზე გასაფრთხილებლად. ახლა კი, ამ ცვლილებების თანახმად, ასეთი უფლებამოსილება განსაზღვრული არ არის იმავე ორგანოს მიმართ, არამედ წერია, კომპეტენტურ ორგანოსო. ეს შესაბამისი კომპეტენტური ორგანო შეიძლება იყოს ნებისმიერი და ნებისმიერმა ჩინოვნიკმა გადაგიწყვიტოთ თქვენი აქციის კანონზომიერება, რაც სრული აბსურდია. არ შეიძლება, ასე პოლიტარიზმზე იყოს აწყობილი თავისუფლების შეზღუდვა, როდესაც ნებისმიერი შენობისა და აპარატის უფროსს შესაძლებლობა ექნება დაადგინოს, რომ აქციამ მიიღო კანონსაწინააღმდეგო ხასიათი და გამოიძახოს სპეცრაზმი. აი, დაახლოებით ასეთი ტიპის დებულებაა ეს.

***— დაბოლოს, სისხლის სამართლის კოდექსშიც შედის ცვლილებები, მაგალითად, პოლიციის მანქანასა და ოჯახის წევრზე თავდასხმისთვის ადამიანს სამუდამო პატიმრობა ემუქრება. ამას როგორ შეაფასებდით, ქალბატონო თინა?***

— აი, ამაზე კი არ ვიცი, რა კომენტარი გავაკეთო, რადგან ეს არის სუპერსამარცხვინო ცვლილება. განვიხილოთ მაგალითი. თქვენ თუ ქუჩაში მიდიხართ და რაიმე მიზეზის გამო ძალიან გაგაბრაზათ შემხვედრმა მოქალაქემ, თავი ვერ შეიკავეთ, შეურაცხყოფა მიაყენეთ, მაგალითად, სახეში გაარტყით და შემდეგ, ის ჩვეულებრივი შემხვედრი მოქალაქე კი პოლიციელის ოჯახის წევრი აღმოჩნდა, შეიძლება, სამუდამო პატიმრობის მუხლით გაგიშვან ციხეში. აი, ასეთი აბსურდული შეაძლებლობა დევს ამ მუხლში. ეჭვი მეპარება, რომ რომელიმე სახელმწიფოში ასეთი დებულება არსებობდეს. სისხლის სამართლის კოდექსი პროპორციულობაზე აწყობილი ხომ მსუბუქი, მძიმე დანაშაული და ასე მივყვები შესაბამისი სასჯელებით. ჩვენ ვართ ქვეყანა, სადაც უმძიმესი დანაშაულებისთვის გვაქვს ჩვეულებრივი პატიმრობები, აი, მაგალითად, მკვლელობებისთვისაც და ამიტომ არის ეს აბსურდული. შეუძლებელია, სახელმწიფოს ადამიანის სიცოცხლე უფრო ნაკლები გიღირდეს, ვიდრე პოლიციელის ოჯახის წევრის შეურაცხყოფა. ეს არის სამარცხვინო და კიდევ ერთი დადასტურება იმისა, რომ სააკაშვილი აშენებს არა ადამიანების თავისუფლებაზე ორიენტირებულ სახელმწიფოს, არამედ — პოლიციურს.

# სასოფლო-სამეურნეო მიწის პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზება რთულდება

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზება რთულდება. ამასთან დაკავშირებით ცვლილება „სახელმწიფო ქონების„ შესახებ კანონში შედის.

კანონპროექტის თანახმად, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შეეძლება, პრეზიდენტის განკარგულების საფუძველზე, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზებისთვის საკითხის მომზადებისას განმცხადებელს საბანკო გარანტიის წარმოდგენა მოსთხოვოს.

კანონპროექტითვე, ასეთი მოთხოვნის შემთხვევაში, უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია, საინვესტიციო ვალდებულების არა ნაკლებ 10%-ის ოდენობისა უნდა იყოს და მისი ვადა, არა ნაკლებ 2 თვით უნდა აღემატებოდეს საინვესტიციო ვალდებულების შესრულების ვადას. საბანკო გარანტიის თანხის ოდენობის შემცირება, მხოლოდ მთავრობის გადაწყვეტილებით იქნება შესაძლებელი.

კანონპროექტის ინიციატორი მთავრობაა.

**ინტერპრესნიუსი**

# ქუჩაში აქციებს ველარ ჩავატარებთ

ნონა ცაბა ე

## ინტერვიუ შალვა ხაჭაპურიძესთან



***— ბატონო შალვა, მოდით, ბოლო დღეებში განვითარებული მოვლენები შევაფასოთ. როგორც ცნობილი გახდა, კიდევ უფრო ამკაცრებს კანონებს ჩვენი ხელისუფლება, იცით, რომ შეკრებისა და ფანიფესტაციების შესახებ კანონში სერიოზული ცვლილებები შედის. როგორც ადვოკატი, რას ფიქრობთ ამასთან დაკავშირებით?***

— რამდენიმე თვის წინ საკონსტიტუციო სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება, რომელშიც ცალსახად აღნიშნა შეკრებების და მანიფესტაციების შესახებ კანონიდან რომელი მუხლები უნდა ყოფილიყო გაუქმებული. კონკრეტულად ჩამოთვლილი იქნა და ხაზი იყო გასმული იმ გარემოებაზე, რომ სასამართლოსთან აქციის ჩატარება იყო არაკონსტიტუციური, გარდა ამისა, ადმინისტრაციული შენობებიდან 20 მეტრის მოშორებით აქციის გამართვა ჩათვალა საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად და შესაბამისად მოქალაქეებს უკვე ნება მიეცათ, ჩაეტარებინათ ამ მუხლების ამოღების შემდეგ აქციები ადმინისტრაციულ შენობასთან. ამ კანონში რომ შეეტანათ სხვა ტიპის ცვლილებები, სხვა მუხლებში, აქ ძირითადად საუბარია მეათე მუხლზე, ვიტყოდით, რომ ვიღაცა შემოდის საკანონმდებლო ინიციატივით, კი ბატონო, განიხილავს პარლამენტი და მიიღებს გადაწყვეტილებას. თუმცა, პარადოქსია, რიოდესაც ეს ახალი საკანონმდებლო ინიციატივა, რომლის ინიციატორიც კუბლაშვილი გახლავთ, ეხება სწორედ იმ მუხლებს, რომლებზეც საკონსტიტუციო სასამართლო მსჯელობდა. სიმართლე რომ გითხრათ, მე არ ვიცი იურისპოდენციაში მსგავსი მაგალითი. ამის ანალოგი ვერსად ვიპოვე, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას და რაღაცა ნორმას აკრძალულად ჩათვლის და ამის შემდეგ პარლამენტი ისევ თავიდან იღებს ამ ნორმას და უფრო მეტიც, აუარესებს ამ ნორმის დისპოზიციას.

***— საზოგადოების და ოპოზიციის დიდი ნაწილი ეწინააღმდეგება ამ ცვლილებებს, თუმცა, რამდენად გაითვალისწინებს მათ აზრს ხელისუფლება, ეს მეორე საკითხია...***

— უკვე რამდენიმე დღეა ვუსმენ ამ საკითხის ირგვლივ დებატებს და კამათს, თუმცა, მერწმუნეთ, რომ ამ ხელისუფლებასთან კამათს, ან რაიმე დიალოგის გამართვას არანაირი აზრი არა აქვს. დღეს ხელისუფლება გვიმტკიცებს, რომ ეს განსხვავებულია წინა ნორმისგან, რადგან მაშინ მხოლოდ მერიას უნდა გაეცა თანხმობა, ამ შემთხვევაში კი მხოლოდ მერიის თანხმობა აღარ არის საჭირო და ადმინისტრაციული შენობის ხელმძღვანელმაც უნდა გადაწყვიტოს აქ შეიძლება თუ არ შეიძლება აქციის გამართვა დამ ას შეეშლება თუ არა ხელი. მოდი, დავანებოთ თბილისს თავი და ავიღოთ რომელიმე რაიონი, მაგალითად, წყალტუბო. ე.ი. წყალტუბოს გამგეობამ უნდა მოგცეს ნებართვა, თუმცა, მანამდე ნებართვა უნდა აიღოთ იმ შენობის ადმინისტრაციისგან, სადაც აქციის გამართვას გეგმავთ და თუ ამა თუ იმ შენობის ადმინისტრაცია იტყვის, რომ ვერ მოგცემთ ნებართვას, რადგან მე ამით ხელი შემეშლებაო, შესაბამისად აქციასაც ვეღარ ჩაატარებთ.

***— ფაქტია, რომ მათ ყოველთვის ასეთი პასუხი ექნებათ...***

— რა თქმა უნდა, ამას იტყვის, იმისთვის მოიგონეს ეს ყველაფერი. ყოველთვის, ნებისმიერი აქცია როცა ტარდება, სწორედ იმიტომაც ტარდება, რომ რაღაც დისკომფორტი იგრძნოს იმ ორგანომ, ვის წინააღმდეგაც ატარებ ამ აქციას, რათა შენი მოთხოვნები გაზიარებული იქნეს ან არ იქნეს გაზიარებული. შორს რომ აღარ წავიდეთ, მოდით, პარალელი გავაკეთოთ საბერძნეთთან. საბერძნეთი, ვთქვათ, არ არის ისეთი დემოკრატიული სახელმწიფო, როგორიც, მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატები, ან ევროპის სხვა წამყვანი სახელმწიფოები, მაგრამ ამ სახელმწიფოს პრეტენზია გააჩნია დემოკრატიულ სახელმწიფოებრიობაზე. თქვენ გახსოვთ, თუ რა პროპაგანდას ეწეოდა რუსთავი 2 და იმედი, რომ თითქოს და მომიტინგეები შეიარაღებულები იყვნენ მოლოტოვის კოქტეილებით, ჯოხებით, თურმე აპირებდნენ მანქანის დაწვას და ასე შემდეგ და ასე შემდეგ. ახლა კიდევ ახალი მუხლი იქნა შეტანილი, რომ თურმე პოლიციელზე თავდასხმა სახელმწიფოზე თავდასხმას ნიშნავს.

***— ისედაც ამხელა უფლებები აქვთ და სრულიად ხელშეუხებლები ხდებიან...***

— ამ კანონის თანახმად პოლიციელის შვილს თუ შეაგინებ და მისი შვილი იტყვის, რომ ამ კაცმა იმიტომ შემაგინა, რომ მამაჩემი პოლიციელია, იცოდეთ, რომ სამუდამო პატიმრობა გაქვთ მისჯილი. გაუგონარი რაღაც ხდება. მე ისევ საბერძნეთის თემას დავუბრუნდები, საბერძნეთში მომიტინგეებმა მანქანები დაწვეს, მოლოტოვის კოქტეილებით მიიჭრენ პარლამენტის შენობასთან და შიგნით შენობაშიც შეაგდეს ეს კოქტეილები, ბევრი მანქანაც დალეწეს, ბევრიც დაწვეს. პოლიციელებსაც ურტყამდნენ და ამ დროს პოლიციელები იდგნენ და ამ ხალხს აშოშმინებდნენ. ვინც აკვირდებოდა ამ კადრებს არ ხორციელდებოდა არანაირი სპეცოპერაციები და ეს ხალხი არავის დაუპატიმრებია. პირიქით, გამოვიდა პრემიერ-მინისტრი, თავი გადაყენებულად გამოაცხადა და გადადგომამდე წარადგინა ახალი მინისტრთა კაბინეტი, რომელმაც დადო პატრიარქის წინასე ფიცი, რომ მოემსახურებოდა ქვეყნის ინტერესებს. ა ბატონო, ნორმალური ქვეყანა, გეფიცებით, გულს უხაროდა, ამ ყველაფერს რომ ვუყურებდი. იქ არ გამოსულა ხელისუფლება და არ მოუწყვია ცირკი ფარული ჩანაწერებით, ამან იმას ის უთხრა, ეს არის უდიდესი პროვინციალიზმი, სხვას ამას ვერაფერს ვუწოდებთ. არიქა, სახელმწიფო გადატრიალება მზადდებოდა, მოლოტოვის კოქტეილები ჰქონდათ და ატყდა ამბავი. მერე რა, მოლოტოვის კოქტეილები რომც ჰქონოდათ, აგერ ჰქონდათ საბერძნეთში მოლოტოვის კოქტეილი, მანქანებიც დაწვეს, რა მერე?! მასობრივ არეულობებს მოჰყვება ეს ყველაფერი და ეს ყველაფერი განიხილება მანიფესტაციის დროს ჩადენილი ქმედებები. თურმე მიტინგზე რომ გირტყამს პოლიციელი დუბინკას, დუბინკას ვინ ჩივის, რკინის არმატურას, როგორც ეს ჩემს შემთხვევაში იყო, გკლავს და იმას თურმე ხელს თუ შეუბრუნებ, სამუდამო პატიმრობა უნდა მოგცენ. ეს არის აბსურდი. მე არ ვიცი, რა უბედურება ჭირს ასეთი საქართველოს, ვინ დაგვწყევლა, ან როდემდე უნდა ვითმინოთ ეს ყველაფერი?! ან სამართალი აღარ არსებობს, ან სამართლის ნორმები აღარ არსებობს. აღარ არსებობს არც პოლიტიკური ნორმები? წარმოუდგენელი რაღაც ხდება, ამაზე კომენტარიც მიჭირს. ეს ნაციონალები ჩახვეულივით ერთსა და იმავეს იმეორებენ და მათთან საუბარს არანაირი აზრი არ აქვს. არაფერი არ აინტერესებთ, უცოდინარი ადამიანების ჯგუფია შეკრებილი, რომლებსაც სამართალთან და პოლიტიკასთან არანაირი კავშირი არა აქვთ. არებული აქვთ გიტლერის და მაკიაველის პრინციპი — დაამონე, დაამათხოვრე ეს ხალხი და გაყარე საქართველოს ტერიტორიიდან რაც შეიძლება მეტი ქართველი.

***— როგორც ჩანს, ხელისუფლების სურვილია, რომ საერთოდ არანაირი საპროტესტო აქცია არ გაიმართოს...***

— ფიზიკურად ვერანაირ აქციას ვერ ჩაატარებთ. ან უნდა შეიკრიბოს სამი ათასი კაცი მაინც და თქვა შეტყობინება კი არაო და თუ დაიწყებ, უნდა დაამთავრო კიდეც ეს ხელისუფლება, სხვანაირად არაფერი არ გამოვა. სხვანაირად აქციის ჩატარების ყველანაირ შანსს გართმევენ. შეგვიძლია საკუთარ ბინებში ან საკუთარ ოთახებში ჩავატაროთ აქცია, რადგან ქუჩაში აქციას ველარ ჩავატარებთ.

***— რა შედეგებამდე მიგვიყვანს ეს ყველაფერი, რამდენად მოითმენს ამას საზოგადოება? გაკეთდა ასეთი შეფასებებიც, რომ აგონიაშია ხელისუფლება და აღარ იცის, თავი რით დაიცვასო...***

— მსოფლიო პოლიტიკურ ისტორიაში ცნობილი არის ასეთი ფაქტები, საერთოდ ტირანებისთვის დამახასიათებელია ასეთი ქცევები, როდესაც ჯარასაც და პოლიციასაც იყენებს მხოლოდ იმისთვის, რომ შეინარჩუნოს ძალაუფლება. როგორც ჩანს, სააკაშვილს დიდი შიშის თვალები აქვს, ვინაიდან ამ კანონის მიღება აბსოლუტურად ალოგიკურია. იმდენად შიშში და აგონიაშია ხელისუფლება, რომ ასეთ აბსურდულ კანონებს ღებულობს. მას არ უნდა, რომ ქუჩაში გაიმართოს ნებისმიერი სახის აქციაც კი. იქ კიდევ ათასი დეტალია, არ უნდა ჰქონდეს არავის ცეცხლსასროლი იარაღი. თუ ვინმეს ცეცხლსასროლი იარაღი აქვს და რაიმე დანაშაულს ჩადის, მის მიმართ აღძრან სისხლის სამართლის საქმე და მისცენ პასუხისგებაში. დავუშვათ, იმართება აქცია და შემოვიდა ვიღაც ცეცხლსასროლი იარაღით, თუნდაც ყოფილი პოლიციის მაიორი, რომელსაც იარაღის შენახვის და ტარების უფლება აქვს. თუ ის მივა აქციაზე და დაინახავს პოლიციელი, რომ მას ცეცხლსასროლი იარაღი აქვს, ამ შემთხვევაში უნდა დაშალონ მთელი აქცია, ნაცვლად იმისა, რომ დაუძახონ ამ პიროვნებას და გაარკვიონ, რატომ გაქვს იარაღი, კანონიერია თუ უკანონო. ყველანაირად უკრავენ ხალხს ხელფეხს. ცნობილი ფაქტია, მე ახალს არაფერს არ ვამბობ, ცნობილი ფაქტია, რაც მეტია დაწოლა, მით მეტია წინააღმდეგობა. ხელისუფლება უკურეაქციებს მიიღებს და მიიღებს ძალიან მალე. მონობაშიც ამყოფო 21-ე საუკუნეში ადამიანები, ეს არის წარმოუდგენელი. თუმცა, ამას აკეთებს დღევანდელი ხელისუფლება, მას უნდა მონობასიც ამყოფოს საქართველოს მოსახლეობა. ამას არ ჰქვია დემოკრატიული პრინციპების შეზღუდვა და დარღვევა და ასე შემდეგ. ეს რის ადამიანების მონობაში ყოფნა.

***— რა პროცესების განვითარებას უნდა ველოდოთ უახლოეს პერიოდში? საუბარია, რომ ხელისუფლება სახალხო კრების ლიდერების და რადიკალური ოპოზიციის ლიდერების პოლიტიკურ დისკრედიტაციას ახდენსო, რამდენად გამოუვა ეს და თუ წამოვა ახალი საპროტესტო ტალღა?***

— ხელისუფლების ტვინი მეტს ვერაფერს ვერ იგონებს და ვერ სცილდება. ხვალ შეუძლია ადამიანს გამოვიდეს და თქვას, რომ ამა და ამ ლიდერთან მქონდა მოლაპარაკებებიო და ამის ნიადაგზე დააპატიმრონ. უამრავი ადამიანებია შეყრილი ციხეში, გავსებულია ეს ციხეები, ზუსტად ასეთი განთქმითი ჩვენებებით. სხვა რაიმე მტკიცებულებების მოპოვება, რომ რაღაცას აპირებდა ვინმე და ასე შემდეგ არ არსებობს. მთელი ბრალდება მდგომარეობს იმაში, რომ თურმე მოლოტოვის კოქტეილები უნდა ესროლათ და მანქანა დაეწვათ. პოლიციელის მანქანას თუ დააზიანებ, თურმე სამუდამო პატიმრობა გაქვს კაცს. ბიჭო, გამორთეთ მაინც ეს ტელევიზიები და დაწვით ეს წიგნები, სადაც წერია ეს ყველაფერი, რომ ხალხმა ვერ გაიგოს სიმართლე. ან აღმართოს ხელისუფლებამ რკინის კედელი რომ ვერ გაიგონ ადამიანებმა რა ხდება მსოფლიოში და სხვა სახელმწიფოებში როგორ ხორცილდება ეს ყველაფერი. რა მოჰყვება ამას და ეს თავისუფლებისათვის ბრძოლა არ შენელდება არანაირად. თუ ხელისუფლებას ჰგონია, რომ 26 მაისს გამარჯვებული გამოვიდა, ძალიანაც შემცდარა. მისი იმიჯი ფაქტიურად დასამარდა 26-ში. დღეს ბევრი პოლიტიკოსი ამბობს — იმან ეს შეცდომა დაუშვა, ამან ეს... სხვა სხვის ომში ბრძენია. ხელისუფლებამ დაუშვა სერიოზული შეცდომა და გადადგა ისეთი ნაბიჯები, რამაც სერიოზულად ჩამოხადა მას ნიღაბი მსოფლიო საზოგადოებაში, რომ მასთან დემოკრატიაზე საუბარი არის წარმოუდგენელი და ამის შედეგებს ხელისუფლება ძალიან მალე მიიღებს. რა იყო 26 მაისი? რა, ვინმე აპირებდა იმ დღეს სააკაშვილის დამთავრებას? იყო ასეთი რამე დაანონსებული? ეს ყველაფერი იყო იმისთვის, რომ დემოკრატიული პროცესები განვითარებულიყო ქვეყანაში. ხელისუფლება კი ამის წინააღმდეგია, ის უარს ამბობს ქვეყნის დემოკრატიული პრინციპებით განვითარებაზე. ყველანაირად ეწინააღმდეგება ამას და შედეგი იქნება ის, რომ ეს ხელისუფლება დაამთავრებს ძალიან ცუდად. ისინი იძულებულები იქნებიან, წავიდნენ პოლიტიკიდან. ვისაც მონაწილეობა აქვს მიღებული უკანონო ქმედებებში, რა თქმა უნდა, ისინი წარდგებიან დამოუკიდებელი სასამართლოს წინაშე და ჩვენ ამის მოწმეები ვიქნებით, ეს არ არის შორეული მომავლის მოვლენები. ეს მოხდება ძალიან მალე. საზოგადოება გამოვა ამ მდგომარეობიდან, აგერ ერთი თვე ხდება უკვე, ეს დაპატიმრებული ხალხიც გამოვა გარეთ და თავიდან დაიწყება ყველაფრის მობილიზება. სხვანაირად არ გამოვა, ესენი ღმრთის კანონების წინააღმდეგ მიდიან. არ შეიძლება 21-ე საუკუნეში ადამიანები აცხოვრო ამ მდგომარეობაში. მონათმფლობელობის დროსაც კი მონებსაც კი გარკვეული უფლებები ჰქონდათ. რომის იმპერიაში მაშინდელ მონას მეტი უფლებები ჰქონდა, ვიდრე დღევანდელ საქართველოში მცხოვრებ მოქალაქეს. წარმოუდგენელი რამ ხდება, გასცდა ქვეყანა ყოველნაირ სამართლებრივ სივრცეს.

***— ალბათ, ასე დიდხანს ველარ გაგრძელდება...***

— წარმოუდგენელია ასე გაგრძელება. ორი არჩევანი აქვს ჩვენს ხალხს, ან დაიხურავს თავზე ქუდს საქართველოს მოსახლეობა და წავიდეს საქართველოდან და ამ ბოლო დღეებში ძალიან ბევრმა გააკეთა ასეთი განცხადებები. საკმაოდ ბევრი აპირებს პოლიტიკური თავშესაფრის მიღებას. ამის შესახებ საზოგადოებისთვის მალე გახდება ცნობილი. კიდევ მეორე ვარიანტია, ან უნდა დავიხოცოთ აქ და ან ვაიძულოთ ეს ხელისუფლება საერთოდ ჩამოშორდეს ხელისუფლებას.

# ჟურნალისტებს აღარ სცემენ

ნანა მიშელაშვილი

**აქციების დაშლის დროს ჟურნალისტებს აღარ სცემენ. ყოველ შემთხვევაში, კანონში ჩაიწერება, რომ ჟურნალისტების უსაფრთხოება დაცული უნდა იყოს.**

**მართალია, დღევანდელი კანონმდებლობით ჟურნალისტებისთვის პროფესიულ საქმიანობაში ხელის შეშლა არც ახლა შეიძლება, მაგრამ ეს წესი ხშირად ირღვევა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც აქციის დაშლა ხდება.**

26 მაისის აქციის დაშლის დროს რამდენიმე ჟურნალისტს სცემეს და შეურაცხყოფა მიაყენეს. ეს ფაქტი სხვადასხვა საერთაშორისო და ადგილობრივმა ორგანიზაცებმა დაგმეს და ჟურნალისტთა დაცვის მექანიზმის სრულყოფის რეკომენდაციაც გასცეს.

ჟურნალისტთა უფლებების დაცვის საკითხმა დეპუტატებიც დააფიქრა. ყოველ შემთხვევაში, მმართველი გუნდი ირწმუნება, რომ კანონში ეს სათანადოდ აისახება. პარლამენტში ამჟამად განიხილება ხმაურიანი კანონპროექტი, რომელიც „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ კანონში ცვლილებებს ითვალისწინებს. სწორედ ამ პროექტში ჩაიწერება, რომ აქციის მიმდინარეობის ან დაშლის დროს, ჟურნალისტებს მუშაობაში ხელი არავინ არ უნდა შეუშალოს და მათი უსაფრთხოება დაცული უნდა იყოს.

კონკრეტულად როგორი იქნება მუხლის ფორმულირება, რომელიც ჟურნალისტების უფლებებს დაიცავს, ეს მას შემდეგ გახდება ცნობილი, რაც პროექტი პირველი მოსმენით საპარლამენტო კომიტეტებში განიხილება.

პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე პავლე კუბლაშვილი განმარტავს, რომ აქციის დაშლის დროს, ჟურნალისტებს საშუალება უნდა ჰქონდეთ ჩვეულ რეჟიმში იმუშაონ. ამდენად, სათანადო ფორმულირება კანონპროექტში აისახება.

— აქციის მიმდინარეობისას, მის შემდეგ, მანამდე, ყველგან, ადმინისტრაციულმა ორგანომ და შეკრებისა და მანიფესტაციის ორგანიზატორებმა უნდა უზრუნველყონ ჟურნალისტებისთვის სრული შესაძლებლობა იმუშაონ, — ასეთია პავლე კუბლაშვილის პოზიცია.

რაც შეეხება „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ კანონში ცვლილებებს, ეს ერთ-ერთი ყველაზე ხმაურიანი პროექტია, რომელიც პარლამენტში მომზადებულა. მას ოპოზიციის მთელი სპექტრი აკრიტიკებს, მმართველი გუნდი კი იცავს.

„შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ კანონში ცვლილებების ავტორები არიან უმრავლესობის წევრები: აკაკი მინაშვილი, პავლე კუბლაშვილი, ჩიორა თაქთაქიშვილი და კახა ანჯაფარიძე. გასულ კვირას, კანონპროექტის ავტორები არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს შეხვდნენ. შეხვედრა საკმაოდ მშვიდად მიდიოდა მანამ, სანამ საერთო-სახალხო წინააღმდეგობის მოძრაობის წარმომადგენელი შოთა გლურჯიძე არ გამოვიდა და ხელისუფლებას 1937 წლის დაბრუნება არ „მიულოცა“.

— ეს არის 1937 წლის დაბრუნება, თუ ამ კანონპროექტს მიიღებთ, თქვენ იქნებით 37 წლის მომტანი, — უთხრა შოთა გლურჯიძემ კანონპროექტის ავტორებს.

— 37 წელი რომ ყოფილიყო, აქ ვერც მოხვიდოდით, — შეეკამათა აკაკი მინაშვილი შოთა გლურჯიძეს.

ცოტა ხანში გლურჯიძემ შეხვედრის დარბაზი დატოვა. „ახალ თაობასთან“ საუბარში შოთა გლურჯიძემ საკუთარი აღშფოთება გამოთქვა იმასთან დაკავშირებით, რომ უმრავლესობის წევრების მიერ მომზადებული ცვლილებების მიღების შემდეგ შეკრებისა და მანიფესტაციების ჩატარება ქვეყანაში შეუძლებელი გახდება.

— ახალი წელი დაიწყო, მინდა „მივულოცო“ ყველა ქართველს ახალი 1937 წლის დადგომა. მე მგონი, ამის შემდეგ სულ 37 წელი იქნება. ეს არანაირ ლოგიკას არ ექვემდებარება. ადამიანები ცხოვრობენ, შემოქმედებას ეწევიან იმ სივრცეში, რასაც ჰქვია ქალაქი, არსად არ შეიძლება მანიფესტაციის გამართვა და პროტესტის გამოხატვა. ამ კანონპროექტში ყველაფერია ჩადებული იმისთვის, რომ ადამიანმა ვერ გამოხატოს თავისი აზრი. ეს არის 37 წელი. ლატენტური 37 წელი დამდგარია, ოღონდ ეს გადატანილია ციხეებში. დღითიდღე იზრდება ციხეებში პატიმრების რაოდენობა. გარე ფასადს ალამაზებენ ის არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც მათთან დაახლოებული არიან, — აღნიშნა შოთა გლურჯიძემ.



შოთა გლურჯიძეს მოგვიანებით პავლე კუბლაშვილმა უპასუხა. ჟურნალისტებთან საუბარში პავლე კუბლაშვილმა განაცხადა, რომ ეს ადამიანი ან ამ კანონპროექტზე არ საუბრობდა, ან ჩვენს ქვეყანაზე არ საუბრობდა.

— როდესაც ის ამ განცხადებას თავისუფლად აკეთებს, ქვეყანაში, სადაც სიტყვის გამოხატვა შესაძლებელია და არანაირი პრობლემა ამის გამო არ ექმნება, სადაც შესაძლებელია, პარლამენტში განხილვებს დაესწროს, სადაც შესაძლებელია, რომ ნებისმიერ დროს შეკრება და მანიფესტაცია გამართოს, ასეთ ქვეყანაზე ვინმე რომ იტყვის, ეს არის 37 წელი, მე ამ პიროვნების კომენტირებისგან თავს შევიკავებ, — განაცხადა პავლე კუბლაშვილმა.

რაც შეეხება საპარლამენტო ოპოზიციის პოზიციას, ისინი საკუთარ შენიშვნებსა და უარყოფითი მოსაზრებას, ჯერ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტებში დააფიქსირებენ, შემდეგ კი — პარლამენტის პლენარულ სხდომაზე.

ქრისტიან-დემოკრატების წევრი ლევან ვეფხვაძე განმარტავს, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ უარი თქვა იმ 20-მეტრიან რადიუსზე, სადაც არ შეიძლება ჩატარდეს აქცია და ეს ნორმა გააუქმა. ამის მიუხედავად, ვეფხვაძე ამბობს, რომ უმრავლესობის წევრებს სიახლე შემოაქვთ, როდესაც თავად ადმინისტრაციულ დაწესებულებას შეუძლია გარკვეული საზღვარი დააწესოს, შენობიდან რა მანძილზეც არ შეიძლება აქციის ჩატარება.

— ძალიან ბევრი ადმინისტრაციული შენობა ისე მდებარეობს, რომ შეუძლია მანძილი ისე დააწესოს, რომ აქციის მონაწილეები ქუჩაზე გადაიყვანონ, ქუჩაზე გადასვლა კი კანონპროექტით აკრძალულია. პრაქტიკულად, ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანებს აზრის თავისუფლად გამოხატვის საშუალება არ ექნებათ, — აღნიშნა ლევან ვეფხვაძემ.

ქრისტიან-დემოკრატების წევრი მაგალითად თბილისის საკრებულოს ასახელებს, რომლის წინ ტროტუარი 10 მეტრია და მას შეუძლია დააწესოს, რომ 12 მეტრზე ახლოს აქციის ჩატარება არ შეიძლება.

— გამოდის, რომ მივიღებთ ქუჩაში დგომას. ბუნებრივია, 100-კაციანი მიტინგით ქუჩაში დგომა იმას ნიშნავს, რომ ისინი თავისუფლების მოედანს ვერ შეავსებენ და მიტინგს დაშალიან. ჩვენ მიგვაჩნია, უმთავრესი პრინციპი — ეს არის გამოხატვის თავისუფლება, მისი ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი — შეკრების თავისუფლება ამ ცვლილებებით ხელყოფილი იქნება, — ასეთია ვეფხვაძის პოზიცია.

ოპოზიციონერი დეპუტატი მიიჩნევს, რომ უმრავლესობის წევრების მიერ მომზადებული ცვლილებები კონსტიტუციას ეწინააღმდეგება.

საკუთარი მოსაზრება აქვთ ამ საკითხზე უმრავლესობის წევრებს. კანონპროექტის ერთ-ერთი ავტორი აკაკი მინაშვილი განმარტავს, რომ ზოგიერთი პოლიტიკოსი და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები 20-მეტრიან რადიუსთან დაკავშირებით არასწორ მოსაზრებებს გამოთქვამენ, რაც იმის ბრალია, რომ მათ პროექტი კარგად არა აქვთ წაკითხული.

არასამთავრობო სექტორთან შეხვედრის შემდეგ ოპოზიციონერმა დეპუტატმა გიორგი ცაგარეიშვილმა განაცხადა, შეხვედრით უკმაყოფილოა, რადგან ადამიანებმა ფხიზლად უნდა შეხედონ იმას, რაც ქვეყანაში ხდება.

— მხოლოდ ოპოზიციონერი დეპუტატების სადავო და საჩხუბარი არ არის ეს საკითხი. ძალიან ბევრი არასამთავრობო ორგანიზაცია ვიცი, რომელიც ბევრს ყვირის და ცოტას აკეთებს. კეთილი უნდა ინებონ ამ ბატონებმა, რომლებიც ტელევიზიიდან გვმოძღვრავენ, მობრძანდნენ პარლამენტში და თუ რაიმე აქვთ სათქმელი პავლე კუბლაშვილის ან აკაკი მინაშვილის მისამართით, უნდა უთხრან. მე კი არ უნდა გადმომცენ, არამედ თავად უნდა თქვან. ძალიან უკმაყოფილო ვარ არასამთავრობო ორგანიზაციებთან შეხვედრით, — აღნიშნა გიორგი ცაგარეიშვილმა ჟურნალისტებთან საუბარში.

ალასანიას პარტიის წევრი ამბობს, რომ პარლამენტი ნაციონალური მოძრაობის პარლამენტი არ არის, არამედ საქართველოს პარლამენტია და ხალხმა საკუთარი მოსაზრება იმ საჯარო განხილვის დროს უნდა დააფიქსიროს, რომელიც კანონპროექტთან დაკავშირებით იმართება.

— მე არ გავჩუმდები იმაზე, რაც საკონსტიტუციო სასამართლოს გვერდის ავლით იდება. ვგულისხმობ 20-მეტრიან რადიუსს, რაც კანონპროექტში რჩება. „თავისუფალი დემოკრატების“ აზრით, ეს არის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების დარღვევა. კომიტეტში გამოვალ და ჩემს მოსაზრებას გამოვთქვამ, — აღნიშნა გიორგი ცაგარეიშვილმა.

ოპოზიციონერმა დეპუტატმა კიდევ ერთხელ მოუწოდა არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს და დაინტერესებულ პირებს საკომიტეტო მოსმენის დროს პარლამენტში მივიდნენ, ღია სხდომას დაესწრონ და საკუთარი პოზიცია დააფიქსირონ.

ოპოზიციონერი ვიცე-სპიკერი ლევან ვეფხვაძე ასეთ კითხვას სვამს: კანონში ისედაც არის ჩანაწერი, რომ შენობების ბლოკირება დაუშვებელია, მოქალაქეებს ეკრძალებათ ხელი შეუშალონ ამ შენობაში შესვლა-გამოსვლას, რა საჭიროა 20-მეტრიანი რადიუსი?

— სრულიად გაუგებარია სასამართლოებთან დაკავშირებული საკითხი. არა მგონია, სასამართლო ისეთი ტიპის ორგანო იყოს, სადაც აპრიორი 20-მეტრიანი შეზღუდვა უნდა იყოს. აქციას ის მიზანი აქვს, რომ მისი ხმა გაგებულ იქნეს შენობაში, რადგან ეს არის გამოხატვის ფორმა. ჩვენ ეს არ უნდა შევზღუდოთ, მე ვერ ვხვდები, რატომ ხდება ამის შეზღუდვა, — ამბობს ლევან ვეფხვაძე.

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია კი მიიჩნევს, რომ კანონპროექტი პარლამენტში 13 ივნისს იქნა ინიცირებული, შესაბამისად, მისი განხილვის პროცესი უნდა გახანგრძლივდეს, რათა ყველა დაინტერესებულ მხარეს მასში ჩართვის საშუალება მიეცეს.

ორგანიზაციის თათული თოდუა აცხადებს, რომ აღნიშნული ცვლილებები ვენეციის კომისიას უნდა გადაეგზავნოს შესასწავლად.

— ჩვენი მოთხოვნა არის, რომ პარლამენტის წევრები ვენეციის კომისის შესაბამის დასკვნის მიღებას დაელოდონ, მის საფუძველზე გაამუშაონ წარმოდგენილი ცვლილებების პროექტი და მათი ასახვა კანონმდებლობაში მოახდინონ, — განაცხადა თათული თოდუამ.

ვენეციის კომისიისთვის ცვლილებების გადაგზავნას მოითხოვს საპარლამენტო ოპოზიციაც. უმცირესობის წევრი ლევან ვეფხვაძე ამბობს, პარლამენტი ძალიან კომიკურ სიტუაციაში აღმოჩნდა, რადგან 2009 წელს ოპოზიცია მოითხოვდა, რომ ვენეციის კომისიაში გადაეგზავნათ კანონპროექტი, მის რეკომენდაციებს დალოდებოდნენ და ამის მიხედვით მიეღოთ კანონი. ვეფხვაძე იხსენებს, რომ მაშინ უმრავლესობამ ოპოზიციას უთხრა, რომ ჯერ კანონი მიეღოთ და შემდეგ გადაეგზავნათ ვენეციის კომისიისთვის.

— ასე ერთობიან, ჯერ კანონს იღებენ, მერე ვენეციის კომისიაში აგზავნიან. მოდით, ჯერ დაველოდოთ ვენეციის კომისიის დასკვნას და შემდეგ მივიღოთ, ეს ხომ ძალიან მარტივია? — ამბობს ლევან ვეფხვაძე.

საკუთარი პოზიცია აქვს კანონპროექტის ავტორებს. ისინი ამტკიცებენ, რომ მათ მიერ მომზადებული ცვლილებები ვენეციის კომისიის შენიშვნების გათვალისწინებით არის მომზადებული.

— ამიტომ დამატებით ვენეციის კომისიაში გადაგზავნას აღარ საჭიროებს. არის ერთი საკითხი, რომელთან დაკავშირებითაც ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას მიაჩნია, რომ ვენეციის კომისიაში უნდა ვიმსჯელოთ, ეს არის უცხო ქვეყნის მოქალაქისთვის ორგანიზატორობის უფლება, მაგრამ ხაზი მინდა გავუსვა, უცხო ქვეყნის მოქალაქეს, აქამდეც ეკრძალებოდა ყოფილიყო ჩვენს ქვეყანაში შეკრებისა და მანიფესტაციის ორგანიზატორი და ახლაც ეკრძალება. არაფერი სიახლე არ არის, — განმარტავს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე.

არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები და ოპოზიცია კანონპროექტში განსაკურებით იმ ჩანაწერებს აპროტესტებენ, რომლებიც გაკვეულ შეზღუდვებს ეხება. კერძოდ, კანონპროექტში წერია, რომ „ადმინისტრაციული ორგანო, რომლის მიმდებარე ტერიტორიაზეც იმართება მანიფესტაცია, უფლებამოსილია დააწესოს შეზღუდვა შეკრების შენობიდან დაშორებით გამართვასთან დაკავშირებით, მაგრამ არა უმეტეს 20 მეტრისა“.

კანონპროექტის თანახმად, აკრძალულია შეკრების ან მანიფესტაციის ჩატარება შემდეგ შენობებში და მათი შესასვლელიდან 20 მეტრის რადიუსში მდებარე ტერიტორიაზე: საკონსტიტუციო სასამართლო, უზენაესი სასამართლო, საერთო სასამართლოები, პროკურატურის, პოლიციის, პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებები და სამართალდამცავი ორგანოები. რკინიგზის სადგურები, აეროპორტები, პორტები.

ასევე აკრძალულია შეკრების ან მანიფესტაციის ჩატარება სამხედრო ნაწილებში და ობიექტებში, მათი შესასვლელიდან 100 მეტრის რადიუსში მდებარე ტერიტორიაზე.

აკრძალულია შეკრების ან მანიფესტაციის ჩატარებისას შენობების შესასვლელების, ავტომაგისტრალებისა და რკინიგზის ბლოკირება.

რის ქონა ეკრძალებათ აქციის მონაწილეებს?

მანიფესტაციის მონაწილეებს ეკრძალებათ იქონიონ იარაღი, რადიოაქტიური ან ცივი იარაღი, ცრემლმდენი, ნერვულ-პარალიტიკური და მომწამვლელი ნივთიერებებანი და ალკოჰოლური სასმელები. აკრძალულია ასევე ისეთი საგნების ან ნივთიერება, რომელიც საფრხეს უქმნის ან შეუძლია შეუქმნას შეკრების მონაწილეთა ან სხვა პირთა ჯანმრთელობას.

ახალი ცვლილებების მიხედვით, დაუშვებელია შეკრების ან მანიფესტაციის მიმდინარეობისას ისტორიული, არქეოლოგიური, არქიტექტურული ან სამეცნიერო მნიშვნელობის მქონე შენობა-ნაგებობების, ძეგლის ან მემორიალის ვიზუალური დამახინჯება, დაზიანება ან მათ მიმართ სხვა „შეურაცხმყოფელი ქმედებების განხორციელება“. არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები მოითხოვენ, რომ ამოღებული იქნეს ჩანაწერი — „შეურაცხმყოფელი ქმედებების განხორციელება“.

კონკრეტულად როდის მოხდება პარლამენტის სხდომაზე „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ კანონში ცვლილებების განხილვა, ამ კვირაში გაირკვევა.

საპარლამენტო ოპოზიცია კანონპროექტის წინააღმდეგ ერთიანი „ფრონტით“ აპირებს შეტევას, თუმცა კანონპოექტის მიღება-არმიღების საკითხს უმრავლესობა წყვეტს და არა ოპოზიცია.

## „სახალხო კრების“ ახალგაზრდული ფრთის ერთ-ერთ ლიდერ ცოტნე ანანიძეს წინასწარი პატიმრობა შეუფარდეს

„სახალხო კრების“ ახალგარზდული ფრთის ერთ-ერთი ლიდერ ცოტნე ანანიძეს ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ვერა დოლიძემ ერთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა.

როგორც „მედიანიუსს“ „სახალხო კრების“ აჭარის კურატორმა მანანა სალუქვაძემ განუცხადა, მას ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის 222-ე მუხლის დარღვევაში წაუყენეს, რაც ითვალისწინებს დანაშაულს საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ, კერძოდ მუხლი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ტელერადიომაუწყებლობის ან კავშირგაბმულობის დაწესებულების ანდა სტრატეგიული ან განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტის ხელში ჩაგდების ან ბლოკირებისათვის. ასევე, ანანიძეს ბრალი ედება პოლიციისადმი დაუმორჩილებლობაშიც.

— ცოტნეს აბრალებენ იმას, რაც არ ჩაუდენია. 21 მაისს როდესაც ბათუმში ტელევიზიასთან სპეცრაზმმა დაგვარბია, ცოტნე იქ არ იმყოფებიდა, რადგან იგი ამ დროს ჩემთან ერთად იყო, ჩვენ თბილისში დარეკვას ცვდილობდით. შესაბამისად, იგი ვერც პოლიციას გაუწევდა წინააღმდეგობას და ვერც ტელევიზიის პიკეტირებას შეძლებდა. ცოტნე არ ყოფილა არც „სახალხო კრების“ ბათუმის ოფისში, როდესაც სამართალდამცველებმა ჩვენი 16 აქტივისტი დააკავეს, თუმცა აღსანიშნავია, რომ იგი დასაკავებელი ადამიანების სიაში ეწერა, როგორც იცით, პოლიცია ბათუმში ხალხს სიით იჭერდა. ცოტნე ამ პერიოდში იმყოფებოდა თბილისში. რამდენიმე დღის წინ მას დაურეკეს პროკურატურიდან და უთხრეს, რომ მოწმის სტატუსით სურდათ მისი დაკითხვა, პროკურატურაში გამოცხადდა და დააკავეს კიდეც, — განაცხადა სალუქვაძემ და დასძინა, რომ ანანიძის მომდევნო სასამართლო განხილვა 16 ივლისისთვის ჩაინიშნა.

ცნობისთვის: ცოტნე ანანიძე 16 ივნისს, 16:00 საათზე მოწმის სტატუსით უშიშროების სამსახურის ყოფილ შენობაში დაიბარეს, სადაც მისულს უკვე დაკავების შესახებ დადგენილება დაახვედრეს. ცოტნე ანანიძეს ბრალი 21 მაისს, აჭარის ტელე-რადიო დეპარტამენტის პიკეტირების მცდელობაში ედება.

აღნიშნული დანაშაული 2-დან 4-წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. ანანიძის ინტერესებს ადვოკატები ედიშერ მახარაძე და მედეა ვასაძე, ასევე ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ბათუმის ორგანიზაციის იურისტი იცავენ.

ცოტნე ანანიძე 24 წლისაა და ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მაგისტრია.

*მედიანიუსი*

# ნაციონალები მინისტრებს არ შეეხებიან

ნანა მიშელაშვილი

**საპარლამენტო უმრავლესობამ არც ერთი მინისტრის პასუხისმგებლობის საკითხი არ დასვა. წინასწარ ცნობილი იყო, რომ სახალხო დამცველის ანგარიშის მოსმენის შემდეგ, მმართველი გუნდი არც ერთი მინისტრის პასუხისმგებლობის საკითხს არ დასვამდა, რაც ასეც მოხდა.**

არადა, ოპოზიციის ნაწილი, ომბუდსმენის ანგარიშიდან გამომდინარე, პოლიტიკური თანამდებობის პირების პასუხისმგებლობის საკითხის დასმას მოითხოვდა.

არც სახალხო დამცველის ანგარიშიდან გამომდინარე და არც სხვა საკითხებთან მიმართებაში საპარლამენტო ოპოზიციას ამჯერად ფინანსთა მინისტრის მოხსნის საკითხი არ სვამდა. არადა, გასულ კვირას, სწორედ კახა ბაინდურაშვილი მოხსენეს. თუმცა, ამ ფაქტს მოხსნა კი არა, სხვა სამსახურში გადაყვანა დაარქვეს. რას გააკეთებს „საქართველოს ფოსტაში" ბაინდურაშვილი, ეს ცოტა ხანში გამოჩნდება, გასული კვირის „მოულოდნელობა" კი ფინანსთა ყოფილი მინისტრის გათავისუფლება იყო.

ოპოზიციის ნაწილს კახა ბაინდურაშვილის მოხსნა არ გაჰკვირვებია, ნაწილი კი ამბობდა, რომ უმჯობესი იყო ფინანსთა მინისტრის ნაცვლად სხვა მინისტრის მოხსნის შესახებ „ნიუსი" გაეგო.

ყველაზე მეტი პრეტენზია გასულ კვირას საპარლამენტო ოპოზიციას ხათუნა კალმახელიძის მიმართ ჰქონდა. მას შემდეგ, რაც სახალხო დამცველის ანგარიში მოისმინეს, ოპოზიციამ კალმახელიძეს „შეუტია", თუმცა, უშედეგოდ. ოპოზიციის მიერ დასმული ჩაკითხი ჩავარდა და მინიტრი კალმახელიძეც გადარჩა. რამდენიმე თვის მანძილზე ოპოზიციას მისი მოხსნის საკითხის დასმა კანონის მიხედვით არ შეუძლია.

მანამდე კი ოპოზიციას სოფლის მეურნეობის მინისტრისა და ლტოლვილთა მინისტრის მოხსნა სურდა. ბაკურ კვეზერელი და კობა სუბელიანი მაშინ უმრავლესობამ გადაარჩინა. სამი თვის მანძლიზე ოპოზიცია ამ მინისტრების მოხსნის საკითხს ველარ დასვამს, რის გამოც ოპოზიციამაც დაისვენა და ამ მინიტრებმაც. თუმცა, სამთვიანი ვადა ივლისში იწურება და ოპოზიციას ახალი „შანსი" ისევ უჩნდება.

თუ გავითვალიწინებთ იმას, რომ ივლისში პარლამენტი დასასვენებლად წავა და სექტემბრამდე დაისვენებს, ოპოზიციის მიერ ათვალწუნებულ მინისტრებს „მშვიდად" ცხოვრება საშემოდგომო სესიამდე შეუძლიათ. თუ, რა თქმა უნდა, ისინი პრემიერმა ან პრეზიდენტმა არ მოხსნა.

რაც შეეხება სახალხო დამცველის ანგარიშში მოყვანილ ფაქტებს, რომელ ფაქტებზე მოხდება რეაგირება და რომელზე არა, გაურკვეველია. პარლამენტმა სახალხო დამცველის ანგარიშთან დაკავშირებით დადგენილება კი მიიღო, მაგრამ თავად ანგარიში ცნობად მიიღო. დადგენილებაში ისიც ჩაიწერა, რომ ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტს დაევალა განახორციელოს მონიტორინგი სახალხო დამცველის სანგარიშო მოხსენებაში მითითებული ფაქტების პრევენციისა და რეკომენდაციების შესრულებისკენ მიმართული ღონისძიებების გატარებაზე.

შესაბამისად, პარლამენტმა არ გაიზიარა და ჩააგდო ფრაქცია „ქრისტიან-დემოკრატების" მიერ მომზადებული დადგენილების ალტერნატიული პროექტი.

„ქრისტიან-დემოკრატები" თავის პროექტში მოითხოვდნენ, რომ სახალხო დამცველის ანგარიში არ მხოლოდ ცნობად ყოფილიყო მიღებული, არამედ დადგენილება მიღებულიყო, რომელიც დაავალებდა ქვეყნის სამართალდამცავ ორგანოებს გამოიკვლიონ ანგარიშში მოყვანილი ფაქტები და გარემოებანი, ჰქონდა თუ არა მათ ადგილი, მისცენ მათ სამართლებრივი შეფასება და მიიღონ შესაბამისი სამართალდაცვითი ღონისძიებები.

ქრისტიან-დემოკრატების დადგენილებას მხოლოდ 7-მა დეპუტატმა დაუჭირა მხარი, რის გამოც ჩავარდა. კენჭისყრის დროს, სხდომათა დარბაზში არ იმყოფებოდნენ ქრისტიან-დემოკრატების წევრები, მათგან სხდომაზე მხოლოდ რატი მაისურაძე იყო. როგორც ფრაქციის წვერები ამბობენ, მათ კენჭისყრა მოგვიანებით ეგონათ და იმის გამო, რომ კენჭისყრა ცოტა ადრე ჩატარდა, დარბაზში მისვლა ვერ მოასწრეს.

რომელი უწყება გაითვალისწინებს და რომელი არა ომბუდსმენის რეკომენდაციებს? სახალხო დამცველს სხვადასხვა უწყების მიმართ 308 რეკომენდაცია ჰქონდა. უკვე დამკვიდრებული ტრადიციის მიხედვით, სახალხო დამცველის რეკომენდაციების დიდი ნაწილი შეუსრულებელი რჩება. გამორიცხული არ არის, რომ იგივე ბედი გაიზიარონ ამ რეკომენდაციებმა უმეტესობამ და ისინი მხოლოდ ფურცელზე დარჩეს.

# აფხაზურ ეკლესიაში არეულობა გრძელდება

თეა მარხვაი ე

**აფხაზურ ეკლესიაში იმდენი სკანდალი მოხდა, იქაურ სასულიერო პირებს ლიმოებით ტაიმ-აუტი უნდა აეღოთ. მაგრამ, როგორც ჩანს, ეს ადამიანები გაჩერებას არ აპირებენ და ვითარება კიდევ უფრო დაიძაბება.**



მაისში აფხაზეთში ჩატარდა დიდი საეკლესიო კრება. სადაც აფხაზური ეკლესია ორად გაიყო. ერთი ნაწილი ბესარიონ აპლიას დარჩა, ხოლო მეორე ნაწილმა (ამ ფრთას ანდრეი ამპარი, დოროთე დბარი, დავით სარსანია) აფხაზეთის უფრო ზუსტად ანაკოფიის მიტროპოლია შექმნეს.

„დიდი საერო-საეკლესიო კრების" მოწვევის ინიციატორები სწორედ ისინი იყვნენ. ამ შეკრებაზე მათ მიტროპოლიის შექმნის შესახებ გადაწყვეტილება მიიღეს. მრევლს კი პირობა მისცეს, რომ ძალიან მალე აფხაზეთის ეკლესია დამოუკიდებლობას მიიღებს.

თავიდან ბესარიონ აპლიამ ისინი კომკავშირლებად გამოაცხადა. უფრო მოგვიანებით კი მათ მდგომარეობა დაუმძიმა და ისინი მწვალებლებად გამოაცხადა.

ამ დღეებში კი აპლიას ფრთამ ამპარ-დბარის მიტროპოლიას მორიგი განაჩენი გამოუქანა. აფხაზური მედიის ცნობით, აფხაზეთის მართლმადიდებული ეკლესიის საეკლესიო საბჭო და სულიერება საგანგებო თათბირზე შეიკრიბა.

შეკრებილებმა საგანგებო განცხადება მიიღეს, რომელშიც მრევლს მოუწოდებენ არ მიიღონ ზიარება სასულიერი პირებისგან დოროფეი დბარისა და ანდრეი ამპარისგან. ეს განცხადება აფხაზეთის მართლმადიდებლური ეკლესიის ვებგვერდზეცააგამოქვეყნებული.

— მიმდინარე წლის მაისის თვეში აფხაზეთის მართლმადიდებულ ეკლესიას განხეთქილება ეწვია. ორმა სასულიერო პირმა დოროფეი დბარმა და ანდრეი ამპარმა ეკლესიის უმაღლესი სადავეების ხელში ჩაგდების მიზნით აფხაზეთის ეკლესიაში განხეთქილება მოაწყვეს. ყველა სამოციქულო და მართლმადიდებლური კანონის დარღვევით, მათ აფხაზეთის მიწაზერალაც საეკლესიო" სტრუქტურა შექმნეს, რომელსაც „წმინდა მიტროპოლია" უწოდეს და რომელიც უკანონოდ დააფუძნეს, აფხაზეთის მართმადიდებლური ეკლესიის კუთვნილ ახალი ათონის მონასტერში. ორივე სასულიერი პირებისადმი არაერთი მოწოდების შემდეგ მონანიელბის შესახებ, უმაღლესი სასულიერი ხელისუფლება იძულებული გახდა მათთვის ღვთისმსახურება ერთი წლით შეეწყვიტა, — ნათქვამია განცხადებაში.

განცხადებაში მაიკოპისა და ადიღეს ეპისკოპოსის ტიხონის გადაწყვეტილებაზეც არის საუბარი. როგორც ირკვევა ეპისკოპოსმა ტიხონმა აკრძალვა დაადო. მან არქიმანდრიტ დოროთე დბარსა და იღუმენ ანდრეი ამპარს ერთი წლის განმავლობაში როგორც ტაძარში ასევე მის გარეთ ყოველგვარი სასულიერო რიტუალების ჩატარება აუკრძალა.

— მიუხედავად ამ აკრძალვისა, ეს სასულიერო პირები ამ აკრძალვას არ დაექვემდებარნენ და ახალი ათონის მონასტერში ღვთისმსახურებას განარგძობენ. მათ მიერ ჩატარებულ ღვთისმსახურებას ის მართლმადიდებელი მრევლი ესწრებოდა და ეზიარებოდა, რომელმაც აღნიშნული აკრძალვის შესახებ არაფერი იცოდა. — ნათქვამია განცხადებაში.

ეპისკოპოსმა ტიხონმა მამა ანდრეის და მამა დოროთეს განაჩენი ამ შეკრებამდე რამდენიმე დღით ადრე გამოუტანა. რამაც ამპარისა და დბარის განაწყენება გამოიწვია.

როგორც საინფორმაციო სააგენტო „აპსნიპრესი" იუწყებოდა ამპარმა და დბარმა რუსეთის პატრიარქსა და წმინდა სინოდს საგანგებო მიმართვა გაუგზავნეს.

არქიმანდრიტი დოროთე და იღუმენი ანდრეი პატრიარქ კირილსა და სინოდს ეპისკოპოს ტიხონის ქმედებების განხილვის მიზნით საერთო საეკლესიო სასამართლოს მოწვევას სთხოვენ.

საეჭვოა რუსეთის საპატრიარქომ ამ საკითხთან დაკავშირებით რაიმე გამოძიება ჩაატაროს. კიდევ უფრო საეჭვოა, რომ მათ საკუთარი „სიმართლე" დაამტკიცონ.

ბესარიონ აპლიას რუსეთის საპატრიარქოში ბევრი გავლენიანი მფარველი ჰყავს. სწორედ მათ წყალობით გამოდიოდა აპლია ყველა დაპირისპირებიდან გამარჯვებული.

მას სასულიერო პირების ახალგაზრდულ ფრთასთან ადრეც არაერთხელ მოუხდა დაპირისპირება. სავარაუდოდ გამარჯვება ახლაც მას დარჩება. ბესარიონ აპლიამ და მისმა მომხრე სასულიერო პირებმა ანდრეი ამპარი, დოროთე დბარი და მათთან ერთად დავით სარსანია მწვალებლებად გამოაცხადეს.

ანტიკანონიკურად და მწვალებლურად გამოაცხადა ანაკოფიის მიტროპოლიის შესახებ მიღებული გადაწყვეტილებაც.

— აფხაზეთის მართლმადიდებლური ეკლესია არის მრავალეროვანი მართლმადიდებლური ეკლესია და სამართალმემკვიდრე აფხაზური მართლმადიდებლური საკათალიკოსოსი, რომელმაც არსებობა 1795 წელს შეწყვიტა. სახელმწიფომ აფხაზეთის მართლმადიდებლური ეკლესის ბიჭვინთისა და სოხუმის ეპარქია აღიარა და მას აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული ყველა ტაძარი და სამონასტრო კომპლექსი გადასცა, მათ შორის ახალი ათონის სვიმონ კანანელის სახელობის მონასტერი. სამართლებრივი თვალსაზრისით, აფხაზეთის მართლმადიდებლური ეკლესია უკვე არსებობს და სამართლებრივი ურთიერთობების სრულფასოვანი სუბიექტია. აფხაზეთის მართლმადიდებლური ეკლესიის ხელახლა შექმნის ინიციატივა ბესარიონ აპლიას ეკუთვნოდა და ამ ისტორიულ დოკუმენტზე ხელმომწერთა შორის იეროდიაკონი ანდრეი ამპარიც იყო, რომელის ახლა იმ სამ ადამიანთა შორის აღმოჩნდა, რომლებმაც გადაწყვიტეს უკვე აღდგენილი და არსებული აფხაზეთის მართლმადიდებლური ეკლესია კვლავ აღადგინონ იმისათვის რათა იქ ხელისუფლება ჩაიგდონ ხელში, — ნათქვამია განცხადებაში.

განცხადებაში, რომელსაც ხელს 19 სასულიერო პირი აწერს, ამბოხებული სამეულის შესახებაც არის კონკრეტული ინფორმაციები.

აი რა წერია მათ შესახებ:

ანდრეი აპმარი — იგი ბერად მაიკოპის ეპისკოპოსის ტაძარში აკურთხეს. დღეს იგი ამბობს, რომ ახალი ათონის მონასტრის წინამძღვარი შეიძლება იყოს მხოლოდ ის, ვინც იქ ეკურთა ბერად, რასაც პირადად მასზე ვერ ვიტყვით. როგორც ბერი და დიაკონი იგი ვალდებულია რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის მაიკოპ-ადიღეს ეპარქიას დაემორჩილოს და დღეისათვის ამ ეპარქიის უშტატო სასულიერო პირია. ამავე დროს იგი თავს აფხაზეთის მართლმადიდებლური ეკლესიის სასულიერო პირადაც მიიჩნევდა და 2009 წლის 15 სექტემბერს ყველასთან ერთად ხელი მოაწერა დეკლარაცია აფხაზეთის მართლმადიდებლური ეკლესიის აღდგენის შესახებ. ამიტომაც იგი ვალდებულია ეპარქიის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელსა და ეპარქიალურ საბჭოს დაემორჩილოს. სწორედ აფხაზეთის მართლმადიდებლურმა ეკლესიამ დანიშნა იგი ახალი ათონის მონასტრის მნედ შემდეგ კი 2011 წლის 6 აპრილს ამ თანამდებობიდან გაათავისუფლა. ამის გამო 2011 წლის 15 მაისს მას არავითარი უფლება და არც კურთხევა ჰქონდა იმისათვის რათა ახალი ათონის მონასტერში შეკრება მოეწვია.

დოროფეი დბარი — ასევე რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის მაიკოპ-ადიღეს ეპარქიის უშტატო მღვდელია. ამავე დროს იგი თავს ასევე მიიჩნევდა აფხაზეთის მართლმადიდებლური ეკლესიის წევრად და მანამ იყო ასე ვიდრე მაიკოპისა და ადიღეს ეპარქიის არქიეპისკოპოსმა პანტელეიმონმა მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის ალექსი II ნებით მას მსახურება არ აუკრძალა. ამის შემდეგ დოროფეი დბარი აფხაზეთის ეპარქიის თანხმობის გარეშე საბერძნეთში წავიდა სასწავლებლად და აფხაზეთის ეკლესიასთან ყოველგვარი კავშირი გაწყვიტა. ამიტომაც არ არის მისი ხელმოწერა 2009 წლის 15 სექტემბრის დეკლარაციაზე. მისი მსახურებაში აღდგენის შესახებ დოკუმენტები ჩვენს ეპარქიაში არ მოსულა. ამიტომაც მას მსახურება ახლაც აკრძალული აქვს.

დავიდ სარსანია — დიაკვნის ხარისხში იგი საქართველოს პატრიარქმა ილია II-მ აიყვანა 2000 წელს, ანუ აფხაზი ხალხის საქართველოსგან თავისუფლებისათვის ბრძოლის სამამულო ომის შემდეგ. იგი აფხაზეთის მართლმადიდებლური ეკლესიის ღვთისმსახური არასოდეს ყოფილა.

ამ განცხადებაში აპლია და მისი 18 თანამოაზრე ახალგაზრდებს მონანიებისკენ მოუწოდებდნენ. მათ მონანიება არ ისურვეს. ახალგაზრდებზე არც ეპისკოპოს ტიხონის გადაწყვეტილებამ გასჭირა. ისინი ამ გადაწყვეტილების გამო სასამართლოს მოწვევასაც ითხოვენ. საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ეს ამბავი მარტივად და მალე არ დასრულდება.

იმის გამო, რომ აფხაზეთში საპრეზიდენტო არჩევნები ტარდება საეკლესიო დაპირისპირებისთვის ველარავინ მოიცლის. თუმცა გააჩნია რა მოხდება აპლიასა და ანაკოფიის მიტროპოლიას შორის.

# *დავით ბაქრაძე:* რუსეთს საქართველოს წარმატებები აღიზიანებს



საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძის განცხადებით, რუსეთს საქართველოს წარმატებები აღიზიანებს, რის გამოც იგი ქვეყანაში შიდა დესტაბილიზაციის შექმნას ცდილობს. მან ეს განცხადება ტელეკომპანია „ალ ჯაზირასათვის" მიცემულ ინტერვიუში გააკეთა. მისი შეფასებით, სირთულეებისა და რუსეთის ოკუპაციის მიუხედავად, საქართველოში ბევრი რამ გაკეთდა და ქვეყანას უნდა, რომ წარმატებული იყოს. რუსეთის გაღიზიანებასაც სწორედ ეს იწვევს.

— ჩვენ ვსაუბრობთ ქვეყანაზე, რომელმაც წარმატებული გარდაქმნა შეძლო, ქვეყანაზე, რომელიც რამდენიმე წლის წინათ წარუმატებლად მიიჩნეოდა. დღეს კი მსოფლიო ბანკმა მსოფლიოს №1 რეფორმატორი ქვეყნად აღიარა, — აღნიშნა დავით ბაქრაძემ. მან კორუფციასთან ბრძოლაზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ „ტრანსფარენს ინტერნეიშენელის" შეფასებით, საქართველო მსოფლიოში კორუფციასთან მებრძოლ №1 ქვეყნად არის აღიარებული.

პარლამენტის თავმჯდომარემ ასევე ისაუბრა სახელმწიფო ინსტიტუტებისადმი მოსახლეობის დამოკიდებულების მნიშვნელოვან ცვლაზე და აღნიშნა, რომ ჯარსა და პოლიციას საზოგადოების 87 პროცენტი ენდობა.

**მედიანიუსი**

# ბათუმში საერთაშორისო კონფერენცია გაიმართება

ბათუმში კონფერენცია „საკონსტიტუციო კონტროლის წარსული და მომავალი ახალ დემოკრატებში" გაიმართება. საქართველოში ევროსაბჭოს ოფისის ინფორმაციით, ღონისძიება 24-26 ივნისს ჩატარდება და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მე-15 წლისთავს მიეძღვნება. იგი ევროსაბჭოს



ვენეციის კომისიისა და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის ორგანიზაციის დახმარებით გაიმართება. მასში მონაწილეობის მიღებას ვენეციის კომისიის პრეზიდენტი ჯანი ბუკიკიო აპირებს.

**მედიანიუსი**

შედით საიტზე atb.ge

# პრეზიდენტი უფლებამოსილებას 10 თვით იხანგრძლივებს

შორენა კოწოწაშვილი

## ხალხს რევოლუციის აღარ სჯერა

**მოძრაობა „სოლიდარობა უკანონო პატიმრებს" ხელმძღვანელი ეკა ბესელია პოლიტიკურ სპექტრსა და სამოქალაქო საზოგადოებას მოუწოდებს, აქტიურად დაიწყონ ბრძოლა იმისთვის, რომ ხელისუფლებამ ვერ შეძლოს ძალაუფლების უზურპირება იმ ახალი საკონსტიტუციო ნორმებით, რომლითაც პარლამენტი უფლებამოსილებას — 6 თვით, ხოლო პრეზიდენტი 10 თვით იხანგრძლივებს. ბესელია აცხადებს, რომ ამის დაშვება არ შეიძლება.**



არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელი, აფასებს რა რვიანში მიმდინარე პროცესსა და საერთოდ მოლაპარაკების ირგვლივ შექმნილ ვითარებას, დარწმუნებულია, რომ რვიანი მალე შეაჩერებს ფუნქციონირებას.

— მე ნამდვილად არ დავიჯერებ, რომ ახლები რაიმე გარიგებაში არიან შესული. დისკრედიტებულია თვითონ მოლაპარაკების პროცესი. არ მჯერა, რომ რვიანის ფორმატი დიდხანს შენარჩუნდება. მე მგონი, ყველამ ახლა უნდა მოვიკრიბოთ ძალები იმისთვის, რომ დავიწყოთ ლაპარაკი იმაზე, რომ კონსტიტუციაში ჩაწერილი და ოქტომბრის ცვლილებებით დაკანონებული ძალაუფლების უზურპაცია, რაც ნიშნავს, რომ საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების გადავადება უნდა ნაციონალურ მოძრაობას, ეს უნდა შევაჩეროთ, — აცხადებს ეკა ბესელია.

ეკისრება თუ არა ნინო ბურჯანაძეს პასუხისმგებლობა და სწორი პოზიცია აირჩია თუ არა მან 26 მაისის შემდგომ, ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს მოძრაობა „სოლიდარობა უკანონო პატიმრებს" ხელმძღვანელ **ეკა ბესელიასთან.**

***— ქალბატონო ეკა, რა პოლიტიკური რეალობა შეიქმნა 26 მაისი შემდეგ და რამდენად დამძიმდა ამ მხრივ ვითარება?***

— 26 მაისის შემდგომ, როგორც ვვარაუდობდი და პროგნოზს ვაკეთებდი, სრულიად ახალი პოლიტიკური რეალიბა შეიქმნა. დღეს უკვე ახალი მოცემულობა გვაქვს, რომელიც მოითხოვს ძალიან სწორ და ობიექტურ ანალიზს, რა და რატომ მოხდა. ასევე მოცემული ვითარება მოითხოვს შორსმხედველის მხრიდან იმის განჭვრეტას, რა უნდა მოხდეს უახლოეს მომავალში და რა არის ის აუცილებელი ფორმა და ყალიბი, რომელშიც უნდა მოექცეს სამოქალაქო, საზოგადოებრივი და პოლიტიკური ენერგია. ფაქტია, 26 მაისი იყო პოლიტიკური კალენდარი, პოლიტიკური მოვლენა, რომელმაც, პირველ რიგში, ალბათ, შეძრა სრულიად საქართველო. ეს იყო არნახული მასშტაბის ძალადობის დემონსტრირება და ყველაზე დიდი მსხვერპლი, რომელიც ამ ხელისუფლების ყოფნის პერიოდში ერთდღიანი ძალადობით ყოფილა. მე ამ მოვლენებს, ბუნებრივია, აგვისტოს ომს ვერ შევადარებ, მაგრამ აგვისტოს ომის შემდეგ ყველაზე მძიმე, მათ შორის, 7 ნოემბერზეც უფრო მძიმე აღმოჩნდება, ალბათ, ამ ჩამონათვალში 26 მაისის სისხლიანი ანგარიშსწორება, რომელსაც რამდენიმე ადამიანის სიცოცხლე შეეწირა: 4 — ადგილზე, შემდეგ გაიზარდა მსხვერპლი, როდესაც გარდაიცვალა ნიკა კვინტრაძის მამა, მოგვიანებით საავადმყოფოში გარდაიცვალა აქციის კიდევ ერთი მონაწილე — კაპანაძე. ამ დროისთვის გაუჩინარებულია კიდევ ბევრი ადამიანი. ციხეებში 300-ზე მეტი ადამიანი გამოამწყვდიეს და სრულიად უსამართლოდ იტანჯებიან. ეს არის ის მოცემულობა, რომელიც ვიზუალურადაც და ფიზიკურადაც შეიძლება კარგად ჩანდეს, მაგრამ ის, რაც არ ჩანს და რაც აუცილებლად უნდა დავინახოთ ამ ყველაფრის შემდეგ — რეალობა, რომელიც სრულიად სხვა იმპულსებს შობს. კერძოდ, ვფიქრობ, 28 მაისი იყო რეაქცია 26 მაისის მოვლენების მიმართ. 28 მაისს, როდესაც ჩვენ, უფლებადამცველებმა, გამოვაცხადეთ სამოქალაქო სოლიდარობის დღე და დუმილის მანიფესტაცია, გამოვიდა ძალიან ბევრი ადამიანი. ამის ორგანიზებისთვის იყო უმცირესი დრო. განცხადების გაკეთების შემდეგ პირადი კონტაქტებით და სოციალური ქსელით გავაგებინეთ ხალხს აქციის შესახებ და უამრავი ადამიანი გამოვიდა. ეს იმას ნიშნავდა, რომ გამოვიდა ყველა, ვინც იყო შეურაცხყოფილი და ვისაც ჰქონდა პროტესტის განცდა. ამ დღემ აჩვენა, რომ საზოგადოება არის შეურიგებელი ძალადობის მიმართ, მაგრამ, ამავე დროს, გამოჩნდა, რომ არის მოთხოვნილება საზოგადოებრივი და სამოქალაქო ტიპის აქტიურობისა და ერთგვარი გაღიზიანება შეიმჩნევა პოლიტიკური ლიდერების მიმართ. ეს რეალობა ითხოვს, რომ დღეს ახალი პოლიტიკური მოცემულობა შეიქმნას. თითქმის მთლიანად მორღვეული და გაშიშვლებულია ე.წ. რადიკალური ოპოზიციური ფრთა. ამ პროცესმა თითქმის მთლიანად შეიწირა რამდენიმე პოლიტიკური ძალის ნდობა და მოლოდინიც.

***— რომელ ოპოზიციურ ძალებს გულისხმობთ, იქნებ დააკონკრეტოთ?***

— შეგნებულად არ ვაკონკრეტებ ამ ძალებს. საზოგადოებამ თვითონ განსაჯოს. ასევე ე.წ. მოლაპარაკების პროცესში მყოფი რვიანის მიმართაც გააჩინა საკმარისი აგრესია. იმდენად დიდი, რომ ერთგვარად ქვეცნობიერად ეს სიბრაზე თითქოს მათზედაც გადანაწილდა, ანუ დღეს საზოგადოება, რომლის მოთხოვნის სტანდარტები გაიზარდა, ითხოვს გაცილებით უფრო მაღალი სტანდარტების, მორალური და ზნეობრივი ფასეულობებით დატვირთული პოლიტიკის შეთავაზებას და რეალური ალტერნატივის გამოკვეთას, რომელიც არათუ ცოტათი, ბევრად განსხვავებული და ბევრად გამორჩეული იქნება ხელისუფლებისგან, რომელსაც ექნება მაღალი სანდოობა. სწორედ ასეთ ძალას ელოდება დღეს ქართველი საზოგადოება, რომელმაც, პირველ რიგში, უნდა დაიწყოს საკუთარი თავის გაჯანსაღების პროცესი; უნდა გაიაზროს, ვინ არის პასუხისმგებელი მთელ ამ მოვლენებში და უნდა გახდეს თანამონაწილე თავად პოლიტიკისა; იმ პოლიტიკისა, რომელიც ნიშნავს საზოგადოების კეთილდღეობისთვის ბრძოლას და არა იმ პოლიტიკას, რომელსაც ჰგონიათ, რომ აკეთებენ და ქმნიან ქართველი პოლიტიკოსები — ნაციონალური დამნაშავე პარტია. აი, ეს არის მოკლედ, რაც შემიძლია გითხრათ იმ რეალობასთან დაკავშირებით, რომელიც დღეისათვის შეიქმნა. ახლა ყველაფერი დამოკიდებულია იმ გონიერებაზე, სიბრძნეზე, მოხერხებულობაზე, რომელსაც გამოიჩენენ პოლიტიკური და საზოგადოებრივი ჯგუფები, რომლებიც ზუსტად გამოიცნობენ და მიხვდებიან, რა არის დღეს გასაკეთებელი; რა ტიპის პოლიტიკური პროდუქტი შეიძლება შესთავაზონ დღეს საზოგადოებას. ეს პოლიტიკური პროდუქტი უნდა იყოს სრულიად ახლებური როგორც ფორმით, ისე შინაარსით. ეს არის, ჩემი აზრით, ყველაზე მთავარი.

***— გარკვეული პოლიტიკური ძალებისადმი უკმაყოფილება გაჩნდა 26 მაისის შემდეგ. რისი ბრალია ეს? იმის, რომ ამ ძალებმა სათანადოდ არ შეაფასეს 26 მაისი?***

— ბუნებრივია, იმედგაცრუება განაპირობა დანაპირების მუდმივმა შეუსრულებლობამ, რომელიც ხშირად ისმის. ბუნებრივია, ამ მოლოდინების გაჩენა ნიშნავს ძალიან მაღალი პასუხიმგებლობის აღებას. სამწუხაროდ, ჩემთვის მოულოდნელი არ იყო 26 მაისის შედეგები. ჩვენ ამაზე გვისაუბრია. ძალიან ფრთხილად ვაკეთებდი პროგნოზებს, რომ არ დამეზარალებინა პროცესი და ხელი არ შემეშალა რაიმე ტიპის აქტივობისთვის. მაგრამ ძალიან კარგად ჩანდა და იკითხებოდა, რომ არანაირი რევოლუციური მზაობა, რევოლუციური პროცესი არ იყო ქვეყანაში მომწიფებული. არც ორგანიზება იყო გაკეთებული იმისათვის, რომ რევოლუციური პროცესი ყოფილიყო. ერთადერთი, რაც უნდა არიდებულიყო თავიდან, ეს იყო ადამიანური მსხვერპლი, რაც, სამწუხაროდ, ვერ მოხერხდა. რა თქმა უნდა, ამ ყველაფერზე პასუხისმგებლობა ეკისრება ხელისუფლებას, რომელიც არის ვალდებული, რომ აირიდოს ნებისმიერი ასეთი შედეგი იმიტომ, რომ მის ხელთ არის როგორც გადაწყვეტილების მიღების ბერკეტი, ასევე მისი აღსრულების. ხელისუფლებამ ყველაფერი უნდა გააკეთოს, რომ სიტუაცია სისხლისღვრამდე არ მიიყვანოს. ამისთვის არათუ არაფერს აკეთებს, პირიქით, თვითონ არის მაპროვოცირებელი. ხელისუფლებას იმდენად დიდი სურვილი ჰქონდა, ისე მოქცეულიყო, როგორც მოიქცა, რომ 12 საათს გადასცილდა თუ არა, მაშინვე დაიწყო ეს სისხლიანი ოპერაცია. ასეთ ვითარებაში კიდევ უფრო მზარდია მისი პასუხისმგებლობის ტვირთი.

***— აქციის ორგანიზატორებსაც ხომ ეკისრებათ გარკვეული პასუხისმგებლობა?***

— მომხდარზე პასუხისმგებლობა მთლიანად ხელისუფლებას ეკისრება. ვინც ლაპარაკობს, რომ აქციის ორგანიზატორებს არანაირი პასუხისმგებლობა არ ეკისრებათ, არც სისხლის სამართლის და არც მორალური, მას, უბრალოდ, პოლიტიკაში ყოფნის უფლება არ აქვს, იმიტომ რომ, თუ პოლიტიკოსი ვერ იაზრებ შენს წილ პასუხისმგებლობას — მორალურ ტვირთს, რომელიც მუდმივად გდევს შენ, როგორც ლიდერს და როგორც, ვთქვათ, რაიმე პროცესის ორგანიზატორს, როცა ადამიანები მოგყვებიან, შენ ხალხს მოუწოდებ, გამოგყვნენ პროცესში და მერე ამბობ, რომ არანაირი პასუხისმგებლობა, მათ შორის არც მორალური არ გეკისრება და იხსნი მთლიანაც ამ ტვირთს, მით უფრო, როდესაც ასეთი მძიმე შედეგი დგება, ეს რას ნიშნავს?! ვფიქრობ, ასეთი პოლიტიკოსებისადმი ნდობა კიდევ უფრო შემცირდება. არ უნდა გაგვიჭირდეს აღიარება იქ, სადაც ჩვენი რაიმე ტიპის ბრალეულობაა და ეს ხალხს გულწრფელად უნდა ვუთხრათ. გულწრფელობა, პატიოსნება, მორალური სტანდარტებით აპელირება — ეს არის ის აუცილებელი შეთავაზება, რომელსაც ითხოვს პოლიტიკა. ამისგან დაცლილი პოლიტიკა ბიზნესს ემსგავსება. ასეთად რომ არ გადავიქცეთ, უნდა ვიგრძნოთ ჩვენ ჩვენი წილი პასუხისმგებლობა ყველამ, თუ ვინმემ რამე დააკლო ამ პროცესს. ძალიან მაღოზოანებს, როცა მესმის, მაგალითად, რომ არანაირი პასუხისმგებლობა არ გვეკისრება ჩვენ. მე სამართლებრივი შეფასება მაშინვე გავაკეთე და ვთქვი, რომ ის აქცია, რომელიც იმართებოდა 25 მაისს, არ იყო უკანონო. ეს აქცია არ ექვემდებარებოდა ძალის გამოყენებას და ძალით დაშლას. ამისი უამრავი არგუმენტი შემიძლია მოვიყვანო და დავასაბუთო. მაგრამ თავისთავად, როცა რისკის შემცველი ნაბიჯი გადაიდგა, როდესაც პოლიტიკური გადაწყვეტილება იქნა მიღებული, რომ მიუხედავად აქციის კანონიერებისა, ხელისუფლების მხრიდან მოსალოდნელი იყო დარბევა და ამ რისკზე აქციის ორგანიზატორები წავიდნენ, ბუნებრივია, ეს თავისთავად უკვე ატარებს პოლიტიკური პასუხისმგებლობის წილს. ამისგან გათავისუფლება უკვე ნიშნავს, რომ ეს არის უპასუხისმგებლობა და არავის ვურჩევ, ამ პოზიციიდან ელაპარაკოს საზოგადოებას, იმიტომ, რომ ეს ყველას ძალიან აღიზიანებს.

***— ნინო ბურჯანაძე არასწორად მოიქცა, როცა განაცხადა, პასუხისმგებლობას არ ვგრძნობო?***

— მე პერსონიფიცირებას არ გავაკეთებ ნინო ბურჯანაძის მიმართ. როცა მიმდინარეობს რეპრესიები, მორალურად და გამართლებულად არ მიმაჩნია, მას თავს ესხმოდეს ოპოზიციური ფლანგი. ეს ჩემთვის ზნეობის საკითხია. ასე არასოდეს მოვიქცევი. მე ვაფიქსირებ ჩემს აზრს და ეს ეხება ყველას, ვინც ამბობს, რომ მას არანაირი მორალური და პოლიტიკური პასუხისმგებლობა არ ეკისრება, როდესაც შედეგი უმძიმესია. კიდევ ერთხელ ვამბობ: ყველა პასუხისმგებლობა, მათ შორის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ეკისრება ხელისუფლებას. მე კიდევ ერთხელ დავაყენე არა მარტო პოლიტიკური, არამედ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხი ვანო მერაბიშვილსა და სააკაშვილთან ერთად. როცა ამას ვლაპარაკობ, ძალიან კარგად ვიაზრებ ამის შედეგებს, იმიტომ რომ, როდესაც 2009 წლის 15 ივნისს მე დავაყენე ვანო მერაბიშვილის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხი და არა მარტო დავაყენე, ოფიციალურად შევიტანე საჩივარი მთავარ პროკურორთან გამოძიების დაწყების მოთხოვნით ვანო მერაბიშვილის მიმართ, მერაბიშვილის პასუხი იყო შემდეგი: მან ორ კვირაში დაიჭირა ჩემი შვილი და ჩემი ძმა ერთად და ამით გადამიხადა სამაგიერო. ამიტომ ძალიან კარგად მესმის, რამდენად მაღალი რისკია, როდესაც ასეთ საკითხზე არათუ ვლაპარაკობ, არამედ ვმოქმედებ და ვქმნი დოკუმენტებს, რომ სისხლისსამართლებრივი რეაგირება მივცეთ ამას. პოლიტიკოსი როცა ამბობს, რომ მას არანაირი პასუხისმგებლობა არ ეკისრება, მე, როგორც რიგით მოქალაქეს, ასეთმა პოლიტიკოსმა აქციაზე რომ დამიძახოს, არ გავყვები. როცა პროცესის ლიდერი ხდები შენ, მინიმალურ პასუხისმგებლობას მაინც თუ ვერ გრძნობ იმ ხალხის წინაშე, მე ვფიქრობ, ასეთი პროცესი უკვე თავისთავად არ იმსახურებს ნდობას. ამიტომ უნდა მივეჩვიოთ პასუხისმგებლობების აღებას და მუდმივად სხვისკენ არ უნდა ვიშვერდეთ ხელს. დღეს ქართული რეალობა გაცილებით სხვა სტანდარტებს ითხოვს. ვინც ამას ვერ ხედავს, ის დარჩება წარსულში და მიხეილ სააკაშვილთან ერთად იქნება წარსულის პოლიტიკოსი.

***— თქვენ ახსენეთ, გარკვეული ძალები გავიდნენ პოლიტიკიდანო. რევოლუციური ფლანგი ჩაირეცხა პოლიტიკიდან?***

— დღეს შემიძლია გითხრათ, რომ ე.წ. რადიკალური ფლანგი მთლიანად არის გაშიშვლებული. სრულიად სხვა რეალობაა შექმნილი. იმათ მიმართ თუკი არსებობდა რაიმე მოლოდინები, ეს მოლოდინები აღარ არსებობს 26 მაისის შემდეგ.

***— ამას ამერიკის ელჩის განცხადებამაც შეუწყო ხელი?***

— ელჩის განცხადება, რომელიც გამოიყენა ხელისუფლებამ მისთვის ძალიან მომგებიანად და ხელისუფლებისთვის აღმოჩნდა ძალიან მსუყე ნიადაგი, რომ ამ ფონზე გაემართლებინა თავიანთი უკანონო და ძალადობრივი მოქმედება, მე ვფიქრობ, იყო ცოტა გაუგებარი. მაგალითად, რატომ გააკეთა საერთოდ ამერიკის ელჩმა წინმსწრებად ასეთი განცხადება? ეს ჩემთვის ცოტა გაუგებარი იყო, იმიტომ რომ ასეთ სიტუაციებში, რომელიც მართლაც შიდაპოლიტიკური საკითხია, აქ ელჩის განცხადება იყო ცოტა უცნაური და გაუგებარი. ამიტომ, ფიქრობ, როდესაც ხელისუფლება არის ასეთი უკონტროლო, როდესაც იცი, რომ არის ავანტიურისტი ხელისუფლების სათავეში დაგეშილი საკუთარ ხალხზე, რომელსაც მოწყობილი აქვს 7 ნოემბერი, 15 ივნისი, 6 მაისი და ა.შ. სისხლიანი ანგარიშსწორებები და აგვისტოს ომი, ასეთი ხელისუფლების პირობებში მსგავსი განცხადებების გაკეთება რომ საფრთხის შემცველია, ეს უნდა იყოს წინმსწრებად გააზრებული. ამიტომ, ბუნებრივია, იმ აგრესიას, რომელიც გაჩნდა ამ განცხადების შემდეგ, აქვს თავისი ახსნა. დარწმუნებული ვარ, ამას მოჰყვებოდა შესაბამისად კარგი ანალიზი. როცა ლაპარაკია სამართლებრივ შეფასებაზე, მით უფრო შიდა კანონმდებლობის თვალსაზრისით, აქ ბევრი წიაღსვლაა და ასე მარტივად იმის თქმა, რომ ეს აქცია იყო უკანონო და ა.შ., არ შეიძლება. მე ვფიქრობ, ეს განცხადება უფრო პოლიტიკურ განწყობასა და პოლიტიკურ ელემენტებს შეიცავდა, რაც იკითხებოდა ამ განცხადებაში. თუმცა, მიმაჩნია, რომ ახლა უფრო მკაცრი უნდა იყოს საერთაშორისო საზოგადოება საქართველოს ხელისუფლების მიმართ. ვინმეს წარმოუდგენია, რომ რომელიმე ქვეყანაში, სადაც მოხდებოდა ასეთი მასშტაბის დანაშაული, არ დაისჯებოდა არავინ? ამ სისხლიანი ანგარიშსწორებიდან რამდენიმე დღეში ერთი თვე ხდება, ჩვენ პერმანენტულად ვითხოვთ დამნაშავეების დასჯას, გამოძიების ჩატარებას, უდანაშაულო ადამიანების ციხეებიდან გათავისუფლებას და ამ დრომდე დასჯილი არავინ არის. ეს ნორმალურია?! რატომ ამაზე არ აკეთებენ განცხადებებს ან ელჩები, ან საერთაშორისო საზოგადოების მოთხოვნა რატომ არ არის უფრო მწვავე და უფრო აქტიური?

***— ოპოზიციური ფლანგის აქტიურმა სახემ გოგა ხაინდრავამ ღია მიმართვაში საკმაოდ მკვეთრი შეფასება მისცა ამერიკის ელჩის განცხადებას და ჯონ ბასს მოუწოდა, დატოვოს საქართველო. რა კომენტარს გააკეთებთ ხაინდრავას მიმართვაზე?***

— გოგა ხაინდრავა ჩემი მეგობარია. ის ძალიან გულწრფელი ადამიანია და, ბუნებრივია, ძალიან მტკივნეულად იყო მისი მხრიდან აღქმული ის განცხადება, რომელიც გაკეთდა 26 მაისის დარბევის წინ. მნიშვნელოვანია იგივე მერაბ ბერძენიშვილის წერილი ამასთან დაკავშირებით. მასში ძალიან მკვეთრად და პირდაპირ იყო ნათქვამი. მე ვფიქრობ, რომ ელჩის მხრიდან ასეთი განცხადების გაკეთება იყო სერიოზული შეცდომა. როცა გაანალიზებული იქნება, რა მოჰყვა ამ ყველაფერს, ძალიან სახიფათოა ამ ხელისუფლებასთან ასეთი ურთიერთობა, იმიტომ რომ ეს არის რეჟიმი, რომელსაც სახელი უნდა დაარქვა პირდაპირ და ღიად. ენის მოჩლექით და შეფუთული საუბარი არაფრის მომტანი არ არის. ეს არის ძალადობრივი და დანაშაულებრივი, ძალიან საშიში რეჟიმი, რომელიც საფრთხეს უქმნის მთელ რეგიონს. უნდა იყოს ღია ტექსტით ლაპარაკი და არა რაიმე ტიპის წახალისება და პოლიტიკური შესაფუთით ეს ურთიერთობა, იმიტომ რომ ჩვენ უკვე რეალურად ავტორიტარული რეჟიმიდან გადავედით უკვე დიქტატორულ რეჟიმზე. ამის ყველა ნიშანი უკვე გაჩნდა.

***— საერთაშორისო ორგანიზაციები და ელჩებიც 26 მაისს ძალის გადამეტების გამოძიებასა და დამნაშავეთა დასჯას ითხოვენ. გამოიძიებს ხელისუფლება ამ სისხლიან ფაქტს?***

— ეს ხელისუფლება ამას არ გამოიძიებს. ბუნებრივია, კვალი ქვეყნის პირველ პირთან მიდის. არავინ დაიჯერებს, რომ სააკაშვილის ნებართვის გარეშე მომხდარიყო ასეთი მასშტაბური ოპერაცია. ასეთ ვითარებაში, როცა ქვეყნის პირველ პირთან მიდის ასეთი მძიმე დანაშაულის კვალი, ბუნებრივია პრეზიდენტი დანაშაულს არასოდეს აღიარებს და არც სათანადოდ გამოიძიებს ამ ფაქტს. გამოძიების დაწყება შეიძლება განაპირობოს ორმა ფაქტორმა: ეს უნდა იყოს საზოგადოების ძალიან დიდი პროტესტი და მეორე, ეს უნდა იყოს საერთაშორისო ცივილიზებული საზოგადოების ძალიან ღია და პირდაპირი მოთხოვნა, რომ ამაზე პასუხისმგებლობა აიღოს ხელისუფლებამ. თუ ეს გარემოება პრინციპულადაა დაყენებული, ბუნებრივია, ეს ხელისუფლება თავისით არასოდეს აღიარებს ამ დანაშაულს. თუ უკიდურეს მდგომარეობაში არ ჩავარდა ეს ხელისუფლება, ჩადენილ დანაშაულს არ აღიარებს. დღეს ასეთ ვითარებაში ნამდვილად არ არის ეს დამნაშავე რეჟიმი. მინდა, საზოგადოებას მივმართო: ყველამ უნდა იპოვოს საკუთარ თავში დღეს თანამედროვე გმირი, რომელსაც აქვს სამოქალაქო პასუხისმგებლობა. ის მაინც უნდა შევძლოთ, რომ კვირაში ერთი საათი გამოვიდეთ და ჩვენი სამოქალაქო პროტესტი დავაფიქსიროთ. ეს არის ფორმა, რომლითაც ერი აჩვენებს თავისი თავმოყვარეობის სიმაღლესა და მასშტაბს. ხალხის მასობრივი აქტიურობის გარეშე არაფერი გამოვა. ამ ხელისუფლებას მხოლოდ მასობრივი პროტესტის ეშინია.

***— რას იტყვით „ახალი მემარჯვენეების" ინიციატივაზე, რომლებიც ხელისუფლებასთან ინდივიდუალური მოლაპარაკების ფორმატში გადავიდნენ და ამაში ხედავენ შედეგის დადგომას?***

— სამწუხაროდ, აქაც მოლოდინი გამართლდა და საარჩევნო გარემოსთან დაკავშირებით მოლაპარაკებები წარუმატებელი აღმოჩნდა. ეს გზა ხელისუფლებამ თავად გააბანკროტა.

# რიკოთის გვირაბის გავლით მოძრაობა ცალმხრივად აღდგა

რიკოთის უღელტეხილზე, გვირაბის გავლით მოძრაობა ცალმხრივად აღდგა.

როგორც რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი რამაზ ნიკოლაიშვილი აცხადებს, თბილისისკენ მომავალ ავტომანქანებს ეტაპობრივად ატარებენ. გვირაბში გავლა სატვირთო ავტომანქანებსაც შეუძლიათ.

რიკოთის უღელტეხილის მიმდებარე ტერიტორიაზე გზის გაწმენდითი სამუშაოები დილიდან ინტენსიურ რეჟიმში მიმდინარეობს. ამ დრომდე თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო მაგისტრალის ამ მონაკვეთზე გადაადგილება შეუძლებელი იყო.

თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის დაზიანების გამო ავტოტრანსპორტის მოძრაობა ძირითადად გომი-საჩხერე-ჭიათურა-ზესტაფონის საავტომობილო გზის გავლით ხორციელდება.

ინტერპრესნიუსი

# დუშეთის რაიონში 12 წლის გოგონა დაიხრჩო

დუშეთის რაიონის სოფელ თხილიანში ადიდებულ მდინარეში 12 წლის გოგონა დაიხრჩო.

ის მდინარის პირას, ხიდთან სხვა ბავშვებთან ერთად თამაშობდა, როდესაც ფეხი დაუცდა და არაგვში ჩავარდა.

ინტერპრესნიუსი

# სტიქიამ დუშეთის რაიონში ბუნებრივი აირის მაგისტრალური მილსადენი დააზიანა

კოკისპირული წვიმების შედეგად მთიულეთში, დუშეთის რაიონის სოფელ მუგუდასთან ხევი ადიდდა. წყალმა ბუნებრივი აირის მაგისტრალური მილსადენი დააზიანა.

როგორ მცხეთა-მთიანეთის საინფორმაციო ცენტრს სოფელ ხამუშას მკვიდრმა ილო გვრიტიშვილმა განუცხადა, მილსადენი გვიან ღამით დაზიანდა.

— ღამით ძლიერი წვიმა იყო. მთიდან წამოსულმა წყალმა მილსადენს მიწა გამოაცალა და ქვა-ღორღი მილს შეასკდა. მთიდან ქვა-ღორღი იმიტომ მოდის, რომ ტყე გაჩეხილია და ვერ აკავებს, — აღნიშნა ილო გვრიტიშვილმა.

ხევი ამ დროისთვისაც ადიდებულია. მცხეთა-მთიანეთის საინფორმაციო ცენტრის ცნობით, მილსადენის დაზიანების ადგილზე არანაირი სამუშაოები არ მიმდინარეობს.

ინტერპრესნიუსი

# სამეგრელოში ედპ-ის კონფერენცია გაიმართება

„ეროვნულ-დემოკრატიული პარტია“ დღეს ზუგდიდში კონფერენციას გამართავს.

ღონისძიება კინოთეატრ „ატრიუმში“ ჩატარდება, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ პარტიის ლიდერი ბაჩუკი ქარდავა, პარლამენტის წევრი გურამ ჩახვაძე, ედპ-ის პოლიტიკური მდივანი გოგა გოგნიაშვილი და პარტიის სამეგრელოს რაიონული და ზუგდიდის საქალაქო ორგანიზაციის 300 დელეგატი.

პარტიის პრესსამსახურის ინფორმაციით, აღნიშნული კონფერენცია მიზნად ისახავს ედპ-ის პარტიული სტრუქტურების განახლებას, პარტიის წევრების მობილიზებას, სამომავლო პოლიტიკური გეგმებისა და რეგიონში პარტიის სამოქმედო სტრატეგიის განსაზღვრას.

კონფერენციის შემდეგ პარტიის ლიდერები ზუგდიდის რაიონის სოფლების მოსახლეობას შეხვდებიან. შეხვედრებზე მოსახლეობა გაეცნობა პარტიის სამოქმედო გეგმებს და პოზიციას საარჩევნო პროცესებთან დაკავშირებით.

ინტერპრესნიუსი

# ონის რაიონის სოფელ ღარში ოკუპანტებმა ათი ადგილობრივი დააკავეს

ონის რაიონის სოფელ ღარში ოკუპანტებმა ათი ადგილობრივი მცხოვრები დააკავეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ ადგილობრივმა მოსახლეობამ აცნობა, გუშინ სოფელ ღართან, საეკლესიო დღესასწაული საჯვარეობა აღინიშნება.

ღარში მცხოვრები ათი ახალგაზრდა დღეს სალოცავთან მოსალოცად ავიდა, სადაც რუსული საოკუპაციო ჯარის ნაწილები დახვდათ. ოკუპანტებმა ახალგაზრდები დააკავეს.

სოფელ ღარის მოსახლეობა მათი თანასოფლელების ადგილსამყოფელისა და მდგომარეობის შესახებ ინფორმაციას ამ დრომდე არ ფლობს.

ინტერპრესნიუსი

# დავამტკიცებ, რომ ბაღაფში მოკლეს!

## რუსეთმა აფხაზ უხუცესებში აგენტები შეაგზავნა

გულიკო ბალა ე

**უპარტიოთა მო რაობის ლიდერი მამუკა გვა აბია ირწმუნება, რომ აფხაზ სეპარატისტთა ყოფილი ლიდერი სერგეი ბაღაფში მოკლეს. მამუკა გვა აბიას თქმით, ამის თაობაზე მას სარწმუნო ინფორმაცია აქვს.**



— აფხაზეთში ძალიან რთული სოციალურ-პოლიტიკური ვითარებაა, რომელიც აისახება თუნდაც იმაზე, რომ, ფაქტობრივად, ტურისტული სეზონი ჩავარდა. აფხაზეთში წელს ძალიან მცირე რაოდენობის ტურისტები ჩამოდიან. სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური სიტუაციის ერთგვარი ბარომეტრი და ლაკმუსის ქაღალდი იყო აფხაზეთის ე.წ. პრეზიდენტ ბაღაფშის გარდაცვალება. ბაღაფშის გარდაცვლების ფაქტმა სერიოზული მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ბაღაფშის გარდაცვალებასთან დაკავშირებით გარკვეული ინფორმაციები მაქვს როგორც სოხუმიდან, ისე მოსკოვიდან, — განაცხადა მამუკა გვაძაბიამ.

**მამუკა გვაძაბია** აღნიშნავს, რომ ბაღაფში ავადმყოფი იყო, მაგრამ ძალიან სერიოზული ხმები გავრცელდა, რომ ის თავისი სიკვდილით არ გარდაცვლილა. გარკვეული ინფორმაციები ადასტურებს, რომ ბაღაფშის ლიკვიდაცია, ფაქტობრივად, კრემლმა მოახდინა.

***— ბატონო მამუკა, საიდან გაქვთ ინფორმაცია, რომ ბაღაფშის ლიკვდაცია კრემლმა მოახდინა?***

— მე მაქვს ინფორმაცია ბაღაფშის მეუღლის ნათესავებისა და სოხუმიდან ჩამოსული ადამიანებისაგან. ერთი ინფორმაციის წყარო არის სოხუმიდან, მეორე — მოსკოვიდან. სოხუმიდან ინფორმაცია ბაღაფშის გარემოცვიდანაც არის. ბაღაფშის გუნდში არაერთგვაროვანი განწყობაა. ამბობენ, რომ ბაღაფში ავადმყოფობდა, მაგრამ სასიკვდილო არაფერი სჭირდა. რაც შეეხება ბაღაფშის მეუღლის, მისი ახლო ნათესავებისაგან მიღებულ ინფორმაციას, თამამად შემიძლია გითხრათ, რომ ის საავადმყოფო, სადაც ბაღაფში იმყოფებოდა, განსაკუთრებული დაცვის ქვეშ იყო. იმ საავადმყოფოს, სადაც ბაღაფში იწვა, ზუსტად ვერ ვასახელებ, მაგრამ, არ არის გამორიცხული, შემდგომში დავასახელო.

***— რატომ ვერ ასახელებთ, სახელწოდება არ იცით თუ?..***

— ამ მომენტში ზუსტი ინფორმაცია არ მაქვს, რომელი საავადმყოფო იყო. ჯერჯერობით არ მეუბნებიან. ალბათ, მომავალში მეტყვიან. თუმცა, საავადმყოფო, სადაც ბაღაფშს ჯერ ქირურგიული ოპერაცია ჩაუტარდა, ხოლო შემდეგ რეაბილიტაციის კურსს გადიოდა, იყო აბსოლუტურად რუსეთის სპეცსამსახურების მიერ კონტროლზე აყვანილი. როდესაც ბაღაფშს დიაგნოზი დაუსვეს, სამედიცინო პერსონალი თითქმის 100%-იან გარანტიას იძლეოდა, რომ ქირურგიულ ჩარევას ლეტალური შედეგი არ უნდა მოჰყოლოდა. ბაღაფშის მეუღლის ახლო ნათესავებისაგან არის ცნობილი, რომ, მიუხედავად იმისა, ძალიან სერიოზულ კონტროლზე იყო აყვანილი ის საავადმყოფო, სადაც ბაღაფში გადიოდა მკურნალობას, მაინც, ეტყობა, ინფორმაციამ გამოჟონა და თვითონ სამედიცინო პერსონალიც, ფაქტობრივად, გაოგნებულია, იმიტომ რომ ქირურგიულ ჩარევას ლეტალური შედეგი არ უნდა მოჰყოლოდა. ფაქტობრივად, ის სიმსივნური წარმონაქმნი, რომელიც ბაღაფშს ფილტვებზე ჰქონდა, წარმატებით მოაშორეს. ქირურგიული ჩარევის შემდგომი რეაბილიტაციის პერიოდი ძალიან წარმატებით მიმდინარეობდა. ბაღაფშის გარდაცვალება აბსოლუტური მოულოდნელობა იყო.

***— ვისთვის? ბაღაფშის გარდაცვალება აბსოლუტური მოულოდნელობა იყო ბაღაფშის გარემოცვისთვის?***

— ბაღაფშის გარდაცვალება აბსოლუტური მოულოდნელობა იყო როგორც მისი გარემოცვის, ასევე მოსკოველი ექიმებისთვის. როდესაც სამედიცინო პერსონალი მით უმეტეს ასეთ ცნობილ პიროვნებას ქირურგიულ ოპერაციას უტარებს, გარკვეული პასუხისმგებლობა ეკისრება და ცდილობს, თავისი გამოცდილება ამ საკითხს მაქსიმალურად მოახმაროს.

***— თქვენ ამბობთ, რომ ბაღაფში მოკლეს?***

— დარწმუნებული ვარ. ეს ინფორმაცია ჩემ მიერ გამოთქმული ვარაუდი არ არის. შემდგომში ამ ინფორმაციამ უფრო მაღალი დონიდან შეიძლება გაიჟღეროს. ამ გარემოებებთან ახლოს მდგომი პიროვნებებისაგან შეიძლება ეს ინფორმაცია დადასტურდეს, რომ კრემლმა ბაღაფშის ლიკვიდაცია მოახდინა.

***— რაში სჭირდებოდა კრემლს ბაღაფშის ლიკვიდაცია, მისგან რისი მიღებაც უნდოდა, ხომ ყველაფერი მიიღო? რა გააკეთა ბაღაფშმა კრემლის საწინააღმდეგო? გარდაცვალებამდე ბაღაფშის თურქეთში განხორციელებულ ვიზიტს ხომ არ უკავშირდებოდა?***

— იმ ვითარებაში, როდესაც ბაღაფში ცდილობდა, რომის პაპზე მეტი კათოლიკე ყოფილიყო და ზოგიერთი მისი კონკურენტისთვისაც კი გაესწრო პრორუსული განწყობილებებით, ძნელია იმ დასკვნის გამოტანა, რომ კრემლმა ბაღაფშის ლიკვიდაცია მოახდინა, მაგრამ, თუ გავიხსენებთ ბაღაფშის ბოლოდროინდელ განცხადებებს, სიღრმეებში თუ გავიხედავთ და გავითვალისწინებთ იმ განწყობილებებს, რაც სოხუმშია, კრემლის ასეთი მოქმედება გასაკვირი არ არის. ბაღაფშმა თურქეთში მუჰაჯირ აფხაზებს უთხრა, თუ თქვენ არ დაბრუნდებით აფხაზეთში, ჩათვალეთ, რომ რამდენიმე წელიწადში ჩვენ სამშობლო აღარ გვექნებაო. როგორც ჩანს, ამ განცხადებამ ძალიან სერიოზულად დააფიქრა კრემლი. ბაღაფში თურქეთში მცხოვრებ მოჰაჯირებს ეპატიჟებოდა, აფხაზეთში რომ დაბრუნებულიყვნენ. არ მინდა, ბაღაფშის ნამოღვაწარი პატრიოტული მოტივებით შევფუთო, მით უმეტეს იმ ფონზე, რა რევერანსებსაც აკეთებდა მოსკოვში და მოსკოვისთვის, მაგრამ, გარკვეულწილად, ბაღაფშის ამ განცხადებაში აისახა ის განწყობილება, რომელიც განსაკუთრებით არის აფხაზ უხუცესებში.

***— მაინც, კონკრეტულად, რა განწყობაა აფხაზ უხუცესებში და რით ჩანს ეს განწყობა?***

— უხუცესთა კრება რამდენჯერმე ჩაიშალა, იმ კრების ჩატარებას განსაკუთრებით ხელს უშლიდნენ რუსეთის სპეცსამსახურები.

***— რუსეთს აფხაზ უხუცესებშიც ჰყავს აგენტურა?***

— უხეცესებში პირდაპირ აგენტურა შეიძლება არ არის, მაგრამ კრებას ორგანიზება, ტექნიკური საკითხების მოგვარება და ხელშეწყობა უნდა. იმ სიტუაციაში, რომელიც დღეს აფხაზეთში ტრიალებს, მოსკოვს კრების ჩაშლა არ გაუჭირდება. სომეხთა კონგრესის ჩატარებას ხელი არ შეშლია, ყველანაირი ხელშეწყობა ჰქონდა. იმ ღონისძიებას, რომელსაც მოსკოვი მართავს, ხელი არ ეშლება. აფხაზების განწყობა პირადულ კონტაქტებშიც მჟღავნდება. ოჩამჩირის რაიონიდან და სოხუმიდან თბილისში სამკურნალოდ ჩამოსულ პიროვნებებს შევხვდი. თუ პირად ურთიერთობებში ურაპატრიოტი აფხაზები ქართველებთან არ მალავენ, რომ მათ დიდი რაღაც დაემართათ, საზოგადოდ ეს ფერისცვალება ჯერ არ ეტყობათ. ამაში თავის თავსაც არ უტყდებიან. ვგულისხმობ ე.წ. პოლიტიკურ ისტებლიშმენტს. უბრალო და რიგითი ადამიანებიც ღიად ამის გაცხადებას ერიდებიან, მაგრამ კერძო საუბარში გვიმჟღავნებენ. როგორც აღვნიშნე, ვესაუბრე სოხუმიდან ჩამოსულ რამდენიმე პიროვნებას, რომელიც თბილისში სამკურნალოდ იყო ჩამოსული, ძალიან სერიოზული მკურნალობის კურსი გაიარეს და შემდეგ დაბრუნდნენ აფხაზეთში. მათ მიაჩნიათ, რომ ქართველებთან გამიჯვნითა და დაპირისპირებით ცუდი რაღაც სჭირთ. ეს არ არის ერთი და ორი ადამიანის განწყობილება. ძალიან დიდი რაოდენობით აფხაზი ასე ფიქრობს. თუმცა, იმის დრო არ მოსულა, რომ ეს ღიად თქვან. თავის დროზე, როცა ბაღაფშმა ხაჯინბას არჩევნები მოუგო, ვთქვი, მგონი, გვირაბის ბოლოში შუქი გამოჩნდა-მეთქი. მაშინაც არ ვფიქრობდი, რომ ბაღაფში ხაჯინბაზე უკეთესი იქნებოდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის თვალსაზრისით. უბრალოდ, მაშინაც ვთქვი და ახლაც ვიმეორებ, რომ აშკარად კრემლის მიერ მხარდაჭერილმა კანდიდატმა ვერ გაიმარჯვა და ეს ქართულ სახელმწიფოს უნდა გამოეყენებინა. ჩვენ ეს ვერ გამოვიყენეთ სხვადასხვა ფაქტორის გამო.

***— მოდით, გავშიფროთ ის განცხადება, რომელიც ბაღაფშმა თურქეთში გააკეთა: თუ თქვენ არ დაბრუნდებით აფხაზეთში, ჩვენ შეიძლება სამშობლო დავკარგოთო. მხოლოდ მათ „სამშობლოს“ ემუქრებოდა დაკარგვის საფრთხე თუ რეალურად თვითონაც იკარგებოდნენ?***

— ამ ფრაზას კაცი რომ ამბობს, თუნდაც არალეგიტიმური პრეზიდენტი რაღაც „სახელმწიფო წარმონაქმნის“, რაღაც დონის ლიდერი, ეტყობა, გულის სიღრმეში რაღაც პასუხისმგებლობას გრძნობს. როცა ეს თქვა მაშინ, როცა იცოდა, შეიძლებოდა, საფრთხე დამუქრებოდა, ეტყობა, რაღაც მაინც იგრძნო.

***— თქვენ ბევრჯერ ახსენეთ ბაღაფშის მეუღლე, მისი გარემოცვა, ცოლის ნათესავები. ამ განცხადებით მათ რამენაირი საფრთხე არ შეექმნებათ?***

— ეს არ არის ოფიციალური განცხადება. იმ ადამიანების სიცოცხლეს, რომლებიც ოდნავ მაინც პატრიოტიზმს გამოავლენენ (თუნდაც აფხაზურ პატრიოტიზმს), ყველას საფრთხე ემუქრება. ამაზე მეტყველებს აფხაზეთში დაწყებული წინასაარჩევნო კამპანია. ყველა პოლიტიკური პარტია და ყველა პოლიტიკოსი აფხაზეთში გერეუს აბსოლუტური მეთვალყურეობის ქვეშაა. მიმდინარეობს აფხაზეთის აბსოლუტური ანექსია, დაწყებული ენგურით, დამთავრებული ფსოუთი. გალის მაგალითზე შემიძლია გითხრათ — რუსი მოხელეები, რუსეთის სპეცსამსახურების წარმომადგენლები მიდიან და აცხადებენ, რომ იქ არსებული ქართული სკოლა უნდა გახდეს რუსული. კიდევ ერთი მომენტია — ენგურის საოკუპაციო ზოლზე ძირითადად ფსბ-ს ქვედანაყოფები დგანან. ვინც ფსბ-ს ჯარებში იმსახურებს, მათ რუსეთის ხელისუფლება უფასოდ ბინებს ურიგებს.

***— ადგილობრივების?***

— ადგილობრივების. თუ ადგილობრივი ვერ იპოვეს, ახალს უშენებენ და მოუწოდებენ, ჩამოდით აფხაზეთში, იმსახურეთ ფსბ-ს ჯარში და გარანტიები გექნებათო. ჩამომსვლელების რიგია, მათ შორის, შორეული აღმოსავლეთიდან.

***— ხომ არ სჯობს, ისევ ადგილობრივები შევიდნენ, მაგრამ მტკიცენი იყვნენ თავიანთ რწმენაში? ხომ შეიძლება, გალელი ქართველი რომ შევიდეს მათ ჯარში, მაგრამ მტკიცე იყოს თავის ქართველობაში და საჭირო დროს ქვეყანას გამოადგეს?***

— ასეთი საშუალებები ქართულ სახელმწიფოს არ აქვს. მე პირადად ამის საშუალება არ მაქვს, რომ აგიტაცია-პროპაგანდა გავწიო. ისეთი მძლავრი ზემოქმედების საშუალება არ არის. მეორეც — საშუალება რომც იყოს, ისინი ამას არ გააკეთებენ. იმ სასაზღვრო ზოლზე ქართველებს არ შეუშვებენ.

***— აბა, ბინებს ურიგებენ, ვინც მათ ჯარში იმსახურებსო?***

— ბინებს ურიგებენ ჩამოსულებს. ადგილობრივმა სურვილიც რომ გამოთქვას, პირველ რიგში რუსეთის მოქალაქე უნდა იყოს.

***— შორეული მიზნებისთვის შეიძლება ბრძოლა.***

— მძლავრი რესურსები არ გვაქვს იმისთვის, რომ ეს განვახორციელოთ.

***— რესურსები როგორ არ გვაქვს? რუსთაველზე ხალხის ხოცვასა და რესურსების ხარჯვას, არ სჯობს, გარკვეული მიზნებისთვის წარმართოს აქ დახარჯული თანხები? რუსთაველზე ხალხის ცემისა და მოკვლისთვის ფული გადაუხადეს სპეცრაზმელებსა და „ზონდერებს“.***

— ხელისუფლება იქნება თუ არახელისუფლება, ყოველთვის სჯობს, თავისი რესურსები საქართველოს სახელმწიფოს საკეთილდღეოდ მიმართოს.

***— თუკი ბაღაფში ოდნავადაც ნანობდა იმის გამო, რაც მათი სეპარატისტული განზრახვების გამო მოუვიდა აფხაზეთსა და აფხაზებს, უნდა ვიფიქროთ, რომ ის გამოსავალს ქართველებთან კავშირში არ ეძებდა.***

— ამას გამოვრიცხავ, განსაკუთრებით აგვისტოს მოვლენების შემდეგ. აგვისტოს მოვლენებამდე კი იყო სურვილი.

# ნიკოლოზ რურუა აზერბაიჯანშია

ეკა ირემაშვილი

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი ნიკოლოზ რურუა 20-21 ივნისს აზერბაიჯანში ჩავა. ამ ინფორმაციას აზერბაიჯანის კულტურისა და ტურიზმის სამინისტროს პრესსამსახური ავრცელებს. მათი განცხადებით, აზერბაიჯანში საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის პირველი პირველი ოფიციალური ვიზიტია.

მეზობელ ქვეყანაში დაგეგმილი ვიზიტის ფარგლებში შედგება შეხვედრები ქვეყნის ხელისუფლებასთან და კულტურისა და ტურიზმის მინისტრ აბულფას გარაევთან. ნიკოლოზ რურუას აზერბაიჯანში ვიზიტისას განხილული იქნება ორმხრივი ურთიერთობების საკითხები, კულტურული კონტაქტების გაზრდის შესაძლებლობები, ძეგლთა დაცვის სფეროში თანამშრომლობა, გამოფენების ორგანიზება და ორი მეზობელი ქვეყნისთვის სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი ნიკოლოზ რურუა აზერბაიჯანში გამგზავრებამდე ოფიციალური ვიზიტით იტალიაშიც იმყოფებოდა, რომლის ფარგლებშიც რამდენიმე მნიშვნელოვანი ინიციატივა იქნა განხილული. შეხვედრა შედგა ვატიკანის კონგრეგაცია „პროპაგანდა ფიდეს" არქივის პასუხისმგებელ პირთან პადრე კუნია რამოსთან. შეხვედრაზე მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, ქართველი მეცნიერებისთვის პირველად გაიღება არქივის კარი. ქართველ მეცნიერთა ჯგუფი ორწლიანი პროგრამით მივლინებული იქნება არქივში, რათა გაკეთდეს საქართველოს შესახებ არსებული მასალების კატალოგიზაცია. კონგრეგაცია „პროპაგანდა ფიდე" 1622 წელს დაარსდა, რომლის არეალშიც შედიოდა საქართველო, შესაბამისად, არქივში უამრავი მასალაა დაცული საქართველოს შესახებ. მისიონერები ყვებიან ქართულ კულტურაზე, გეოგრაფიაზე, პოლიტიკაზე, ინახება ქართველი მეფეებისა და რომის პაპის მიმოწერა, არსებობს 1600 წლით დათარიღებული ხის დაფა ქართული ალფავიტით და კიდევ უამრავი მასალა დათარიღებული 1633 წლიდან 1900-იან წლებამდე. 1931 წელს დაარსდა მისიონერთა ახალი ამბების სააგენტო, რომელსაც ჰქონდა ფოტოგრაფიის სამსახური, შესაბამისად, არქივში დაცულია 10.000-მდე ნეგატივი, რომელთა შორის შესაძლოა იყოს მასალა საქართველოს შესახებ. იტალიაში დაგეგმილი ვიზიტის ფარგლებში კულტურის მინისტრი შეხვდა წმინდა პეტრეს ტაძრის არქიეპისკოპოსს ანჯელო კომასტრის. ქართველების ინიციატივას წმინდა ნინოს ძეგლის წმინდა პეტრეს ტაძრის ეზოში დადგმასთან დაკავშირებით დადებითად შეხვდა იტალიური მხარე. წმინდა ნინოს ძეგლი, სავარაუდოდ, ტაძრის ეზოში ერთ-ერთ კვარცხლბეკზე, სახით ტაძრის მარცხენა ფასადისკენ დაიდგმება და 160-170 მეტრის სიმაღლის იქნება. შეხვედრა შედგა ვატიკანის მუზეუმის დირექტორთან ანტონიო პაოლუჩისთანაც. მოლაპარაკების შედეგად გადაწყდა, რომ ვატიკანის მუზეუმში, რაფაელის საგამოფენო დარბაზში, 2012 წლის გაზაფხულზე ქართული ქრისტიანული ხელოვნების ნიმუშების გამოფენა მოეწყობა, რომელიც IV საუკუნიდან დღემდე პერიოდს მოიცავს. ამ გამოფენას 2011 წლის ოქტომბერ-ნოემბერში წინ უძღვის ტრაიანეს მუზეუმში ქართული პრექრისტიანული ხელოვნების ნიმუშების გამოფენა.



კულტურის მინისტრის იტალიაში ვიზიტის გარდა, ქართული კომპანია „რუმსი" მილანის დიზაინის კვირეულზე მოხვდა, სადაც ახალი კოლექცია წარმოადგინა. მხოლოდ ახალგაზრდა დიზაინერებისთვის განკუთვნილ საგამოფენო სივრცეში ათობით ქვეყნის დიზაინერს შორის ქართული კომპანია უკვე მეორედ წარმოჩნდა. გასულ წელს „რუმსმა" დადო მნიშვნელოვანი ბიზნეს-გარიგება, რის შედეგადაც ცნობილმა ჰოლანდიელმა დიზაინერმა მარსელ ვანდერსმა რუმსთან თანამშრომლობა დაიწყო. მილანში წარმოდგენილი ახალი კოლექციის პარალელურად, „რუმსის" შემოქმედება საგამოფენო სივრცეშიც გამოიფინა. ქართული სტენდი და უახლესი კოლექცია მილანში საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა ნიკოლოზ რურუამ იტალიაში საქართველოს კონსულთან ვატო ანდღულაძესთან ერთად მოინახულა. მომავალ თანამშრომლობასა და „რუმსის" ქართული პროდუქციის წარმოებასთან დაკავშირებით შედგა მოლაპარაკება ქართველ დიზაინერებს, კულტურის მინისტრსა და მარსელ ვანდერს შორის.ნიკოლოზ რურუა შეხვდა იტალიელ გალერისტ როსანა ორლანდის. ორლანდიმ საკუთარი საექსპოზიციო სივრცისთვის ქართველ დიზაინერებს „რუმსის" შპალერის დიზაინის ხალიჩაზე გადატანა და მომავალ წელს მილანში გამოფენაზე წარმოდგენა სთხოვა.

# მიხეილ თუმანიშვილის იუბილეს სამეცნიერო კონფერენცია მიეძღვნება

ეკა ირემაშვილი

გამოჩენილი ქართველი რეჟისორის მიხეილ თუმანიშვილის დაბადებიდან 90 წლის იუბილეს აღსანიშნავად რუსთაველის თეატრის ხელმძღვანელობის თაოსნობით 20 ივნისს რუსთაველის თეატრის ექსპერიმენტულ დარბაზში სამეცნიერო კონფერენცია ჩატარდება — „მიხეილ თუმანიშვილი — თეატრის თეორეტიკოსი".

2011 წელი მიხეილ თუმანიშვილის წელია. მთელი წლის განმავლობაში მისი მოსწავლეებისა და კოლეგების მიერი არაერთი ღონისძიება უკვე ჩატარდა და კიდევ არაერთი მნიშვნელოვანი ღონისძიებაა დაგეგმილი. რეჟისორის მიერ დაარსებულ კინომსახიობთა თეატრში უკვე ჩატარდა გამოფენები, წიგნის პრეზენტაციები. კინომსახიობთა თეატრთან ერთად მიხეილ თუმანიშვილის 90 წლის იუბილეს გამოეხმაურა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნების სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი. ამ იუბილესთან და ხსოვნის დღესთან დაკავშირებით საგანგებო ღონისძიება მოეწყო ილიაუნში. საჯარო ლექციაზე მიხეილ თუმანიშვილის შესახებ, რომელსაც ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნების სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის მკვლევარი და დოქტორანტი ლაშა ჩხარტიშვილი უძღვებოდა. მან მოკლედ მიმოიხილა ცნობილი რეჟისორის შემოქმედება. ღონისძიებაზე ნაჩვენები იყო გოგი ლევაშოვ-თუმანიშვილის ფილმი „გამჭოლი მოქმედება". ღონისძიების ბოლოს დამსწრეებს საშუალება მიეცათ, კითხვები დაესვათ მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრის მსახიობებისთვის — ზურაბ გეწაძის, ზურაბ ყიფშიძის, ნინელი ჭანკვეტაძის, დარეჯან ჯოჯუას, დარეჯან ხაჩიძის, ლალი კეკელიძის, რუსუდან ბოლქვაძის, გია აბესალაშვილისა და გიორგი ნაკაშიძისთვის. მიხეილ თუმანიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე დასწრება თავისუფალი იყო.

რუსთაველის თეატრში დაგეგმილი ღონისძიების ორგანიზატორები კი თვლიან, რომ რეჟისორის თეორიული განსჯანი, ისევე, როგორც სასცენო ნიმუშები, შესაძლებელია განვიხილოთ მსოფლიოს რეჟისორ-ლიდერთა ხელოვნებისა და თეორიულ განსჯათა კონტექსტით. მისი მემკვიდრეობა საგანგებო შესწავლას ითხოვს. ეს სამეცნიერო კონფერენცია პირველი მცდელობაა თუმანიშვილის მემკვიდრეობის, თეორიული მოსაზრებების სპეციფიკური შესწავლისათვის. კონფერენციაში მონაწილეობას მიიღებენ რეჟისორები — რობერტ სტურუა, გიორგი ქავთარაძე, თეატრმცოდნეები — ნათელა არველაძე, ლელა წიფურია, ხელოვნებათმცოდნე ელენე თუმანიშვილი, ენათმეცნიერი გიორგი გოგოლაშვილი, ჟურნალისტი იოსებ ჭუმბურიძე, ისტორიკოსი გიორგი კალანდია.

ინტერდისციპლინარული კვლევა მიხეილ თუმანიშვილის მემკვიდრეობის უფრო თანმიმდევრულ და სპეციფიკურ კვლევას მისცემს დასაბამს.


# იყიდება

შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმის" საკუთრებაში არსებული არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ფართით 312.0 კვ.მ და მასზედ არსებული შენობა-ნაგებობები სასარგებლო ფართით 36,7 კვ.მ მისამართზე: ქალაქი ბათუმი, ოსტროვის ქუჩა №103.

ფასი შეთანხმებით.

მსურველები დაგვიკავშირდით მისამართზე:

თბილისი, 0194, ბურძგლას ქუჩა №56, შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი", ტელ.: (995 32) 243 97 57, ფაქსი: (995 32) 243 97 67, მობილური: (995 77) 222 545, ვებ-გვერდი: www.SPG.ge; ელ-ფოსტა: info SPG.ge.

საკონტაქტო პირი: არჩილ ფირცხალავა — იურიდიული სამსახურის ხელმძღვანელი, მთავარი იურისტი.



# ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

პროექტის ფარგლებში შესაძლებელი გახდა ტაძრის შიგნით და ეზოში ჩაგვეტარებინა არქეოლოგიური გათხრები. ახალმა აღმოჩენებმა შეცვალა ტაძრის ისტორია. ის, რაც ისტორიულად ცნობილი იყო, დღეს ფაქტითაც დასტურდება — აღმოჩენილ იქნა პირველი ტაძრის საძირკველი და წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახო საძვალე. არქიტექტორების, ხელოვნებათმცოდნეებისა და ისტორიკოსების ჯგუფი მუშაობს ამ საკითხების შესწავლაზე. პარალელურად ბატონ ბუბა კუდავას (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი) ხელმძღვანელობით გამოსაცემად მზადდება წიგნი „ხობის მონასტერი".

ტაძარში დამონტაჟდა ახალი კანკელი, იწერება ახალი ხატები, გამოიცვალა სარკმლები, დასრულდა იატაკის ფილების დაგება; მიმდინარეობს საპატრიარქო რეზიდენციის მშენებლობა. ტაძარსა და რეზიდენციაში დამონტაჟდა გათბობის სისტემა.

მზადდება პროექტი წმიდა ცოტნე აღმსარებლისა და მისი ოჯახის წევრების საძვალის მოსაწყობად.

დასამზადებელია საეკლესიო ავეჯი; შესაცვლელია განათების სისტემა, ტაძრის ძირითადი კარები.

იმისათვის, რომ შევძლოთ დაწყებული სამუშაოების დასრულება, გვჭირდება თანადგომა.

გახდით მონასტრის მეგობარი.

გვჯერა, თქვენი თანადგომით შევძლებთ გავუფრთხილდეთ წინაპართა დანატოვარს და თავად გავხდეთ ღირსეული წინაპარი.

იცხოვრეთ მომავალისთვის.

უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.




საბანკო რეკვიზიტები:

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის" ხობის ფილიალი
ბ/კ: 220 101 465
ანგ. N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ან დარეკოთ: მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი — 700 607; ახალი ქსელები — 700 608; სილქნეტი — 608 608 (ზარის ღირებულებაა 1 ლარი).

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი
იღუმენია ანა (მუსელიანი)



# განცხადებები

● ნერვული სისტემის მოწესრიგება, უძილობა, შიშები, აკვიატებები, დეპრესია, აგრესია, ყურებში შუილები, კლიმაქსური ფონი, ციკლის მოწესრიგება, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, უკუჩვენების გარეშე. ტელ: 558-21-77-93; 234-02-38 ფატი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ნევროზი, აგრესია, შიშები, ღვიძლისა და თირკმლის ფუნქციის აღდგენა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით უკუჩვენების გარეშე, იმუნიტეტის გაძლიერება 100% შედეგებით (ანონიმურობა დაცულია). ტელ: 558-96-89-15 ან 234-02-38 ექიმი მეგი.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● იყიდება გერმანული კაბინეტის როიალი „გერშტადტ". ფასი შეთანხმებით. ტელ: 599-97-37-72 ნარგიზა.

● იყიდება 2-სართულიანი კერძო სახლი მეტრო „ვარკეთილთან" (50 მეტრში). ტელ.: 273-35-63; 593 93 40 36 ლიკა.

● სიმაღლეში სწრაფი და ეფექტური ზრდა თვეში 3-5 სმ-ის მომატებით, 25 წლამდე, კურსის გამეორება შეიძლება სასურველ შედეგამდე, გახდომა თვეში 7-დან 20 კგ-მდე, უვნებლად, მიღებული შედეგის შენარჩუნებით, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, იმუნიტეტის გაძლიერებით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 234-02-38; 595-293-299; 590-293-299. ექიმი ქ-ნი ინგა.

● შევაკეთებთ ნებისმიერი სირთულის სარეცხ მანქანებს გარანტიით, ინდმეწარმე გოდერძი ადამია. ტელ: 599-63-62-32; 590-63-62-32.

● ქირავდება სასაწყობე და საწარმოო ფართი ქვემო ფონიჭალაში 2000 კვ.მ. შენობა, შენობის სიმაღლე 8 მ. ტერიტორიაზე შედის რკინიგზის ჩიხი. ტელ: 599-51-28-44 ან 599-73-75-73.

● წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 274-81-41, 571-33-01-61.

## SMS-განცხადებები - 3090

### იყიდება

● იყიდება "მიცუბიში მონტერო", ძრავა 3,5, 1996 წლის. ფასი 5.000 დოლარი. ტელ: 577 41 37 80. მერაბი.

● იყიდება შავი ფერის პიანინო „ჩაიკოვსკი", კარგ მდგომარეობაში. ფასი 300 დოლარი. ტელ: 599 56 72 63.

● იყიდება 2-ოთახიანი ბინა დიღმის მასივში, ლიუბლიანას ქუჩაზე, ბარდება 2001 წლის ბოლოს, რეესტრში გატარებულია, 3(6). ტელ: 599 27 27 39.

### შევიძენ

● შევიძენ 150 კვადრატული მეტრიდან ზევით მიწის ნაკვეთს პატარა სახლის ასაშენებლად, გზასთან და ტრანსპორტთან ახლოს, 2.000 დოლარის ფარგლებში. ტელ: 598 93 07 44.

# უკრაინის დედაქალაქში დეპუტატის პორშე დაიწვა



კიევში შემაძრწუნებელი ავტოავარია მოხდა. დიდი სიჩქარით ავტომობილი პორშე 911 ბეტონის ბარიერს დაეჯახა, გაანგრია იგი, ორმოში გადავარდა და ცეცხლი ოედო.

ავარია 16 ივნისს მოხდა, კიევში სტალიჩნის გზატკეცილზე. ავარიის შედეგად სამი ადამიანი დაიღუპა, მაგრამ მხოლოდ 17 ივნისს გახდა ცნობილი, რომ მანქანას რაიონული საბჭოს დეპუტატი ოლეგ აზარჩენკო მართავდა. როგორც ამბობენ, იმ დღეს დეპუტატმა დაბადების დღე აღნიშნა.

თვითმხილველების თქმით, აზარჩენკოს მანქანა კიევის მიმართულებით 250-300 კმ სიჩქარით მოძრაობდა, გზის განშტოებაზე ბეტონის ბარიერს დაეჯახა, გაანგრია 50 სმ სისქის ბეტონის ბლოკი, რამდენიმე მეტრის მოშორებით ქვაბულში ჩავარდა და ცეცხლი მოედო.

მძღოლის მეგობარი ევგენი მოროზოვი დარტყმის ძალამ მანქანის ტილოს სახურავიდან გარეთ ამოაგდო. იგი სასწრაფო დახმარების მანქანაში გარდაიცვალა. თავად დეპუტატი და გოგონა, სახელად ევგენია მანქანაში დაიწვნენ.

ქვაბულში, სამშენებლო მოედანზე მყოფი მუშები იღბალზე უვნებლად გადარჩნენ.

სამთავრობო ვერსიის თანახმად, მძღოლმა საჭე ვერ დაიმორჩილა, თუმცა, არსებობს ვერსია რომ დეპუტატი ნასვამი იყო.

მანამდე, 16 აპრილს კიევში ავტოავარიაში მოხვდა უკრაინის პარლამენტის დეპუტატი ნიკოლაი ლისინი. თავისი „ლამბორჯინი გალარდოთი" მან ბორდიორს გადაუქროლა და გაზონზე ავარდა, სადაც სარეკლამო კონსტრუქციას შეეჯახა. 47 წლის დეპუტატი ადგილზე გარდაიცვალა, მის გვერდით მყოფი გოგონა მანქანიდან გადმოვარდა, მაგრამ ცოცხალი გადარჩა. როგორც იუწყებოდნენ. ლისინი მანქანას მთვრალი მართავდა.

# ბელგრადში მთვრალ ემი უაინჰაუზს უსტვინეს

სერბიის დედაქალაქ ბელგრადში შაბათს საღამოს გამართული კონცერტი ბრიტანელი მომღერლის, ემი უაინჰაუზის მონაწილეობით სკანდალით დასრულდა.

20 ათასამდე მაყურებელი მომღერალს აპლოდისმენტებით შეხვდა, მაგრამ მალე ცხადი გახდა, რომ უაინჰაუსი არაადეკვატურად იქცეოდა. იგი ჯერ ათენის მაყურებელს მიესალმა, შემდეგ კი ნიუ იორკის მაყურებელს.

გაზეთ „ბლიცის" თანახმად, მომღერალი სცენაზე ბორძიკით მოძრაობდა, სიმღერა რომ დაიწყო, სიტყვები ეშლებოდა და ავიწყდებოდა. კონცერტის დაწყებიდან 15 წუთის შემდეგ თვითერის მიკრობლოგებში უკვე გამოჩნდა რეკომენდაციები მისი მისამართით, სადაც მომღერალს გამოფხიზლებას ურჩევდნენ.

ცნობილია, რომ მიმდინარე წლის მაისის ბოლოს უაინჰაუზი ლონდონში, ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების კლინიკაში იმყოფებოდა.

რადიოტელეკომპანია ბ-92-ის რეპორტაჟის თანახმად, მაყურებელმა აშკარად სტვენა აუტეხა ემი უაინჰაუზს, რომელმაც კონცერტის დაწყებიდან 1 საათი და 11 წუთის განმავლობაში სიმღერა ვერ დაიწყო.



რაღაც მომენტში მომღერალი სცენაზე წაიქცა, შემდეგ კულისებში გავიდა, მაგრამ 10 წუთის შემდეგ უკან დაბრუნდა.

კონცერტის მიწურულს მან თავისი ცნობილი ჰითების შესრულება სცადა, მაგრამ უშედეგოდ. „იუთიუბში" გამოჩნდა მოყვარულთა მიერ გადაღებული ვიდეოკადრები, სადაც ემი უაინჰაუზის მიერ სერბიის დედაქალაქში გამართული კონცერტია აღბეჭდილი.

მოგვიანებით იმავე კონცერტის ფარგლებში ბელგრადის შოუში ამერიკელმა დიჯეიმ და მომღერალმა მობიმ მიიღო მონაწილეობა, რომელსაც მაყურებელი ოვაციებით შეხვდა.

# მერილინ მონროს აფრიალებული კაბა 4.6 მილიონად გაიყიდა

ჰოლივუდის ცნობილი ვარსკვლავის, მერილინ მონროს ცნობილი კაბა, რომელიც მას ბილი უაიდერის კომედიაში „სურვილის შვიდი წელი" ეცვა, ლოს ანჯელესში, „პროფაილ ინ ჰისტორიეს" აუქციონზე 4.6 მილიონ დოლარად გაიყიდა.



აუქციონის დაწყებამდე ეს კაბა სავარაუდოდ 1-2 მილიონად იყო შეფასებული.

ეპიზოდმა, სადაც ნიუ იორკის სავენტილაციო სისტემიდან ამომავალი ქარი მომღერალს თეთრ კაბას უფრიალებს, მერილინ მონრო თავისი ეპოქის სექს-სიმბოლოდ აქცია.

ამ სცენამ მანჰეტენზე, 52 კუთხისა და ლექსინგტონ ავენიუს კუთხეში ილებდნენ და გადაღებებმა ზღვა სეირის მოყვარული მოაგროვა. ბრბოს ხმაურის გამო სცენა დაიწუნეს და უაილდერი იძულებული გახდა იგი სტუდია 20-ე საუკუნე ფოქსის პავილიონში გადაიღო.

ჩაფიქრებული შედეგის მისაღწევად მას 40 დუბლის გადაღება მოუხდა.

მერილინ მონროს აფრიალებული კაბა მსოფლიოს ათი ყველაზე ძვირი კაბის სიაში მოხვდა, თუმცა, სიის სხვა ფიგურანტებისაგან განსხვავებით, იგი ძვირფასი ქვებით შემკული არ არის.

კვირას, ბევერლი ჰილზში გამართულ აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი იყო 500-მდე კოსტუმი, რომლებსაც თავის დროზე გადაღებების დროს ჰოლივუდის ვარსკვლავები, მათ შორის, ჩარლი ჩაპლინი, გრეტა გარბო, ჯუდი გარლანდი, ოდრი ჰეპბერნი, ელიზაბეთ ტეილორი, გრეის კელი იყენებდნენ.

ჰოლივუდის ისტორიაში კინოკოსტუმების ასეთი დიდი აუქციონი მანამდე არასდროს გამართულა.

ფაქტობრივად გასაყიდად გაიტანისეს ტანსაცმლის მუზეუმი, რომლის გახსნასაც მისი მფლობელი, 79 წლის მსახიობი დები რეინოლდსი აპირებდა. ტანისამოსს იგი ნახევარი საუკუნის განმავლობაში აგროვებდა, მაგრამ ფინანსური მიზეზების გამო იძულებული გახდა მუზეუმის პროექტზე უარი ეთქვა, კოლექცია კი გასაყიდად გაეტანა.

პოტენციური მყიდველებისადმი მიმართვაში რეინოლდსმა იმედი გამოთქვა, რომ ჰოლივუდის ისტორიასთან დაკავშირებული კოსტუმები კინოხელოვნების ისეთივე თაყვანისმცემლების კოლექციებში დაიდებს ბინას, როგორადაც იგი საკუთარ თავს მიიჩნევდა.

# ჩინელებმა ავსტრიელებს ქალაქი მოპარეს

ავსტრიის ჩრდილოეთით პატარა ქალაქ ჰალშტადტის მოსახლეობა შოკში ჩააგდო ცნობამ, რომლის მიხედვითაც ჩინეთში, გუანდუნის პროვინციაში ახლო მომვალში მათი ქალაქის ტყუპისცალი შეიძლება გაჩნდეს.

ჰალშტადტი იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის სიაშია შესული.

დასახლებაში მხოლოდ 800 კაცი ცხოვრობს და მისმა მერმა ჩინელების გეგმების შესახებ ავსტრიული დელეგაციეს შემადგენლობაში ჩინეთში ვიზიტის დროს შეიტყო.

მისი თქმით, სამშენებლო კომპანიის წრმომადგენლებმა მას პარტნიორული ურთიერთობების დამყარების ცნობით მიმართეს. ცოტა ხნის წინ კი გაირკვა, რომ ჩინელები ამ მიმართულებით უფრო პარტნიორულ ურთიერთობაზე შინ წასულან.

ავსტრიული ქალაქის მერმა იუნესკოს და ავსტრიის ხელისუფლებს მიმართა. ორგანიზაცია „იკმოს აუსტრიას" წარმომადგენელმა ჰანს იორკ კაიზერმა ამასთან დაკავსირებით განაცხადა, რომ საკითხის იურიდიული ასპექტები ზუსტად ცნობილი არ არის, მაგრამ იუნესკოს სიაში შეტანილი ჰალშტადტის ასლის მშენებლობა უკანონო შეიძლება იყოს.

მისი თქმით, უკვე არსებული შენობების მიხედვით ახალი შენობების აგება შესაძლებელია, მაგრამ ობიექტების გაზომვის ნებართვა მათი მფლობელებისაგან უნდა მიიღონ.

აღსანიშნავია, რომ ჩინეთში ევროპული ქალაქების ასლებს პირველად არ აგებენ. ასე მაგალითად, შანჰაის მახლობლად მდებარე ქალაქი ანტინგი ტიპიური გერმანული ქალაქის ნახაზების მიხედვით არის აგებული. გარდა ამისა, შანჰაის მახლობლად ბარსელონას, ვენეციის და ნორვეგიის რამდენიმე ქალაქის მინიასლებიც შეიძლება ნახოთ. 2009 წელს ჩინეთში ჩელდუში აგებული ერთ-ერთი ქალაქი კი ინგლისის ქალაქ დორჩესტერის ასლია.

**მოამზადა გენადი თვაურმა**

# სამხრეთკორეელმა სამხედროებმა სამგზავრო ლაინერს ესროლეს

სამხრეთკორეელმა სამხედროებმა შეცდომით ცეცხლი გაუხსნეს სამგზავრო ლაინერს, რომელიც მათ ჩრდილოეთ კორეის საჰაერო ძალების თვითმფრინავად მიიჩნიეს.

სამხედროებმა ავიალაინერს, რომელიც კორეაში ჩინეთიდან ბრუნდებოდა, შაშხანებიდან 99-ჯერ ესროლეს.

საბედნიეროდ არავინ დაზარალებულა. ეს ინციდენტი ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეას შორის შეუნელებელი დაძაბულობის ფონზე მოხდა.

ინციდენტის დროს თვითმფრინავი, რომელშიც 119 მგზავრი იმყოფებოდა, სეულის აეროპორტს უახლოვდებოდა. მიმომხილველების თქმით, ყვითელ ზღვაში, ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეის სადავო საზღვრის მახლობლად ვითარება გასულ წელს სამხრეთზე ჩრდილოეთის ორი თავდასხმის შემდეგ დაიძაბა.




მიმდინარე წლის დასაწყისში არ გამართლდა მათი იმედები, ვისაც ორი ქვეყნის სამხედროების მოლაპარაკებების საშუალებით დაძაბულობის შენელების მოლოდინი ჰქონდა.



1. ოთარ თაქთაქიშვილის ოპერა; 2. საცხოვრებელი ადგილი სახლის სხვენზე; 3. ჰერას ქურუმი ქალი; 4. „... ვხედავ მზეს"; 5. სცენის გასანათებელი მოწყობილობა; 6. სიგრძის ძველფრანგული ერთეული; 7. ნერვი (ბერძნულად); 8. აღლუმი; 9. სასწორის თეფში; 10. მოჩუქურთმებული ქვა ან ნიჟარა; 11. ნიავი; 12. სასროლეთი; 13. ერთგვარი მარმელადი; 14. ქალაქის თავი; 15. გამოცდილი მფრინავი; 16. წირვა-ლოცვა მიცვალებულისათვის; 17. ერთგვარი კანფეტი; 18. გრამოფონის ფირფიტა; 19. შლამის თევზი; 20. ქალაქი საფრანგეთში; 21. პატარა ჭრელი ჩიტი; 22. ცეცხლის ანადენი; 23. მთათა სისტემა ევროპაში; 24. ძალის ერთეული; 25. ინგლისელი პოეტი; 26. მცირეალკოჰოლიანი სასმელი; 27. სოფელი ადიგენის რაიონში; 28. ძველებური პატრუქიანი თოფი; 29. რისამე წინასწარი მონახაზი; 30. ჩანასახი; 31. ევროპელ ებრაელთა ენა; 32. ლაღი.

*შეადგინა ოლივერ კოხიამ*

## წინა ნომეში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები

### კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ბეკერი; 2. პეჟო; 3. ბაღდავაძე; 4. კინტო; 5. ფარგალი; 8. ტვენტე; 9. კორექტივი; 12. კომუნა; 14. ხუდონი; 16. აშარი.

**თარაზულად:** 1. ბორისპოლი; 6. კაროლინა; 7. კორტეჟი; 9. კინდღი; 10. თორა; 11. ანანური; 13. ბახში; 15. ბორენა; 17. მეოტიდა; 18. რულადა; 19. ბოინგი; 20. ფილიპსი.

### კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ჰუნდაი; 2. ეგზემა; 3. ვარჯი; 5. გობი; 6. როლერი; 8. ბარონი; 11. მაჟესტიკი; 13. იღუმენი; 14. ბურვილი; 15. ლიგნიტი; 19. დოლი.

**თარაზულად:** 1. ჰაჯიბეკოვი; 4. ვენგერი; 7. ნევროზი; 9. ჯანაოზი; 10. იმამი; 12. სპონსორი; 16. ყინწვისი; 17. პუნსონი; 20. კამბალა; 21. ფიტი; 22. მიუზიკლი.

# რუსთავი მეტოქეებს ამარცხებს, ბაია და კოლხეთი — სპონსორებს

სლოვენიურ შეკრებას აგრძელებს რუსთავის „მეტალურგი“ , რომელმაც მორიგი საკონტროლო მატჩი გამართა ადგილობრივ „კოპერთან“ და 2:1 იმარჯვა.

შეხსენებისთვის, ქვემოქართლელებმა პირველ საკონტროლო შეხვედრაში ავსტრიის მატერსბურგს 1:0 სძლიეს, ხოლო რაც შეეხება „კოპერს“, ეს გუნდი სლოვენიის შარშანდელი ჩემპიონია და წლეულს, ევროპის ლიგის საგზური მოიპოვა.

პირველ ტაიმში გატანის შანსი ჰქონდათ ლაშა ჯაფარიძეს, ირაკლი ქობალიას, ირაკლი მაისურაძესა და ლუკა რაზმაძეს, მაგრამ ვერ გამოიყენეს, თუმცა, ერთი გოლი მაინც გავიდა. 34-ე წუთზე, ჯაფარიძის პასით, ირაკლი მოდებაძემ გაიტანა და პირველი ტაიმი რუსთაველებმა კლუბმა მინიმალური ანგარიშით მოიგეს — 1:0.

48-ე წუთზე, მოდებაძეს კიდევ მიეცა ასპროცენტიანი საგოლე შანსი, მაგრამ დროულად ვერ გაერკვა სიტუაციაში, ხოლო ერთ წუთში „კოპერმა“ ანგარიშის გათანაბრება მოახერხა — 1:1.

55-ე წუთზე, გეწაძემ საჯარიმოს გარედან საკმაოდ სახიფათოდ, მაგრამ მცირედით არაზუსტად დაარტყა.

70-ე წუთზე, ვაკო ტყემალაძის ჩინებულ ჩაწოდებულ ბურთს საჯარიმოში ირაკლი მოდებაძე დაუხვდა და დუბლი შეასრულა — 2:1.

მეტალურგმა ეს მატჩი ასეთი შემადგენლობით ითამაშა: ბათიაშვილი, ჯაფარიძე, კვახაძე, მახვილაძე (ლომაია 46), ორბელაძე, რაზმაძე, მოდებაძე, მაისურაძე, მიქაბერიძე (ტყემალაძე 46), გეწაძე (ქავთარაძე 65), ქობალია (პავლიაშვილი 76).რუსთაველთა შორის არ უთამაშია დენის დობროვოლსკის, რომელსაც წინა საღამოს ბრმა ნაწლავის სასწრაფო ოპერაცია გაუკეთდა — ოპერაციამ წარმატებულად ჩაიარა, ფეხბურთელი თავს კარგად გრძნობს და სავარაუდოდ, 21 ივნისს, გუნდთან ერთად გამოემგზავრება საქართველოში.

რაც შეეხებათ საქართველოში მყოფ გუნდებს, რომელთაც ყველაზე მეტად უჭირთ და ჯერ კიდევ სპონსორების ძიებაში არიან.




როგორც ცნობილი ხდება, ზუგდიდის ბაიას, შესაძლოა, იტალიურმა კომპანიამ დაასპონსოროს, რომლის სახელი არ კონკრეტდება, მაგრამ სამეგრელოში უნდა ჰქონდეს თხილის ბიზნესი.

— ჩვენთან მოვიდა ერთ-ერთი იტალიური კომპანიის ქართველი წარმომადგენელი, რომელმაც გვითხრა, რომ მის კომპანიას ბაიას“ დაფინანსება აქვს გადაწყვეტილი. შეხვედრამ საქმიან ატმოსფეროში ჩაიარა და დავრწმუნდით, რომ ამ ფირმას ჩვენს კლუბთან დაკავშირებით შორსმიმავალი გეგმები აქვს და დაპირება მალე საქმეში გადაიზრდება, — აცხადებს ზუგდიდელთა მწვრთნელი ელგუჯა ქომეთიან.

ჯერჯერობით, ისევ გაურკვეველია ფოთის „კოლხეთის“ ბედი, თუმცა, დღე-დღეზე ყველაფერი უნდა გაირკვეს — იქაურები ფოთის პორტის პასუხის მოლოდინში არიან. სწორედ ამის შემდეგ გახდება ცნობილი კლუბის ბიუჯეტიც და სამომავლო გეგმებიც. შეგახსენებთ, გასასტუმრებელია ფეხბურთელების, მწვრთნელებისა და პერსონალის რამდენიმე თვის სახელფასო დავალიანება.

გასული სეზონის ბოლოს „კოლხეთს“ ახალი პრეზიდენტი, თენგიზ სარიშვილი პატრონობდა, მაგრამ პრობლემებს მარტო ვერ უმკლავდება და მძლავრი სპონსორის პოვნით თავადაცაა დაინტერესებული.

და ბოლნისის „სიონი“: ამ გუნდს ისევ მადნეული დააფინასებს, მაგრამ ფეხბურთელთა დიდმა ნაწილმა უკვე დატოვა გუნდი. ამის მიუხედავად, კლუბის ხელმძღვანელობა სულაც არ ჯავრობს, რადგან თვლის, რომ გასულ სეზონში გუნდმა შედეგი ვერ აჩვენა და ელიტიდან გავარდნას გადაურჩა. ამის მიზეზი კი ფეხბურთელთა არაპროფესიონალიზმია და მათი გუნდიდან გაშვება ისედაც გადაწყვეტილი იყო.

მომავალ სეზონს ბოლნისელები განახლებული შემადგენლობით შეხვდებიან, მაგრამ რა ამბიციებით, ეს ცნობილი არ არის.

# ბელგია ძლიერდება

შარშან, ზაფხულში თბილისში ჩამოსულმა ბელგიის ნაკრების თავკაცმა ედი კასტელსმა გვითხრა, დიდიე მბენგა მოდისო, მაგრამ თბილისს მის გარეშე ესტუმრა. არადა, მბენგა ბელგიელთათვის დიდი ძალაა. ის ნბა-ს მოთამაშეა, 2009-10 წლების სეზონში “ლოს ანჯელეს ლეიკერსის“ ღირსებას იცავდა, ხოლო შარშან “ნიუ ორლეანში“ თამაშობდა. მართალია, 30 წლის ცენტრმა შარშან საქართველოს ნაკრების წინააღმდეგ არ ითამაშა, მაგრამ წლეულს ევროპის ჩემპიონატზე აუცილებლად დაგვიპირისპირდება. საქმე ისაა, რომ დიდიე მბენგა კონგოშია დაბადებული და 2004 წელს ბელგიაში ლტოლვილის სტატუსით ჩავიდა. მაშინ იგი კალათბურთს არ თამაშობდა და სწორედ ამიტომ, ამა წლის გაზაფხულზე ბელგიის კალათბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობამ ფიბას თხოვნით მიმართა — მბენგა ნატურალიზებულ კალათბურთელად არ ჩაგვითვალოთ და ნაკრებში თამაშის ნება დართეთო.

ფიბამ ეს საკითხი განიხილა და ბელგიელებისთვის სასიხარულო გადაწყვეტილება მიიღო. შესაბამისად, მბენგა „ლომებში“ როგორც ბელგიელი, ისე ითამაშებს. შედეგად, ნაკრების მწვრთნელ ედი კასტელსს ნატურალიზებული მარკუს ფეისონის გამოყენების საშუალებაც მიეცემა.

სხვათა შორის, შარშან მარკუსმა დიდი წვლილი შეიტანა ჯგუფში პირველი ადგილის დაკავებაში. მან გასული სეზონი ბელგიურ „ოოსტენდეში“ გაატარა, თუმცა მომავალ წელს გუნდში დარჩენას აღარ აპირებს.

# უსტიაშვილმა გუნდი გაცხრილა და შეკრებაზე გადავიდა

დღეს დიღომში მდებარე „დინამოს“ საწვრთნელ ბაზაზე საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ღია ვარჯიში გაიმართება. დავით უსტიაშილის გუნდი 14-24 ივლისს გასამართი ევროპის ჩემპიონატისთვის ემზადება. 1-3 ივლისს კი 20წლამდელთა ნაკრები ჰოლანდიის საერთაშორისო ტურნირში მიიღებს მონაწილეობას.




თბილისის „დინამოს“ დიღმის საწვრთნელ ბაზაზე მოვარჯიშე 20-წლამდელთა ნაკრების წევრობის 20 კანდიდატიდან, 2 ტრავმის გამო ავტომატურად გამოკალდა, ხოლო დანარჩენი 18 კალათბურთელიდან, მთავარმა მწვრთნელმა დავით უსტიაშვილმა 15 შეარჩია და შეკრებაზე გადაიყვანა. უსტიაშვილის რჩეულები არიან:

გამთამაშებლები: გიორგი ტეტელაშვილი (სტუ), იოსებ ლეჟავა (თსსუ), გივი ბაქრაძე (არმია), ტატო თავართქილაძე (თსსუ);

მსროლელები: მერაბ ბოქოლიშვილი (აველინო, იტალია). ბექა ჩიკვილაძე (სტუ), დუდა სანაძე (ბათუმი);

ფორვარდები: აკაკი ლომოური (სტუ), თორნიკე შენგელია (პეპინსტერი, ბელგია), დავით დეკანოიძე (შსს), ნოდარ თენიეშვილი (თსსუ), ავთო ლომინაშვილი (ქუთაისი-2010), გიორი რევაზაშვილი (მაკაბი);

ცენტრები: აკაკი დვალიშვილი (თსსუ), ბექა ბექაური (თსსუ).

შეკრებაზე სტუ-ს მძიმე ფორვარდი ზურაბ მაჩალაძე და სსაუ-ს ცენტრალური

თავმდამსხმელები, გოგა ჯავახიშვილი და კახა მუმლაძე ვერ მოხვდნენ.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრები 1-3 ივლისს ჰოლანდიის საერთაშორისო ტურნირში მიიღებს მონაწილეობას, სადაც საქართველოსა და ავსტრიის 20-წლამდელებთან ერთად, ჰოლანდიის 20 და 23-წლამდელთა ნაკრები გუნდები გამოვლენ.

ჰოლანდიიდან დაბრუნების შემდეგ, ქართველი 20-წლამდელები ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირისთვის მზადებას ისევ „დინამოს“ ბაზაზე გააგრძელებენ.

საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრები 12 საუკეთესო კალათბურთელის შემადგენლობით 13 ივლისს, ბოსნია-ჰერცეგოვინის დედაქალაქ სარაევოში გაემგზავრება, რომელიც 14 ივლისიდან ევროპის 20-წლამდელთა ჩემპიონატის ა ჯგუფის შესარჩევ მატჩებს უმასპინძლებს. ამ ჯგუფში საქართველო, პოლონეთი, მაკედონია, შვეიცარია და რუმინეთი არიან, ხოლო მომდევნო ეტაპის საგზურს I-II ადგილებზე გასული გუნდები მიიღებენ.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

# „აკადემიამ“ კიდევ ერთი ლიდერი იმსხვერპლა

საქართველოს 23-ე ჩემპიონატი ბოლო ტურის მატჩები გადაიდო. მიზეზი კი ეროვნულ და შვიკაცა ნაკრებში მივლინებული მორაგბეები არიან. ჩატარდა მხოლოდ ერთი მატჩი, რომელშიც „აკადემიამ“ „ვისოლის“ სტადიონზე „ლელოს“ უმასპინძლა. „აკადემიამ“ გასულ ტურში ქვეყნის ჩემპიონ „ლოკომოტივის“ დამარცხებას ჩემპიონატის პირველი წრის დასკვნით მატჩში თასის მფლობელი, ვიცე ჩემპიონი „ლელოს“ ძლევაც მიაყოლა და მესამე ადგილამდე აღზევდა.

აკადემიელთა წისქვილზე წყალი საქართველოს ეროვნული ნაკრების ირბ-ს ერთა თასზე მონაწილეობამაც დაასხა. „ლოკომოტივს“ რუმინეთში — ორი, „ლელოს“ კი სამი ლიდერი ჰყავს მივლენილი და მათ გარეშე მეტოქის ძლევა ვეღარ მოახერხა.

შეხვედრა თანაბარ ბრძოლაში დაიწყო და გუნდებმა ლელოები გაცვალეს, გარდასახვებიც გამოიყენეს, თუმცა, „ლელომ“ მონაგარს ჯარიმაც შემატა და პირველი ნახევარი 10:7 მოიგო. „აკადემიამ“ მეორე ნახევარში კიდევ უფრო მოინდომა და შეხვედრის დასრულებამდე ათიოდე წუთით ადრე 23:19 იგებდა. „ლელო“ მატჩის გადარჩენას შეეცადა, მაგრამ კიდევ ერთი ლელო საკუთარ ჩათვლის მოედანში მიიღო და ზუსტი რეალიზაციის შემდეგ 19:30 დამარცხდა.

ამრიგად, ჩემპიონობის მაძიებლად მიჩნეული ოთხი გუნდიდან, პირველ წრეში „აკადემიამ“ ორი დაამარცხა, „არმიას“ ფრედ ეთამაშა და თუ ეს განწყობა მეორე წრეშიც შეინარჩუნა, საჩემპიონო ფლეი ოფისთვის ბრძოლა უკიდურესად დაძაბული იქნება. VII ტურის ორი გადატანილი მატჩი ივნისის მიწურულს გაიმართება. 29-ში „არმაზი“ „ლოკომოტივთან“ შანსის გამოყენებას ეცდება, ხოლო მომდევნო დღეს, ფოთში, გათამაშების ერთპიროვნული ლიდერი ქუთაისის „აია“, ცენტრალურ ჯახში „რმიას“ დაუხვდება და მისი დამარცხებით დაუმარცხებელი სერიის გაგრძელებას ეცდება. პირველი წრის კიდევ ერთი მატჩი, სადაც ერთმანეთს აუტსაიდერები — რუსთავის „ხარები“ და თბილისის „ყოჩები“ უნდა ეთამაშონ, აგვისტოს ბოლოს გაიმართება.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.აია | 6 | 6 | 0 | 0 | 167:72 | 12 |
| 2.არმია | 6 | 4 | 1 | 1 | 138:117 | 9 |
| 3.აკადემია | 7 | 3 | 2 | 2 | 143:135 | 8 |
| 4.ლელო | 7 | 4 | 0 | 3 | 175:142 | 8 |
| 5.ლოკომოტ. | 6 | 3 | 0 | 3 | 128:110 | 6 |
| 6.არმაზი | 6 | 2 | 1 | 3 | 121:148 | 5 |
| 7.ხარები | 6 | 1 | 0 | 5 | 56:122 | 2 |
| 8.ყოჩები | 6 | 0 | 0 | 6 | 85:170 | 0 |

## შედეგები

### ფეხბურთი

**კონკაკაფი. ოქროს თასი**

**მეოთხედფინალები**

კოსტა რიკა-ჰონდურასი ........ 1:1(2:4პ)
მექსიკა-გვატემალა ........ 2:1

**ეჩ-2011. ფინალური ეტაპი**

დანია-ისლანდია ........ 1:3
შვეიცარია-ბელარუსი ........ 3:0

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

**პლეი-ოფი. განმეორებითი მატჩი**

ელჩე-გრანადა ........ 1:1

**რუსეთი. პრემიერლიგა**

ამკარი-ანჟი ........ 0:0
დინამო-ტომი ........ 3:0
ვოლგა-ზენიტი ........ 0:2
ნალჩიკი-ცსკა ........ 0:2
ტერეკი-კრ.სოვეტოვი ........ 2:0
ყუბანი-კრასნოდარი ........ 0:1
ლოკომოტივი-სპარტაკი ........ 0:2

*სპარტაკელთა პირველი გოლი ჯანო ანანიძემ გაიტანა*

როსტოვი-რუბინი ........ 1:3

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ცსკა | 13 | 8 | 4 | 1 | 26:9 | 28 |
| 2.ზენიტი | 14 | 7 | 5 | 2 | 25:12 | 26 |
| 3.რუბინი | 14 | 6 | 6 | 2 | 21:11 | 24 |
| 4.დინამო | 14 | 6 | 5 | 3 | 19:17 | 23 |
| 5.ანჟი | 14 | 6 | 5 | 3 | 12:11 | 23 |
| 6.ლოკომოტ. | 14 | 6 | 4 | 4 | 22:15 | 22 |
| 7.ყუბანი | 14 | 6 | 3 | 5 | 15:13 | 21 |
| 8.სპარტაკი | 14 | 6 | 3 | 5 | 14:15 | 21 |
| 9.კრასნოდარი | 14 | 5 | 5 | 4 | 16:17 | 20 |
| 10.ამკარი | 14 | 4 | 4 | 6 | 11:17 | 16 |
| 11.ტერეკი | 14 | 4 | 3 | 7 | 11:17 | 15 |
| 12.ტომი | 14 | 3 | 6 | 5 | 14:22 | 15 |
| 13.ვოლგა | 13 | 4 | 1 | 8 | 14:15 | 13 |
| 14.როსტოვი | 14 | 3 | 3 | 8 | 16:24 | 12 |
| 15.კრ.სოვეტ. | 14 | 2 | 5 | 7 | 8:19 | 11 |
| 16.ნალჩიკი | 14 | 1 | 6 | 7 | 11:21 | 9 |

**შვედეთი. ალსვენსკა**

გეფლე-ელფსბორგი ........ 1:0
ჰალმშტადი-იორებრო ........ 0:0
მიალბი-გიოტებორგი ........ 0:2
ტრელებორგი-ჰაკენი ........ 1:4

**ფინეთი. ვეიკაუსლიგა**

ჰიკა-ჰიკი ........ 0:5

**ირლანდია. პრემიერ დივიზიონი**

სლიგო-დუბლინი ........ 4:0

**აშშ. მლს**

კანზასი-სან ხოსე ........ 1:0
ტორონტო-სიეტლი ........ 0:1
ნიუ ინგლენდი-ჩიკაგო ........ 1:1
ჰიუსტონი-კოლამბუსი ........ 0:2
კოლორადო-ლოს ანჯელესი ........ 1:3
სოლტ ლეიკი-ვაშინგტონი ........ 1:1
ვანკუვერი-ფილადელფია ........ 1:0
ჩივასი-დალასი ........ 1:2

**ბრაზილია. სერია ა**

ფლუმინენსე-ბაია ........ 0:1
ამერიკა-კრუზეირო ........ 1:1

**არგენტინა. კლაუსურა**

არხენტინოსი-ტიგრე ........ 1:1
ინდეპენდიენტე-ურაკანი ........ 5:1
ქილმესი-ოლიმპო ........ 0:1
რივერ პლეიტი-ლანუსი ........ 1:2
ხიმნასია-ბოკა ........ 2:2
გოდოი-ოლ ბოისი ........ 1:0

### კალათბურთი

**ევროპის ჩემპიონატი**

**ქალები**

ლატვია-საბერძნეთი ........ 57:67
თურქეთი-ლიტვა ........ 58:64
ბელარუსი-დ.ბრიტანეთი ........ 55:40
ესპანეთი-გერმანია ........ 79:59
პოლონეთი-ჩერნოგორია ........ 53:70
რუსეთი-სლოვაკეთი ........ 68:66
საფრანგეთი-ხორვატია ........ 86:40
ჩეხეთი-ისრაელი ........ 72:56

### წყალბურთი.

**მსოფლიო ლიგა. სუპერფინალი**

**ქალები**

რუსეთი-ესპანეთი ........ 14:12
კანადა-საბერძნეთი ........ 13:9
აშშ-ავსტრალია ........ 8:7
ჩინეთი-იტალია ........ 5:7

### ფრენბურთი

**მსოფლიო ლიგა**

**კაცები**

რუსეთი-იაპონია ........ 3:0
ბრაზილია-პუერტო რიკო ........ 3:0
ფინეთი-სერბეთი ........ 3:2
გერმანია-ბულგარეთი ........ 3:2
იტალია-საფრანგეთი ........ 3:1
არგენტინა-პორტუგალია ........ 3:1
აშშ-პოლონეთი ........ 3:1
ს.კორეა-კუბა ........ 0:3

**ევროლიგა**

რუმინეთი-თურქეთი ........ 3:0
ბელარუსი-სლოვაკეთი ........ 0:3
სლოვენია-დ.ბრიტანეთი ........ 3:1
ავსტრია-ჰოლანდია ........ 1:3
ბელგია-ხორვატია ........ 3:2
ესპანეთი-საბერძნეთი ........ 3:0

**პანამერიკული თამაშები**

არგენტინა-დომინიკების რეს. ........ 3:1
კანადა-პურტო რიკო ........ 3:0
ბრაზილია-აშშ ........ 3:1

**ევროლიგა**

**ქალები**

უნგრეთი-ჩეხეთი ........ 2:3
ხორვატია-ბელარუსი ........ 2:3
ისრაელი-ბულგარეთი ........ 0:3
ესპანეთი-საბერძნეთი ........ 3:0
რუმინეთი-თურქეთი ........ 0:3
საფრანგეთი-სერბეთი ........ 1:3

### რაგბი

**ჩერჩილის თასი**

აშშ-რუსეთი ........ 32:25
ტონგა-იტალია ა ........ 18:27
საქსონია-კანადა ........ 37:6

### ჩოგბურთი

**ატპ. ისტბურნი. ბალახი**

**ფინალი**

ტიპსარევიჩი-სეპი ........ 6:7;6:3;3:6

**ატპ. ჰერტოგენბოში. ბალახი**

**ფინალი**

ტურსუნოვი-დოლგოპი ........ 6:3;6:2

**ვტა. ისტბურნი. ბალახი**

**ფინალი**

კვიტოვა-ბარტოლი ........ 1:6;6:4;5:7

**ვტა. ჰერტოგენბოში. ბალახი**

**ფინალი**

ვინჩი-დოკიჩი ........ 6:7;6:3;7:5

# რუსეთმა გაპრეზიდენტებაში ხელი სააკაშვილს შეუწყო

შორენა გონგლაძე

## ინტერვიუ ყოფილ სახალხო დამცველ ნანა დევდარიანთან

***— ქალბატონო ნანა, 26 მაისის აქციის დარბევასთან დაკავშირებით დღემდე მრავალი კითხვის ნიშანი რჩება, რომლებიც, სავარაუდოდ, ყოველგვარი შეფასების გარეშე, პასუხგაუცემელი დარჩება. ერთ-ერთი მთავარი საკითხია, ჰქონდა თუ არა ადგილი აქციის დაშლისას ძალის გადამეტებას, რამაც ძალიან მძიმე შედეგები მოიტანა?***



— ეს საკამათოც არ არის. მე, როგორც ყოფილი სახალხო დამცველი, გეუბნებით, დღეს ამ ფუნქციას ვასრულებდე, ცალსახად მივცემდი ამ შეფასებას. სხვათა შორის, ტუღუშმაც მისცა იგივე შეფასება, რომ იყო ძალის გადამეტება და მოითხოვა ფაქტის გამოძიება. აქ მოხდა კიდევ ერთი რამ, რაზეც ნაკლებად ამახვილებენ ყურადღებას, რომ იქ არ იყო უფლებამოსილი ხალხი, რომელსაც მიტინგის დაშლა უნდა განეხორციელებინა. მე კადრებში ვნახე ზონზროხა ვითომ პოლიციელები. ვინ არიან საერთოდ ესენი?

***— ზონდერბრიგადები...***

— დავიწყოთ იქიდან, რომ დანაშაული უკვე აქ ფიქსირდება, რომ იყვნენ არა წესრიგის დამცველები, პოლიციელები, არამედ, ისეთი ადამიანები, რომლებიც მრავლად იყვნენ 2007 წლის 7 ნოემბერსაც. უბრალოდ, იმის შემდეგ მოსუქდნენ, ეტყობა, ძალიან. მაშინ არ იყვნენ ასეთი მსუქნები. პირველი ის, რომ ვიღაც ტიპები არბევენ მიტინგს, რომელ იდენტიფიკაციაზეა ლაპარაკი, ნომერი ქუდზე ეწერათო, გარწმუნებთ, რომ ნომერი არსადაც არ ეწერათ, იმიტომ რომ ისინი არ იყვნენ პოლიციის თანამშრომლები. მეორეც, ადამიანი, რომელიც ჰყავთ დაკავებული, ხელებშეკრული და იმის ცემას რომ აგრძელებს, ეს გადამეტება კი არ არის, ეს არის სისხლის სამართლის დანაშაული, იმიტომ რომ წამება, სასტიკი მოპყრობა — ეს ყველაფერი ჩვენს კოდექსში ასახულია, როგორც სისხლის სამართლის დანაშაული. ამიტომ ასეთი რბილი ფორმულირება, რომ მოხდა ძალის გადამეტება, ასე არ არის, აქ არის პირდაპირ დანაშაულის ნიშნები. ვინაიდან საამისო ვიდეოჩანაწერები არსებობს, ამ ვიდეოჩანაწერების საფუძველზე შეუძლიათ იმოქმედონ საგამოძიებო ორგანოებმა.

***— მაგრამ დარბევისას უკვე მიტინგი არასანქცირებულად ითვლებოდა...***

— ეს არის ტყუილი. ქართულ კანონმდებლობაში ცნება „არასანქცირებული მიტინგი“ არ არსებობს. მე ბოლოს მახსოვს, როდესაც ითქვა, არასანქცირებული მიტინგი დაშალესო, ამით ისარგებლეს საბჭოთა გენერლებმა 1989 წელს. ჩვენი კონსტიტუციითა და კანონმდებლობით არანაირ მიტინგს სანქცია არ სჭირდება. ამიტომ, ვინც ამას ამბობს, რომ ეს მიტინგი არასანქცირებული იყო, ის ცრუობს. თუ ვინმე აპირებს აქციის ჩატარებას, უბრალოდ, მათ უნდა აცნობონ ქალაქის მერიას, რომ ტარდება აქცია და შემდეგ მერიის მოვალეობაა, დაიცვან წესრიგი, სისუფთავე და ასე შემდეგ. მეორე საკითხია, იურისტმა ნინო ბურჯანაძემ რატომ არ მიმართა მერიას, რომ აგრძელებდა მიტინგს.

***— სწორედ ეს არის საინტერესო, მით უმეტეს, რომ აქციის დარბევამდე რამდენიმე წუთით ადრე ბურჯანაძეს, როგორც ვიცით, პოლიციელებმა მისცეს გაფრთხილება, ანუ უკვე ნათელი იყო, რომ აქციას დაარბევდნენ...***

— აქ არის ამ საკითხის სამართლებრივი მხარე და არის პოლიტიკური მხარეც. როცა პოლიტიკოსი მართავს აქციას და ხალხს ეუბნება, რომ მე დანარჩენი პოლიტიკოსებისგან განსხვავებით თქვენ სახლში აღარ გაგიშვებთ... 25-ში რომ გამოეცხადებინა, რომ ხალხი უნდა დაშლილიყო, ეს ნიშნავდა პოლიტიკურ კრახს, ამიტომ ის ამას ვერ იტყოდა. მეტიც, 9 აპრილს პატრიარქი გამოვიდა და ხალხს სთხოვა, ეკლესიაში წამოდითო და არ წაჰყვა ხალხი. თეორიულად რომ დავუშვათ, ნინო ბურჯანაძეს ეს ეთქვა, ის ხალხი შეიძლება არ დაშლილიყო, იმიტომ რომ ეს არის გამწარებული ხალხი, რომელსაც ყელში აქვს ამოსული ყველაფერი. ასე რომ, ნინო ბურჯანაძეს პოლიტიკური პასუხისმგებლობა აქვს იმაზე, რომ ეს აღმოჩნდა მორიგი წარუმატებელი აქცია, მაგრამ სამართლებრივ პასუხისმგებლობას ვერ დააკისრებ, იმიტომ რომ სამართლებრივად პასუხს აგებს ხელისუფლება.

***— მაგრამ, მოხდა ისე, რომ ვისაც მეტი პასუხისმგებლობა ეკისრებოდა ამ ყველაფერზე, ისინი დარჩნენ თამაშგარე მდგომარეობაში. ბურჯანაძესა და ხელისუფლებას შორის იყო მხოლოდდამხოლოდ საინფორმაციო ომი, სამაგიეროდ, ძალიან ცუდ დღეში აღმოჩნდნენ რიგითი ადამიანები...***

— დამდგარ შედეგზე აქციის ორგანიზატორები პასუხს ვერანაირად ვერ აგებენ. რაც შეეხება დაკავებულ ადამიანებს, მათზე ზრუნვა მთლიანად უნდა აიღოს სახალხო კრებამ. სხვანაირად არ შეიძლება. მაგრამ ეს არაფრით არ ამსუბუქებს ხელისუფლების მდგომარეობას.

***— 26 მაისის შემდეგ ძალიან ბევრი კითხვის ნიშანი დარჩა როგორც ხელისუფლების, ასევე ბურჯანაძის მხარესაც. მაგალითად, თქვენ რა შეკითხვები გაგიჩნდათ მათ მიმართ?***

— ჩემთვის ყველაზე დიდი კითხვის ნიშანია, რატომ იყო ასე დარწმუნებული ნინო ბურჯანაძე, რომ მიშა წავა და რომ ეს იქნებოდა უკანასკნელი ბრძოლა და ეს ხელისუფლება დამთავრდება, ეს ჩემთვის არის ამოუხსნელი. რას ეფუძნებოდა ეს რწმენა, აქედან იწყება ყველაზე დიდი კითხვის ნიშანი, რომელსაც შეიძლება შემდეგ მოაყოლო სხვა კითხვის ნიშნები. რაც შეეხება ბიწაძეს, რომ ამ მხრივ წმინდა პოლიტიკური გადაწყვეტილება იყო მიღებული და ამას არაფერი საერთო სამართალთან არ ჰქონდა, ამას არც არავინ მალავს, მათ შორის, ხელისუფლებაც. ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენელი პირდაპირ ამბობს, ჩვენ ამ ეტაპზე ბიწაძის დაპატიმრება არ გვაწყობდაო, მათ შორის, გია ნოდია, რომელიც სრულიად სამარცხვინოდ პირდაპირი რუპორი გახდა ამ ხელისუფლების. რა ვერ მოზომა ნინო ბურჯანაძემ ან რა ფაქტორებმა დაალალატა, არ ვიცი, მაგრამ, დარწმუნებული იყო, რომ ხელისუფლებაში მოვიდოდა.

***— რუსეთის ფაქტორი რა იყო?***

— მე ვერანაირ რუსეთის ფაქტორს ვერ ვხედავ შედეგების მიხედვით. არ გამოვრიცხავ, რომ იყო შეიძლება რაღაცის იმედი, მაგრამ ის, რომ რუსეთი ბურჯანაძეს გვერდში არ დაუდგა და ხელი არ შეუწყო, ფაქტი სახეზეა.

***— ხელის შეწყობაში რას გულისხმობთ?***

— სხვადასხვა ფაქტორია, ივანოვი რომ ჩამოვიდა თავის დროზე, სააკაშვილი რომ პრეზიდენტად მოგვევლინა, ესეც ერთ-ერთი ხელშეწყობაა, არის სხვა სახის ხელშეწყობებიც, დიპლომატიური და სხვანაირიც. არ მინდა, ვარაუდი გამომივიდეს, მაგრამ ფაქტია, რომ რაღაცის იმედი იყო, მაგრამ, რომ არ გამოვიდა, ესეც ფაქტია.

## ნატოს ავიარეიდმა ტრიპოლიში სამოქალაქო პირები იმსხვერპლა

ლიბიის დედაქალაქ ტრიპოლიში ნატოს ჯარების საჰაერო თავდასხმის შედეგად ხუთი სამოქალაქო პირი დაიღუპა. ამ განცხადებით ლიბიის მთავრობის წარმომადგენლები გამოვიდნენ.

ბომბი სამსართულიან საცხოვრებელ სახლს მოხვდა, ტრიპოლის გარეუბანში, სუკ ელ-ჯუმას რაიონში. ლიბიის ხელისუფლების ინფორმაციით, აფეთქება ნაშუაღამევს მოხდა. ნატოს სამხედრო ოპერაციის სარდლობას ამ ინფორმაციისათვის კომენტარი არ გაუკეთებია. გავრცელებული ცნობების თანახმად, ბიბისის ჟურნალისტი ჯერემი ბოუენი საავადმყოფოში მიიყვანეს, სადაც მას ორი მცირეწლოვანი ბავშვის, ორი მამაკაცისა და ქალის გვამები აჩვენეს. მანამდე ტრაგედიის ადგილას მან ორი გვამი ნახა. ადგილობრივი მოსახლეობის თქმით, ავიათავდასხმის შედეგად ერთი ოჯახის წევრები დაიღუპნენ. მიმომხილველების თქმით, სამოქალაქო პირების დაღუპვა ნატოს სამხედრო ოპერაციასთან დაკავშირებით დამატებით შეკითხვებს გამოიწვევს. მანამდე ცნობილი გახდა, რომ ხუთშაბათს ნატოს ავიაციამ ქალაქ ბრეგას მახლობლად შეცდომით ლიბიელი ამბოხებულთა კოლონას შეუტია. ლიბიის სამხედრო ოპერაციის დაწყების შემდეგ მოსახლეობა და ამბოხებულები ნატოს თავდსხმების შედეგად არაერთხელ დაზარალდნენ.

გ. თ.

# რა სარგებლობა მოაქვს მიგრაციას

შორენა გონგლაძე

საქართველოში მოსახლეობის აღწერა ბოლოს 2002 წელს ჩატარდა. აღწერის თანახმად, მიგრაციის დონემ 1,1 მილიონ ადამიანს მიაღწია. 90-იანი წლების დასაწყისის მონაცემებთან შედარებით, მიგრანტთა რაოდენობამ მოსახლეობის 20 პროცენტი შეადგინა. მიგრაციის დონეს, როგორც წესი, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონე განსაზღვრავს. საქართველოს, როგორც ეკონომიკურად დაბალგანვითარებად ქვეყანას, მიგრაციის მაღალი მაჩვენებელი აქვს. მიგრაციის ერთადერთ დადებით მხარედ ფულადი გზავნილები შეიძლება ჩაითვალოს. მაგალითად, მსოფლიო ბანკის მონაცემებით, უცხოეთიდან საქართველოში შემოსული ოფიციალური ფულადი გზავნილები ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის 5 პროცენტს შეადგენს. გასულ წელს მიგრანტებიდან ფულადი გზავნილების მოცულობამ 824 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. ქვეყნების ტოპ-ხუთეული კი ასე გამოიყურება: როგორ წესი, ფულადი გზავნილებით რუსეთის ფედერაცია ლიდერობს, რუსეთიდან საქართველოში 406 მილიონი აშშ დოლარი შემოვიდა, მეორე ადგილზეა საბერძნეთი, 90 მილიონი აშშ დოლარით, შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატები 85 მილიონი აშშ დოლარი, გერმანია — 54 მილიონი და ისრაელი 51 მილიონი აშშ დოლარი. ამ პროცესების თანმხლები — ეს არის დემოგრაფიული პრობლემები, თუმცა, არსებულ მდგომარეობას ვერ გავიგებთ, სანამ არ ჩატარდება ქვეყნის მოსახლეობის აღწერა, რაც რეალურ სურათს მოგვცემს. როგორც ვთქვით, ბოლოს საქართველოში მოსახლეობის აღწერა 2002 წელს ჩატარდა. როგორც წესი, მოსახლეობის აღწერა ათ წელიწადში ერთხელ ხდება. ეკონომიკის ექსპერტი სოსო არჩვაძე თვლის, რომ აუცილებელია აღწერისათვის მზადების დაწყება, ვინაიდან ამ პროცესს რამდენიმე წელი სჭირდება. სავარაუდოდ, ალბათ, აღწერის შედეგები არცთუ სახარბიელო იქნება.

***— ბატონო სოსო, როგორია ბოლო წლების სავარაუდო მონაცემები, მიგრაცია გაიზარდა თუ შემცირდა?***

— საბჭოთა კავშირის დაშლას მოჰყვა მიგრაციის პროცესის დაწყება. ეკონომიკა რომ არ დაშლილიყო და იმავე ტემპში გაეგრძელებინა განვითარება, მიგრაციული ფაქტორები მაინც ითამაშებდა თავის როლს. ძალიან ბევრი არაქართველი ცხოვრობდა საქართველოში და აღიქვამდნენ საქართველოს, როგორც ერთიანი სახელმწიფოს სივრცის ნაწილს. როდესაც დაიშალა საბჭოთა კავშირი, ბევრმა ჩათვალა, რომ ისინი უნდა დაუბრუნდნენ თავიანთ სამშობლოს, შემცირდა რუსების, ბერძნების, ეთნიკური ებრაელების რიცხვი.

***— მიგრაცია ძირითადად გამოიწვეული იყო ეთნიკურ ნიადაგზე?***

— აქ იყო ორი მიზეზი. ერთი იყო ეთნიკური მიგრაცია და მეორე — წმინდა ეკონომიკური. საქართველოს ჰქონდა 106 მრეწველობის წარმოება, მაგრამ არ ჰქონდა ისეთი წარმოება, რომლითაც ჩვენს პირობებს ვუკარნახებდით საერთაშორისო ბაზარს. როდესაც დაიშალა საბჭოთა კავშირი, კონიუნქტურა ჩვენთვის შეიცვალა ძალიან არასახარბიელოდ, ვინაიდან დიდი ხნის განმავლობაში საქართველოს ჰქონდა საბჭოთა კავშირის 300-მილიონიანი ბაზარი. საბჭოთა კავშირის დაშლისას ეს ყველაფერი მოიშალა. როდესაც ეს პროცესები დაიწყო, ბევრი ადამიანი იძულებული გახდა, სამუშაო ეძებნა ქვეყნის გარეთ. ეს იყო რუსეთი და პოსტსაბჭოთა ქვეყნები. მიგრაციის მთავარი დიდი ტალღა მოვიდა 1992-94 წლებზე, დაემთხვა ამ პერიოდს ომები, ეკონომიკური კოლაფსი და ეთნიკური მიგრაცია. შემდგომ პერიოდში უკვე ადგილი ჰქონდა ტალღოვან მიგრაციას. ერთ წელს დიდი იყო მიგრაცია, მეორე წელს — ნაკლები. ეს მიგრაცია დღესაც გრძელდება, თუმცა, 2001 წლის შუა ხანებიდან შეინიშნება გარკვეული ტიპის ტენდენციები, როდესაც მიგრანტების გარკვეული რაოდენობა საქართველოში ბრუნდება და საქართველოში იწყეს დიდი რაოდენობით შემოსვლა „ეგზოტიკური“ ქვეყნებიდან სამუშაოს საძიებლად.

***— მოსახლეობის რა პროცენტია საქართველოდან გასული?***

— დღეს საქართველოში ბუნებრივი მატების მიხედვით დაახლოებით უნდა იყოს 5 მილიონ 800 ათასი ადამიანი. ჩვენ, ფაქტობრივად, გვაქვს 4,04 მილიონი და სახეზე მყოფი კიდევ უფრო ნაკლები. საქართველოში მოსახლეობის აღწერის აუცილებლობა არსებობს.

***— ბოლოს აღწერამ რა შედეგები მოგვცა?***

— ბოლოს მოსახლეობის აღწერა ჩატარდა 2002 წლის იანვარში. ზოგიერთი მონაცემი უნიკალურია და მხოლოდ მოსახლეობის აღწერით მიიღება, მაგალითად, ენობრივი შემადგენლობა, რელიგიური აღმსარებლობა და სხვა. რადგანაც ჩვენი ცხოვრება გახდა დინამიკური, უკვე აუცილებელია ახალი აღწერის ჩატარება. მართალია, წინა აღწერიდან ათი წელი არ გასულა, მაგრამ აღწერას სჭირდება მოსამზადებელი პერიოდი, დაახლოებით სამი წელი, ამიტომ ფაქტია, რომ ეს პროცესი გვიანდება.

***— მიგრაციით საქართველოს რა ადგილი უჭირავს ქვეყნებს შორის?***

— თქვენმა კითხვამ ერთი ქართული ანდაზა გამახსენა: „ქაჩალი თავს არ იფხანს და, თუ მოიფხანს, სულ მოიგლეჯსო“. დიდი ხნის განმავლობაში საქართველო ითვლებოდა ქვეყნად, საიდანაც მიგრაციას ადგილი არა აქვს. მაგრამ ბოლო ათწლეული განმავლობაში სამუშაოს დაკარგვის გამო ასეულობით ადამიანმა დატოვა სამშლბლო.

***— მიგრაციის ამ ტემპით განვითარების შემთხვევაში, სამომავლოდ რა შედეგი გვექნება სახეზე?***

— ჩვენ უნდა მივაღწიოთ იმას, რომ პირველ რიგში შეჩერდეს მოსახლეობის დაბერების პროცესი და გაიზარდოს მოსახლეობის ბუნებრივი მატება, გაიზარდოს 16 წლამდე ასაკის მოსახლეობის რაოდენობა. ეს ნიშნავს, რომ ჩვენ შევძლოთ იმ გამოწვევებისთვის ადეკვატური პასუხის გაცემა, რომელსაც გლობალიზაციის პროცესი აყენებს მთელი მსოფლიოსა და ცალკეული სახელმწიფოების წინაშე. გვინდა შობადობის გაზრდა ყოველწლიურად, სულ ცოტა, 12-15 ათასით, რათა მივაღწიოთ იმ საბაზისო დონეს, როდესაც ვიტყვით, რომ საქართველოს აღარ ემუქრება დემოგრაფიული დაბერება.

## TV პროგრამა

**ოთხშაბათი 20 ივნისი**

**06.30** დოკ. ფილმი "მსოფლიოს ქალაქები" **07.30** ჩვენი დილა **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00, 16.00, 20.00** მოამბე **12.30** ვ. სანაიას რეპორტაჟი **13.30** ქართული დოკუმენტალისტიკა **14.00** აქცენტები **15.00** სერ. **"ხუთი და"** **17.00** ან. ფილმი "სამურაი" **18.00** სილამაზის ფორმულა **18.30** მედ-ინფო **19.05** უძველესი დაკარგული ქალაქები **19.40** პეპეს ზღაპრები **21.00** სერ. **"ხუთი და"** **22.00** აუდიტორია **23.00** სპორტული თოქ-შოუ "არენა" **00.15** ღამის საუბრები **01.15** მხ.ფ.**"ალფი"** (**18**) (ჯ. ლოუ) **03.05** მოამბე **03.25** ცხოვრება მშვენიერია

**08.00** დოკ. ფილმი **09.00** საბ. ფილმი **"ფერაკლე"** **10.30** ვ. სანაიას რეპორტაჟი **11.30** დოკ. ფილმი **12.30** ქართული დოკუმენტალისტიკა **13.30** ისტორია **14.00** რეგიონის დროით **14.45, 17.45, 23.00** ბრიფინგის დროით **16.00** დოკ. ფილმი **17.00** მეხსიერება **19.00** დოკ.ფ."მეორე მსოფლიო ომი, დახურულ კარს მიღმა" **20.00** მხ. ფილმი **"რეიგანების ოჯახი"** **1-2** ს. **22.00** თავისუფალი ტრიბუნა **00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯ.ენებზე) **01.00** მხ. ფილმი **"შემოდგომის ლეგენდები"**

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. **"ცოდვილი"** **11.00** სერ. **"მიმწყვდეული"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 05.30** კურიერი **12.30** სხვა ამბები **13.00** ბიზნეს-კურიერი **13.30** შუა დღე (პირდ.) **15.40** იღბლიანი ბორბალი (გან.) **17.00** სერ. **"მორენას ვნება"** **18.45** სერ. **"ავრორა"** **19.45** სერ. **"ელენას მოჩვენება"** **00.00** საფეხბურთო ღამე **01.00** შუა დღე (გან.) **03.00** პატრული **03.30** მხ. ფილმი (სუბტ.)

**07.30** იმედის დილა **10.00** სერ. **"ლამაზი სიცოცხლე"** **11.00, 14.00, 17.00, 20.00, 01.00** ქრონიკა **11.30** სერ. **"სიყვარულის ზღვა"** **12.30** დღის შოუ (პირ.) **13.45** ტვ-მარკეტი **14.40** მხიარულთა და საზრიანთა გუნდების ჩემპიონატი **16.00** სერ. **"მეტოქეები"** **17.40** სერ. **"სიყვარულის ზღვა"** **18.40** სერ. **"როცა სიყვარული მოდის"** **21.00** სერ. **"ქალბატონი"** **22.00** შეგირდი (გან.) **23.00** მუს. ლიგა (გან.) **00.00** მხ. ფილმი **"დაბრუნება ბრაიდსჰედში"** (**12**) (ე. ტომპსონი) (სუბტ.) **02.55** მხ. ფილმი **"აგვისტო"** (**15**) (ჯ. ჰარტნეტი) (სუბტ.) **06.30** სერ. **"ბოშები"**

**08.00** ანიმაცია **09.45** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **10.00** გოგიჩას დილა **11.00** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **13.00** "მზესუმზირა" (პირდ.) **14.30** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **15.30** პულსი **16.00** სერ. **"ვნებათა მიწა"** **17.10** მხ. ფილმი **19.00** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **22.30** რეალითი-შოუ "მზის სახლი" დღიური **23.30** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **04.00** რეალითი-შოუ "მზის სახლი" დღიური **05.00** მხ. ფილმი

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.00** მუსიკა **09.30, 23.40** სერ. **"პეტერბურგის საიდუმლოებანი"** **10.30** დოკ. ფილმი "გამოჩენილი ადამიანები" **11.50, 21.00** სერ.**"დიდი ტურინი"** **12.50, 19.30** სერ. **"ამანდა ო"** **14.15, 17.15** ინგლისურის გაკვეთილი **15.00** სერ. **"განებივრებული ლამაზმანი"** **18.00** დოკ. ფილმი **23.00** სახლი ბათუმში **00.30** მხ. ფილმი

ერთსულოვნება

**08.30** დილის პროგრამა "განთიადი" **10.00** პატრიარქის ქადაგება **10.35** კვირიაკე **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 24.00** საგალობელი **12.05** მხ.ფ.**"ახალგაზრდა კომპოზიტორის მოგზაურობა"** **13.35** კონცერტი – ანს. "რუსთავი" **15.05** ახალი აღთქმის განმარტებანი **15.05** სპექტაკლი **"ბაკულას ღორები"** **16.40** დოკ. ფ."ველური ბუნება" **17.05** ფილმი-ზღაპარი "წელიწადის დრონი" **17.30** მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **19.20** მხ. ფილმი **"ივანენა"** **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** დრო და ტრადიციები **22.20** დოკ. ფილმი "ჯიხეთი – დედათა მონასტერი" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დრო და ტრადიციები **00.30** განთიადის სტუმარი **00.50** პერსპექტივა

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზვერის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**20 ივნისი**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1,6583 |
| ევრო | 2,4216 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 2,7208 |
| რუსული რუბლი | 0,0597 |

## ამინდის პროგნოზი 20 ივნისისთვის

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა ტემპერატურა დღისით — 21-27, ღამით — 12-1§

**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა ტემპერატურა დღისით — 21-25, ღამით — 16-1§

**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 29-23, ღამით — §-15








წამალი "ფერდი" შეიცავს არაერთ ბიოლოგიურად აქტიურ სამკურნალო ნივთიერებას. "ფერდი" დამამშვიდებელი, ტკივილგამაყუჩებელი, ანტისეპტიკური, ანტიმიკრობული და მაღალი ანტიოქსიდანტური აქტივობის მქონე მცენარეული წამალია.ის გამოიყენება, როგორც დამამშვიდებელი საშუალება ვეგეტონევროზის (უძილობა, აგზნებულობა, შიში, ნერვული აშლილობა, დაძაბულობა) დროს, როგორც ხველების დამაწყნარებელი, აგრეთვე კუჭ-ნაწლავის ,ქრონიკული ფაღარათის, ფილტვების, პირისღრუს, საშარდე გზების, სქესობრივი გზით გადამდები ინფექციური დაავადებების მკურნალობისას.

წამალი "ფერდის" მოქმედება განპირობებულია ფარმაკოლოგიურად აქტიური ნივთიერებების კომპლექსით .მათშორის უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია გლიკოზი და მიგდალინი, რომელიც კუჭის ფერმენტის ზემოქმედებით იშლება და გამოყოფს ტკივილ გამაყუჩებელი,ანესთეზიური,ანტიბაქტერიული და სპაზმოლიზური თვისებების მქონე ციანწყალბადმჟავას.

ნედლეულის შემადგენლობაში შედის ნაერთები — გლიკოზიდები: ამიგდალინი, პრულაურაზინი (ლაურაცერაზინი) და მისი სტერეოიზომერი პრუნაზინი, თავისუფალი ციანწყალბადმჟავა - 0,4 - 5%; მთრიმლავი ნივთიერებები - 25%, 0,5% ეთერზეთები, 2,7% ტრიტერპენოიდები (ურსოლის მჟავა-1%), პროანთოციანები, ფენოლკარბონმჟავები (ჰიდროლიზდება კოფეინის, პარა-კუმარის მჟავას წარმოქმნით), კატეხინები (დიმერული, ტრიმერული კატეხინები, ეპიკატეხინი, (+)-კატეხინი, (−)-ეპიკატეხინი), ვიტამინი C, სტეროიდები (ბეტა-სიტოსტერინი, სტიგმასტერინი, ქოლესტერინი), ფლავონოიდები, რომელთა ჰიდროლიზით მიიღება ქვერცეტინი;

პრეპარატის ანტიოქსიდანტური აქტივობაა 72-85%;

წამალი "ფერდი" იკითხეთ აფთიაქებში. დალუქულ ქილაში მოთავსებულია 90 კაფსულა, თუ შეიძენთ ცალობით თითოეულ კაფსულაზე უნდა იყოს წარწერა "ფერდი". 2011 წელს მისი ფასი არ უნდა აღემატებოდეს 30 ლარს.

გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახები ნფორმაციისთვის მიმართეთ ექიმს.

WWW.PHERDI.GE ☎ 95-90-60

ექიმის კონსულტაცია უფასოა.

მის: დავით აღმაშენებლის გამზ.146


# ხორვატები ნაცისტური გამოხდომებისთვის 80.000 ევროთი დააჯარიმეს

**ხორვატიის ფეხბურთის კავშირი ევრო-2012-ის შესარჩევ ციკლში საქართველოსთან მატჩის დროს გულშემატკივართა მიერ ტრიბუნებზე გამოფენილი ფაშისტური სიმბოლიკისთვის უეფამ 80.000 ევროთი დააჯარიმა.**



შეხვედრის მსვლელობისას, ხორვატი ქომაგების ნაწილი ფაშისტურ ლოზუნგებს სკანდირებდა, მათ ნაცისტური სვასტიკიანი დროშა გადმოფინეს და მატჩის დასრულების შემდეგ, რამდენიმე მათგანი მაშხალებით მოედანზე უპრობლემოდ შევიდა. ეს ყოველივე თამაშზე დამსწრე უეფას დელეგატმა დააფიქსირა და 26-გვერდიან მოხსენებაში ასახა.უეფას სასჯელი მსუბუქად შეიძლება მივიჩნიოთ. აღნიშნული მატჩის შემდეგ, რომელიც თემურ ქეცბაიას გუნდმა 1:2 დათმო, ხორვატიის საფეხბურთო ფუნქციონერები შიშობდნენ, რომ უეფა მხოლოდ ფულადი ჯარიმით არ შემოიფარგლებოდა და ნაკრებს მომდევნო შეხვედრის საკუთარ კედლებში გამართვას ცარიელი ტრიბუნების თანხლებით დაავალებდა. ასევე ფიქრობდნენ თავად ხორვატიის ფეხბურთის ფედერაციაშიც.

უეფას გადაწყვეტილებას ხორვატიის ეროვნული გუნდის მთავარი მწვრთნელი სლავენ ბილიჩი გამოეხმაურა, რომლის თქმითაც დადგა დრო, რომ მსგავს ექსცესებზე პასუხი კონკრეტულმა პირებმა აგონ და არა კონკრეტულად ხორვატიის ფეხბურთის ფედერაციამ. მისი თქმით, ზოგიერთი ადამიანის უპასუხისმგებლობის გამო, ხორვატიულ ფეხბურთს ევროპასა და მსოფლიოში სახელი არ უნდა უტყდებოდეს და თანხა უმიზნოდ კი არ უნდა იხარჯებოდეს, არამედ, მისი ინვესტირება იქ უნდა ხდებოდეს, სადაც საჭიროა.

მ. ჟ.

# ასტროპროგნოზი 20 ივნისისთვის

**ყველამ გაითვალისწინეთ!**

**წარმატებული დღეა**

**ვერძი** — წარმატებას ადვილად მიაღწევთ, იაქტიურეთ. **კურო** — ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **ტყუპები** — არ აყვეთ სხვებს, საკუთარ თავს მიხედეთ. **კირჩხიბი** — არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **ლომი** — ახალი საქმე დაგაინტერესებთ, იაქტიურებთ. **ქალწული** — არ გარისკოთ, დღეს არ ღირს. **სასწორი** — იმიჯის შეცვლა არ გაწყენთ, იფიქრეთ ამაზე. **ღრიანკალი** — სახლს იყიდით, გილოცავთ. **მშვილდოსანი** — თუ არ არის საჭირო, შორს ნუ წახვალთ. **თხის რქა** — გზიდან ფულს და საჩუქარს მიიღებთ. **მერწყული** — სხვა პროექტი შეარჩიეთ, საამისოდ დრო გაქვთ. **თევზები** — მიაწყვეთ განტვირთვის დღე, მიიღეთ ხილი და ბოსტნეული.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**


# 15 ივნისიდან იყიდება

100 წიგნი

„ახალი თაობის“ და „საოჯახო ბიბლიოთეკის“

# სუპერპროექტის

ადამიანები, რომელთაც შეცვალეს მსოფლიო

ტომი 7

მარკესი




გაზეთი და წიგნი ერთად
8 ლარი


# იუმორი



— ირონია... ადამიანი ისე უნდა შეაქო, რომ ეწყინოს...

***

— ქალიშვილს, რომელიც უკვე ქალიშვილი აღარ არის, ქალი ეწოდება, ხოლო ქალი, რომელიც ჯერ კიდევ არ არის ქალი, სულელი...

***

— უკლებლივ ყველა მამაკაცი არამზადაა!
— შენ?
— მე ყველაზე გამორჩეული არამზადა ვარ.
— თუ ასეა, ცოლად რატომ გამოგყევი?
— გადავიდეთ პროგრამის მეორე პუნქტზე: უკლებლივ ყველა ქალი სულელია...

***

— ალო, ლაპარაკი შეგიძლია?
— ჰო.
— მაშ, მომისმინე...

***

— ღარიბი ფულს ნატრობს, მდიდარიც ფულს ნატრობს. მხოლოდ ჭკვიანს სურს, ბედნიერი იყოს...

***

— მოდით ისე ვიცხოვროთ, რომ ჩვენი გარდაცვალება მეკუბოვემაც დაიტიროს...

გ. თ.

# კროსვორდი ა

**თარაზულად:** 4. საქონლის გატანა საზღვარგარეთ; 6. თვითმფრინავიდან ადამიანის გადმოსახტომი მოწყობილობა; 8. შტატი აშშ-ში; 10. თეატრში მაყურებლის ადგილი; 11. იაპონური ფული; 12. მოჩვენებითი რამ; 14. ფეთქებადი ჭურვი; 17. მტაცებელი ფრინველი; 19. სახელმწიფოს შეიარაღებული ძალები; 20. ვრცელი მიდამოს ხედი; 21. ბელგიელი მევიოლინე და კომპოზიტორი; 22. სარტყმელი საკრავი; 23. ფეხის თითებზე სრული შემოტრიალება.

**შვეულად:** 1. თავისებური წარმოთქმა სიტყვების; 2. დუქანი; 3. დადგენილი საზომი ერთეული; 5. მსხვილი კაპიტალის მქონე; 7. ქაოსი; 9. ძვირფასი ქვა; 13. ჯგუფური გასეირნება ქალაქგარეთ; 15. გაზაფხულის თვე; 16. ორგანოს ლორწოვანი გარსის ანთება; 18. ცხვრის ნაშიერი.

*შეადგინა ოლივერ კოხიძ*




ლურჯი წითელი ყვითელი შავი